XXXVI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია XXXVI INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE



2016 წლის 1 ივნისს 15. 00-20. 00 იმუშავა XXXVI სამეცნიერო პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის ჩატარებაშიც ტრადიციულად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელმწიფო მეცნიერების აკადემიის, ორგანიზაცია – International fund the world security and child-ის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, სამედიცინო კორპორაცია ევექსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუ-

„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
“Children must have right to be defended since embryo”
ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეცნიერების გზით
Children’s Security Through Science
სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
Social Peditry and Child’s Health
XXI საუკუნე – ინტეგრალური მეცნიერება –
ვალეოლოგია&სანოლოგია(II)
XXI Century _ Integral science – Valeology&Sanology(II)
(პრეზ-რეპლიზი)

დენტური თვითმართველობის და არაერთი სხვა პარტნიორი ორგანიზაცია:კონფერენციამ იმუშავა პროგრამით: 15. კონფერენციის გახსნა Opening of Conference

1. მისალმებანი Opening Speech
2. „ტრადიცია გრძელდება“: მილოცვები-გახსენება – დაჯილდოება

„Tradition Continues“ – Congratulations –Reminding – Rewarding
კონფერენციაზე სოციალური პე-

დიატრიის დაცვის ფონდის „მადლიერების სიგელი“ გადაეცა:

– მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ბ-ონ ვლადიმერ ზარდალიშვილის ოჯახს

და მედიცინის დოქტორის, დოცენტის ბატონ გურამ (ბაბუ) გაბუნიას ოჯახს

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის „ქების სიგელი“ გადაეცათ:

შ.პ.ს. ეი. ბი. სი. ფარმაცია, აღმას-



რულებელი დირექტორი ბნ მიხეილ აბრამიძე.

შ.პ.ს. ეი. ბი. სი. ფარმაცია, დამფუძნებელი, ბნ ენრიკო ბერიძე.

შ.პ.ს. „ფაი თრი“ გენერალური დირექტორი ქნ მანანა შენგელია.

შ. პ. ს. შარმტრეინინგი კვება „ფრისო“, ბრენდმენეჯერი ქნ ნათია არჯევანიძე.

კომპანია ნატურლენდის დირექტორი ქნ თეონა გიორგაძე.

შ. პ. ს. ნესტლეს – საქართველო

შ.პ.ს. ნუტრილენდი, ბავშვთა კვება ბელაქტი, დირექტორი ბნ ვალერიან დანელია

შ.პ.ს. სითიენ ჯორჯია \ ბავშვთა კვება სელია დირექტორი ბნ იოსებ ჭიდიტაშვილი.

ნუტრილანი, დირექტორი ბნ ზვიად გოგიჯანაშვილი.

ჯი. პი. სი გენერალური დირექტორს მედ. დოქტორს ბნ დავით კილაძეს

ბავშვთა კვება ჰიპი, დირექტორი ბნ დავით მდივანი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ქნ ინგა მამუჩაშვილს

მედიცინის აკადემიურ დოქტორს ქონ ნინო თოთაძეს

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ჯანდაცვის ხელმძღვანელს ბონ თემურ ბესტაევს და შ.პ.ს. „ძმები ასტანელებს“

კონფერენციაზე შედგა პროექტების ანგარიში: – „საქართველო

მშვიერი ბავშვის გარეშე“ პროექტების მედ. დოქტ. ნ. თოთაძე და – „ჩანასახიდან ბავშვსუფლება აქვს იყოს დაცული“ - სიცოცხლის გადასარჩენად – ა. სარჯველაძე;

პროექტის „ზრუნვა ბავშვთა სრულფასოვან კვებაზე“-წარდგინე



ბა ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, შ. კორტავა

რაც შეეხება კონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმდინარეობას: ჩატარდა ოთხი პლენარული სხდომა.

მასზე წარმოდგენილი მოხსენებებში აქცენტი იყო დასმული და გამახვილებული თანამედროვე პედაგოგიის აქტუალურ საკითხებზე; როგორც აღვნიშნეთ იმუშავა ოთხმა სხდომამ (www.sppf.info) და მათგან მნიშვნელოვანი იყო:

**I პლენარული სხდომა
First Plenary Meeting -15.30**

(ევრომეცნიერების საქართველო-სეროვნული სექცია)
(Euroscience Georgian National Section)

თავმჯდომარეები: საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსები: დ. ბაშელეიშვილი, პ. კერვალიშვილი, გ. აბდუშელიშვილი, გ. ჩახუნაშვილი

Chairmen and Academicians D. Bashaleishvili, P. Kervalishvili, G. Abdushelishvili, G. Chakhunashvili

„ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2011-16 წ ანგარიში“ – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ვიცე-პრეზიდენტი – მ. დ. დ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი

„Georgian National Section of Euroscience and it's annual report-2011-16“ – Vice – president of ESGNS Ph. D. MD. D. Chakhunashvili, K. Chakhunashvili

2 სამგანზომილებიანი ბეჭდვის თანამედროვე ტექნოლოგიები ხელფენების ნიმუშების ნანო დონის ასლების შესაქმნელად.

პაატა კერვალიშვილი, ევროსემელთაშუაზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ათენი-მილანი-ლოზანა-თბილისი

Modern technologies for three dimensional printing copies of existing art





masterpieces. Paata Kervalishvili, President of Euro Mediterranean Academy of Arts and Science, Athens-Milan-Lozana-Tbilisi

3 დეროვანი უჯრედები და ქსოვილთა ბიოინჟინერია – ზ. კაკაბაძე – მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /თსსუ/

Stem Cells and Tissue Bioengineering – Z. Kakabadze, MD, PhD, Professor / TSMU /

ტრადიციულად, კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც შეჯამდა ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, ასევე განიხილეს მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები, გაიმართა აქტუალურ საკითხებზე კამათი, სადაც გამომსვლელებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები. ბოლოს კი კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია და მიღებული იქნა გადაწყვეტილებები:

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ 2017-2018 წლებში მეტად აქტიურად გააგრძელოს თავისი საორგანიზაციო საქმიანობა.

2017 წელს მომზადდეს საქართველოს ექთანთა IV კონფერენცია.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის სტრატეგიული

გეგმა გადიოდეს მასში ახალგაზრდობის მეცნიერებაში ჩართვის მკვეთრი მატებისა და დაევალოს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციისახალგაზრდულ დეპარტმენტს მეტად განახორციელოს აქტიური მუშაობა შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით.



გაზეთის „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალების „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრიის“ და „ბავშვთა კარდიოლოგიის“ ახალი ნომრების WWW.sppf.info-ის და WWW.esgns.org ვებგვერდზე განთავსებისა და მათგან რეგულირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტრატეგიის გააქტივება.

5. არასამთავრობო ორგანიზაციების სამთავრობოებთან ერთად ერთობლივად დაწესებული მედიცინაში „ოქროს სტეტოსკოპისა“ და „ოქროს ლანცეტის“ ვარსკვლავის

მფლობელი დასახელდეს (თუ ასეთი კანდიდატურა შეირჩევა მსურველთაგან) შექმნილი კომისიის მიერ არაუგვიანეს 2017 წლის 1 მაისისა. 6. 2017-18 წწ.-ში გააქტიურდეს მედიცინის, სპორტისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვისათვის განსახორციელებული შესაბამისი ღონისძიებანი-ვალილოგიის ფარგლებში.

7. 2017-18 წწ.-ში განხორციელდეს ინტენსიურად პედიატრთა პროფესიული გადამზადების მონიტორინგი

8. ინტენსიური მუშაობა წარიმართოს ინტეგრალური მეცნიერებათა-ვალილოგიისა და სანოლოგიის საქართველოში სათანადო განვითარებისათვის.

კონფერენციაზე დარიგდა:

– გაზეთი „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალები – „ბავშვთა კარდიოლოგია“, „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია“

– დისკზე ჩაწერილი ლექციები კონფერენციის ფარგლებში, მედიცინის სხვადასხვა დარგის აღიარებულმა კლინიკისტებმა ათობით პატარა პაციენტი უფასოდ. გაისინჯეს თბილისში. გაისინჯა 1250-ზე მეტი ბავშვი, ხოლო კარაღეთსა და ვერხვებში 45 ბავშვი.

დიდი მადლობა ყველა აქტიურ მონაწილეს.



XXXVII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია XXXVII INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE



2016 წლის 9 დეკემბერს 15.00-20.30 იმუშავა XXXVII სამეცნიერო პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის ჩატარებაშიც ტრადიციულად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერების აკადემიის, ორგანიზაცია – International fund the world security and child- ის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, სამედიცინო კორპორაცია ევექსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და არაერთი სხვა პარტნიორი ორგანიზაცია: კონფერენციამ იმუშავა პროგრამით:

15.15 კონფერენციის გახსნა Opening of Conference

1. მისალმებანი Opening Speech
2. „ტრადიცია გრძელდება“: მილოცვები-გახსენება – დაჯილდოება

“Tradition Continues” – Congratulations –Reminding – Rewarding

კონფერენციაზე სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის „მადლიერების სიგელი“ გადაეცა:

„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ “Children must have right to be defended since embryo” ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეცნიერების გზით Children’s Security Through Science სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა Social Peditry and Child’s Health (პრეს-რელიზი)

– მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორის ბონ ირაკლი მამამთავრიშვილის ოჯახს

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის „ქების სიგელი“ გადაეცათ:

პროფ პაატა კერვალიშვილს, პროფესორ ზ.კაკაბაძეს და Harald Jacobsen-ს.

საქართველოს ევრომეცნიერების ეროვნული სექციის „ქების სიგელი“ გადაეცათ: Stephan Heymann-ს, G. Becher-ს, Dr. Kufahl-ს;

ევრომეცნიერებისა და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ერთობლივი „ქების სიგელი“ გადაეცა – პროფესორ ირ ფავლენიშვილს

კონფერენციაზე შედგა პროექტების ანგარიში: – „საქართველო მშვიერი ბავშვის გარეშე“ პროექტების მედ. დოქტ. ნ. თოთაძე და – „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ – სიცოცხლის გადასარჩენად – ა. სარჯველაძე;

პოლიატრია

რაც შეეხება კონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმდინარეობას: ჩატარდა ოთხი პლენარული სხდომა.

მასზე წარმოდგენილი მოხსენებებში



ბებში აქცენტი იყო დასმული და გამახვილებული არამარტო თანამედროვე პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე; როგორც აღვნიშნეთ იმუშავა ოთხმა სხდომამ (www.sppf.info), ყველა სხდომა წარმართა კითხვა-პასუხისა და დისკუსიების რეჟიმში.



ტრადიციულად, XXXVII კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია:

1. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ 2017-2018 წლებში მეტად აქტიურად გააგრძელა თავისი საორგანიზაციო საქმიანობა და 2020 წლის მსოფლიო ფორუმის საქართველოში ჩასატარებლად ყველა ღონისძიება გაატაროს, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ღონეზე.

2. 2017 წელს მომზადდეს საქართველოს ექთანთა IV კონფერენცია.

3. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის სტრატეგიული გეგმა გადიოდეს მასში ახალგაზრდობის მეცნიერებაში ჩართვის მეკეთრი მატებისაკენ და დაევალოს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ახალგაზრდულ დეპარტმენტს მეტად განახორციელოს აქტიური მუშაობა შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით

4. გახეთის „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალების „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრის“ და „ბავშვთა კარდიოლოგის“ ახალი ნომრების *Ошибка! Недопустимый объект гиперссылки*-ის და *WWW.esgns.org* ვებგვერდზე განთავსებისა და მათგან რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტრატეგიის გააქტივება.

5. 2017-18 წწ-ში გააქტიურდეს მედიცინის, სპორტისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვის განსახორციელებელი შესაბამისი ღონისძიებანი-ვალეოლოგიის ფარგლებში.

6. 2017-18 წწ-ში განხორციელდეს ინტენსიურად პედიატრთა პროფესიული გადამზადების მონიტორინგი

7. ინტენსიური მუშაობა წარიმართოს პროექტების:

- „საქართველო მშვიდი ბავშვის გარეშე“. Georgia Without Hungry Children
- „ინტეგრალური მეცნიერებათა-ვალეოლოგია და სანოლოგია, როგორც XXI საუკუნის გამოწვევა“
- „საქართველოში „GGMC“-ის და „GGMG“-ის აუცილებლობა“
- „პოლიატრია ვალეოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტი“ “Podiatry valeology one of the fundament
- „მოდრაობა უარი აბორტს“ საქართველოში სათანადოდ განხორციელებისათვის.

8. დამტკიცდეს საქართველოში მედიცინის დარგში „ბრწინვალეების ვარსკვლავის“, „ოქროს სტეტოსკოპის“, „ოქროს ლანცეტის“ და „ღირსეული მედიკის“ მინიჭების:

- მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა და დებულება:
- აგ. კვეზერელი-კობაძე – საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აკადემიის აკადემიკოსი
- ბ. ჩახუნაშვილი – თავმჯდომარე – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის თავმჯდომარე/ჯ. ჩანტლაძე – თავმჯდომარის მოადგილე
- დ. ბაშელაშვილი – საქართველოს პუბლიცისტი და სახელოვნებო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი
- ჰ. კერვალიშვილი – საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი



ბ. აბღუშელიშვილი – საქართველოს საინჟინრო მეცნიერების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

დ. სერგეენკო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ირ. ფაღვანიშვილი – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი

ნ. ხუნდაძე – საქართველოს პარლამენტის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის წევრი

ივ. დოლიძე – საქართველოს პუბლიცისტი და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის მდივანი

კ. ჩახუნაშვილი – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის მედიცინისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ო. ბაჩიაშვილი – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ვიცე-პრეზიდენტი

ზ. ვადაჭორია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ა. მორჩილაძე – ექიმთა ასოციაციის გაერთიანების გენერალური მდივანი

ბ. ლობჯანიძე – ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი

ნ. ბაღრაშვილი – მდივანი /ჟურნალ სოციალური პედიატრის დაცვის ფონდის სწავლული მდივანი/

ლ. ჭაჭიაშვილი – მედიცინის დარგში „ბრწინვალეების ვარსკვლავის“ მფლობელი

შ. ხევსურიაძე – მედიცინის დარგში „ბრწინვალეების ვარსკვლავის“ მფლობელი

9. მედიცინაში არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივად დაწესებული „ბრწინვალეების ვარსკვლავის“, „ოქროს სტეტოსკოპისა“, „ოქროს ლან-

ცეტის“ და „ღირსეული მედიკის“ მფლობელი დასახელდეს (თუ ასეთი კანდიდატურა შეირჩევა რეკომენდებულითაგან), შექმნილი კომისიის მიერ, არაუგვიანეს 2017 წლის 1 მაისისა.

P.S. კონფერენციაზე დარიგდა: - გახეთი „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალები - „ბავშვთა კარდიოლოგია“, „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია“

- დისკზე ჩაწერილი ლექციები კონფერენციის ფარგლებში, მედიცინის სხვადასხვა დარგის ალიარებულმა კლინიკისტებმა ათობით პატარა პაციენტი უფასოდ. გახინჯეს თბილისში. გახინჯა 350-ზე მეტი ბავშვი (მათ შორის 5 თსსუ-ის ს და 5 კავკასიის სტუდენტთა ბავშვები და გადაეცათ უფასოდ ბავშვთა კვება და პიეიენის საშუალებანი).

დიდი მადლობა კონფერენციის ყველა აქტიურ მონაწილეს.



„ოძროს გუმბუშლის“ ფილოზოგი

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია გულითადად ულოცავს საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის წევრს, პროფესორ ნუგზარ ალექსიძეს დაბადების 80 წელს დირსეულ „ოქროს ბუმბულს“.

გულოცავთ საქართველოში მედიცინის დარგში „ოქროს სტეტოსკოპის“, „ოქროს ლანცეტის“ მფლობელთ.

„ოძროს სტატოსკოპის“ ფილოზოგი

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია გულითადად ულოცავს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვაჟა გვანცულაძეს დაბადების 85 წელს და დირსეულ „ოქროს სტეტოსკოპს“.



„ოძროს ლანცეტის“ ფილოზოგი

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია გულითადად ულოცავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რამაზ კუტუბიძეს დირსეულ „ოქროს ლანცეტს“.



ასახარდული ფრთა საერთაშორისო ფორუმზე და კვლევით ლაბორატორიაში



ასახარდულთან მუშაობა უნივერსიტეტში

არა ერთხელ და კიდევ ხასგასმით აღვიშნავთ, რომ უმნიშვნელოვანესია დღევანდელ დღეს უმაღლეს სასწავლებლებში ასახარდულთან პედაგოგიური პერსონალის ბოლომდე დახარჯვა და მათი სამეცნიერო მიმართულებაში სწორი ორიენტაციის მართვა. ასეთ რიცხვს ეკუთვნის თსუ-ის პროფესორი ბატონი ზურაბ კაკაბაძე, რომელიც ნიჭიერ ასახარდულთან ერთად კიდევ არარერთ ასახარდულს იტყვის საქართველოდან მედიცინის მსოფლიოს დიდ ორბიტაზე.



მედიკოს სტუდენტთა ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის (IFMSA) გენერალური ასამბლეა მალტაში 2016, 20 APRIL

2016 წლის 1 მარტიდან 8 მარტის ჩათვლით, საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (GMSA) წარმომადგენლები: დავით ჩახუნაშვილი, ალექსანდრე გვერეტაძე და ნიკოლოზ გვაზავა იმყოფებოდნენ მედიკოს სტუდენტთა ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის (IFMSA) გენერალურ ასამბლეაზე მალტაში. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია მედიკოს სტუდენტთა ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის წევრი გახდა.

საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტი მალტაში საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, მათ დირსეულად წარადგინეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ყველა არსებულ კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებაში. საერთაშორისო სტუდენტთა საზოგადოებას გააცნეს საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობები, გააღრმავეს ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის წევრ ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან.






Constantine Chakhunashvili and Charlie Chen



16 ივნისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტ „კონფლიქტური რეგონები საქართველოში: ისტორია და თანამედროვე გამოწვევები“ ფარგლებში მესამე ლექცია გაიმართა თემაზე აფხაზური და ოსური სა-

ზოგადოებების მდგომარეობა, შეხედულებები და პოზიციები. მომხსენებლები: გიორგი ანნაბაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ზურაბ ბენდიანიშვილი – კოალიციის „დევნილთა უფლებებისთვის“ აღმასრულებელი დირექტორი.

პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ „თანამშრომლობა მშვიდობისა და პროგრესისათვის“ ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის აპრილი-ივნისის განმავლობაში.



SOUTHEAST EUROPEAN MEDICAL FORUM
GEORGIAN MEDICAL ASSOCIATION
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY





ეპრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სამეცნიერო უნივერსიტეტის ახალგაზრდებთან მუშაობა


დღევანდელ დღეს უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდებთან პედაგოგიური პერსონალის ბოლომდე დახარჯვა და მათი სამეცნიერო მიმართულების სწორი მიცემა უმნიშვნელოვანესია. ასეთ რიცხვს ეკუთვნის თსსუ-ის პროფესორი ბატონი ზურაბ კაკაბაძე, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს აინტერესებს, თავის ირგვლივ იკრებს, მათთან მეგობრობს, სწორ სტრატეგიულ მიმართულებებს აძლევს. სწორედ ამიტომ მათთან ერთად მრავალ წარმატებას აღწევს და კიდევ მრავალ სიტყვას იტყვის საქართველოდან მსოფლიო მედიცინის დიდ ორბიტაზე.



IT IS PIVOTAL FOR GEORGIAN NATIONAL SECTION OF EUROSCIENCE TO COLLABORATE WITH YOUNG GENERATION

Nowadays, in high educational institutions it is very necessary that tutors put all of their effort to educate youngsters and give them right scientific directions. Dr. Zurab Kakabadze is one of those Professors who never fails to bring students together and make friends with them while also giving them best strategic directions.

That is why he and his students have many achievements and we hope, that they will definitely bring more fame to Georgia on the orbit of world medicine.





ახალი წიგნები




2016 წლის 20 იელის, შედგა მეთოდური წიგნის „ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში“ წარდგინება. ავტორები – თეიმურაზ მქიანაშვილი (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი) და ივორ დოლიძე (ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი),

რედაქტორი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიათა აკადემიკოსი გიორგი ჩახუნაშვილი. წიგნს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია და ამ დღეს დაიბადა – „ადაპტური ვაღუოლოგია“. გილოცავთ.



ბატონი ნიკა სააკაშვილის ორი უმნიშვნელოვანესი გამოცემა, რომელიც დღეს საჩუქრად მივიღეთ. უღრმესი მადლობა.



21.10.16.17.00. თბილისი. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი.

ამერიკაგაკსიის ექიმთა ლიგის ინიციატივით ჩატარდა საქელმოქმედო ღამეაზი საღამო. სადაც შესანიშნავი კონფერენციის შუალედებში სამედიცინო სფეროში გაწეული დეაწლისათვის საპატიო სტუმრებს გადაეცათ სიგელი და ჯილდო.



ორბინალური სტატიები და სამეცნიერო აქტიობანი



საქართველოს საზუნაბისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF NATURAL SCIENCES

სიღერობლასტური ანემიები (ანემიები, ლაკაფირებული კორპირინების სინთეზის ან უტილიზაციის დარღვევასთან)

ა.კვეზერელი-კოპაძე, მ.კვეზერელი-კოპაძე
პედიატრიის ინსტიტუტი, ბავშვ. და მოზრდ. ალერგიის ცენტრი;
თსსუ პედიატრიის დეპარტამენტი (თბილისი, საქართველო)

ეს არის დაავადებათა ჰეტეროგენული ჯგუფი, დაკავშირებული იმ ფერმენტების აქტივობის დარღვევასთან, რომლებიც მონაწილეობენ ჰემისა და პორფირინების სინთეზში. მათი პირველი აღწერა გამოაქვეყნა A.Cooley-მ 1945 წ. ტერმინი “სიღერობლასტური ანემია” შემოთავაზებულ იქნა Heilmeyer-ის (1957) მიერ (სიღერო-რკინა, აქრესტია-გამოუყენებლობა), რომელმაც აღწერა ჰიპოქრომული ანემიის ოჯახური შემთხვევა სიბსებში (დაავადებული იყო ორი ძმა), რომლებსაც აღენიშნებოდათ შრატის რკინის მომატება და მისი ჩალაგება ღვიძლსა და სხვა პარენქიმულ ორგანოებში. ლიტერატურაში ამჟამად უფრო ფართოდ გამოიყენება S.Bjorkman-ის (1958 წ.) მიერ რეკომენდებული ტერმინი “სიღერობლასტური ანემია” (SA).

რკინის შემცველობა სისხლის შრატში SA დროს მომატებულია. იგი ვერ გამოიყენება ჰემის სინთეზისათვის, რის გამოც აკუმულირდება ერთი დიდი რიგის წინამორბედი უჯრედების (ერთი რკინის ცენტრალურ ნაწილში ბირთვის ირგვლივ (ამ უჯრედებს სიღერობლასტებს უწოდებენ) და ქსოვილებში (ჰემოსიდეროზი). პორფირინების სინთეზის დარღვევით გამოწვეული ანემიების გარდა, რკინის მაღალი მარცვნილობის ფონზე, მიმდინარეობს ისეთი დაავადებები, როგორცაა აპლაზიური, დისერითროპოეზული, მეგალობლასტური ანემიები, ჰემოგლობინოპათიები, ჰემობლასტოზები და სხვ. ყველაზე ხშირი შეცდომის მიზეზი თალასემიაა.

სიღერობლასტური ანემიების კლასიფიკაცია
(E.Frenkel-ის, 1997; S.Robinson-ის და S.Glass-ის, 1998, მის.)

• თანდაყოლილი	1. სქესთან შეჭიდული 2. ალტოსომურ-რეცესიული 3. პირიდოქსინ-მორეაგირე
• შეძენილი	1. პირველადი (იდიოპათიური) 2. მეორადი ა) დაკავშირებული მედიკამენტებთან ან ტოქსიკურებთან (ანტიტიუბერკულოზური საშუალებები, ალკოჰოლი, ტყვია, ქლორამფენიკოლი და სხვა) ბ) ასოცირებული სხვა დაავადებებთან (მწვავე მიელოკენური ლეიკემია, იელოპროლიფერაციული დაავადებები, ჰიპოთირეოზი, მიელომა, რემატოიდული ართრიტი, მალაზსორბცია და სხვა)

თანდაყოლილი სიღერობლასტური ანემიები

ეს ფორმა პირველად აღწერილ იქნა Gundless-ის და Fall-ის მიერ 1946 წელს. იგი იშვიათი, X-ქრომოსომასთან (Xq13.1-q13.3) შეჭიდული რეცესიული დაავადებაა და განპირობებულია მუტაციებით ერთი დიდი-სპეციფიკური გენში (ALAS2). უპირატესად გვხვდება მამრობით სქესში, თუმცა არ გამოირიცხავენ აუტოსომურ-დომინანტური დამემკვიდრების შესაძლებლობაც. ამ შემთხვევაში დაავადება თანაბარი სიხშირით გვხვდება ორივე სქესში.

ჰემის სინთეზის დარღვევა, დაკავშირებულია პორფირინების სინთეზში მონაწილე ფერმენტების მეკვიდრებით დეფიციტთან. ამ დროს ხდება კოპროპორფირინის დეჰიდრაზას დაქვეითება, რაც იწვევს კოპროპორფირინის პორფირინად გარდაქმნის დარღვევას. რიგ შემთხვევებში არასრულფასოვნად ხდება დამინოლევულინის მქაფას სინთეზი. ეს ყოველივე არღვევს ჰემის წარმოქმნას. პორფირინების სინთეზის დარღვევის პირობებში, რკინა ვერ ერთვება ჰემის მოლეკულაში და ფაქტიურად არ გამოიყენება ერთი რკინის ატომი. რკინა გროვდება ერთი რკინის ცენტრში (სიღერობლასტებში), ქსოვილებსა და ორგანოებში (ღვიძლი, პანკრეასი, სათესლეები, და სხვა), რის გამოც ვითარდება ჰემოსიდეროზი.

დაავადების პირველი სიმპტომები შესაძლებელია გამოვლინდეს ბავშვთა ასაკში, მაგრამ ჩვეულებრივ ვითარდება მოზრდილებში. SA კლინიკურად ხასიათდება ზოგადანემიური სიმპტომებით: სისუსტე, მოღუნება, ადვილად დაღლა. აღნიშნული ჩივილები თანდათან პროგრესირებს. სიმპტომთა მეორე ჯგუფი დაკავშირებულია ჰემოსიდერინის დაგროვებასთან ორგანოებსა და სისტემებში, რაც იწვევს კანის მუქ შეფერვას, კეპატოსპლენომეგალიას (ღვიძლის ციროზის განვითარებად). რკინის ჩალაგება კუჭქვეშა ჯირკვალში შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტის განვითარების მიზეზი გახდეს. ზოგ ავადმყოფს აღენიშნება გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა, რაც გულის კუნთში რკინის ჩალაგებით აიხსნება. ჰემოსიდეროზმა შესაძლებელია გამოიწვიოს თირკმელზედა და სასქესო ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა.

ლაბორატორიული კვლევით ვლინდება ჰიპოქრომიული, მიკროციტული სხვადასხვა სიმძიმის ანემია, ანიზოციტოზით, მიკროციტოზით, პოიკილოციტოზით. ბავშვთა ასაკში ანემია ზომიერია (Hb-80-90გ/ლ), ასაკის მატებასთან ერთად, იგი მძიმდება (Hb-40-50გ/ლ), რეტიკულოციტების, ლეიკოციტების, თრომბოციტების რაოდენობა, ლეიკოგრამა – ასაკობრივი ნორმის ფარგლებშია.

შ დროს, ძვლის ტვინში აქტიურდება ერთრობოები. იცვლება ურთიერთშეფარდება ნორმოციტების სხვადასხვა ფორმებს შორის: იზრდება ბაზოფილური უჯრედების რაოდენობა და მკვეთრად მცირდება ჰემოგლობინიზირებული ოქსიფილური ნორმოციტების რიცხვი. დაავადების ძირითადი მახასიათებელი არის სიდეროპლასტების დიდი რაოდენობა (50-100%-მდე). ეს არის ერთრობიანი რივის ახალგაზრდა უჯრედები, რომლებსაც ციტოპლაზმაში, ბირთვის ირგვლივ, აქვთ ბეჭდისებურად ან გვირგვინივით განლაგებული ღურჯი ფერის მარცვლები. ეს უკანასკნელი რკინით გადავსებული მიტოქონდრია (ნორმაში ერთრობიანი რივის უჯრედების 20-60% შეიცავს არაჰემური რკინის 1-3 მარცვალს).

სისხლის ბიოქიმიურ ანალიზში აღინიშნება შრატის რკინის მნიშვნელოვანი მომატება (2-4ჯერ), სისხლის შრატით რკინის საერთო შემოჭვის უნარი ნორმაშია ან უმნიშვნელოდაა მომატებული, ტრანსფერინის რკინით გაჯერების კოეფიციენტი – მომატებულია (ზოგჯერ 100%-მდე), ფერიტინის დონე მაღალია.

მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მეთოდია პორფირინების განსაზღვრა. დადგენილია, რომ თანდაყოლილი ფორმების დროს დაქვეითებულია ერთრობიანების პროტოპორფირინი, ერთრობიანების კოპროპორფირინი კი ზოგს მომატებული აქვს, ზოგიერთს კი დაქვეითებული.

თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევისას, ვლინდება ნათხემის მძიმე, სელექტიური ატროფია.

უნდა აღინიშნოს, რომ თანდაყოლილი SA დროს ნაწლავებიდან რკინის შეწოვა სწრაფად ხდება, მაგრამ ცირკულაციაში არსებული სისხლიდან იგი მალე ქრება და დეპონირდება ქსოვილებში (რაც დასტურდება ბიოფსით). ამგვარად, ორგანიზმში რკინის საერთო რაოდენობა მუდმივად იზრდება.

მკურნალობა: თანდაყოლილი SA დროს გამოიყენება ვიტ. B₆ მაღალი დოზებში (200-300 მგ/დღე per os, ან 4-5 მლ 5%-იანი ხსნარი კუნთებში). მისი უეფექტობის შემთხვევაში, ხმარობენ პირიდოქსალფოსფატს (ვიტ. B₆ კოფერმენტი). ორგანიზმიდან ჭარბი რკინის გამოყვანის მიზნით გამოიყენება ჰელატორული თერაპია (ყოველთვიური კურსები, წელიწადში 3-6-ჯერ). ავადმყოფთა უმრავლესობა კარგად ექვემდებარება თერაპიას, სისხლის მაჩვენებლები სწორდება.

შემაქნილი სიფეროზული ანემია

შემაქნილი SA შეიძლება იყოს პირველადი (იდოპათიური), იგი მიეღობა სხვადასხვა სინდრომის ერთ-ერთი ქვეტიპია, და მეორადი, განვითარებული ზოგიერთი მედიკამენტის (ანტიტუბერკულოზური-იზონიაზიდი, სიმსივნის საწინააღმდეგო-ზატიოპრინი, აგრეთვე ქლორამფენიკოლი და სხვა) და ალკოჰოლის მიღების შემდეგ, აგრეთვე თავის ტვინის სიმსივნეების, რემატოიდული ართრიტის და ჰიპოთირეოზის დროს.

მეორადი SA ყველაზე გავრცელებულ მიზეზად ითვლება ტყვიით მოწამვლა (სატურნიზმი). პროფესიული მოწამვლის შემთხვევები ამჟამად იშვიათია, სა-

ყოფაცხოვრებო ტყვიით ინტოქსიკაცია კი საკმაოდ ხშირია, მათ შორის პედიატრიულ პრაქტიკაშიც. იგი შეიძლება განვითარდეს საკვებად იმ პროდუქტების გამოყენებისას, რომლებიც ინახება კუსტარული წარმოების მოკალულ ჭურჭელში. ბავშვები ხშირად იღებენ პირში სათამაშოებს, რომლებიც დაფარულია ტყვიის საღებავით, კედლების ბათქაშს, თაბაშირს, გაზეთებს, აგრეთვე ბევრია ტყვია ოთახის მტვერში, ნიადაგის ნაწილაკებში (>500მგ/კგ). ინტოქსიკაციის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ტყვიით დაბინძურებული სასმელი წყალი.

აღამიანის ორგანიზმში სასუნთქი გზებით ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან მოხვედრილი ტყვია გროვდება ორგანოებსა და ქსოვილებში, უპირატესად ძვლებში (92-95%). რიგ შემთხვევებში (ინტერკურენტული დაავადებები, ალკოჰოლი, კვებითი ინტოქსიკაცია), ტყვია შეიძლება გადავიდეს სისხლში და გამოიწვიოს მოწამვლა. ამ დროს ირღვევა დელტა-ამინოლეველინის მუავას გარდაქმნა პორფობილინოგენად, კოპროპორფირინოგენისა-პროტოპორფირინოგენად და რკინის ჩართვა პროტოპორფირინში. ეს 3 მეტაბოლური დეფექტი ჰემოგლობინის სინთეზში განპირობებულია ტყვიით ფერმენტების სულფჰიდრული ჯგუფების ბლოკირებით. ამის შედეგად, ერთრობიანი რივის უჯრედებში გროვდება დელტა-ამინოლეველინის მუავა, იმატებს პროტოპორფირინის, კოპროპორფირინოგენისა და რკინის შემცველობა. ტყვია აზიანებს რიბოსომებს, მათი შემდგომი აგლუტინაციით, აგრეთვე კავშირს ამყარებს უჯრედის მემბრანის ცილებთან.

კლინიკურ სურათში დომინირებს ნერვული სისტემის დაზიანება. ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, გაღიზიანებადობას, ცუდ ძილს. შესაძლებელია ჰიპერკინეზული სინდრომის და ტრანზიტორული პარეზების განვითარება. ტყვიით მძიმე მოწამვლისას ვითარდება პოლინევრიტი, ენცეფალოპათია, კრუნჩხვა. გასინჯვისას ყურადღებას იპყრობს კანის სიფერმკრთალე მონაცრისფრო-მიწისფერი ელფერით ე.წ. „ტყვიისმიერი სიფერმკრთალე“, დამახასიათებელია ტყვიის არშიის გაჩენა ღრძილებზე კბილის ყელთან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანება ვლინდება უმადობით, ლითონის გემოთი პირის დრუში, გულისრევით, ღებინებით, დისპეფსიური მოვლენებით, ჩნდება ტყვიისმიერი კოლიკა, რომელიც „შუვავე მუცლის“ სიმულაციას იძლევა. ტოქსიური მოქმედება ღვიძლზე იწვევს ტყვიისმიერ ჰეპატიტს, გულზე – ტოქსიურ მიოკარდიტს. ტყვიით ინტოქსიკაციისას ქვეითდება ორგანიზმის იმუნორეაქტიულობა, რაც კანის ჩირქოვან-ანთებითი და რესპირაციული დაავადებების მიზეზი ხდება.

ლაბორატორიული მონაცემებით, ტყვიით ინტოქსიკაციისას, ვლინდება სხვადასხვა სიმძიმის ჰიპოქრომიული ანემია. მორფოერითროგრამაზე ერთრობიანი მკვეთრად ჰიპოქრომიულია, დამახასიათებელია ანიზოციტოზი გადახრით მიკროციტოზისკენ, ჩნდება საშიზისებური ერთრობიანები. ტყვიით მოწამვლის დამახასიათებელი მუდმივი სიმპტომია ერთრობიანებში უხეში ბაზოფილური მარცვლოვანება. რეტიკულოციტების რაოდენობა ნორმაშია ან უმნიშვნელოდ იმატებს, ლეიკოციტები და თრომბოციტები – ნორმის ფარგლებშია. ერთრობიანთა მემბრანის ტყვიით დაზიანების გამო, ზოგჯერ აღინიშნება ერთრობიანთა ზომიერი ჰემოლიზი, კუმბსის რეაქცია - სუსტად დადებითია.

ძვლის ტვინის შესწავლით აღინიშნება ერთრობი-

დული რიგის უჯრედების ჰიპერპლაზია, იზრდება ერთობლასტების, ბაზოფილური ნორმოციტების რაოდენობა, შემცირებულია ჰემოგლობინიზირებული ოქსიფილური ნორმოციტები. პათოგნომურად ითვლება სპეციალური საღებავით (ბერლინის ლურჯი) შეღებილი ბეჭდისებური სიდერობლასტების რაოდენობის მომატება (70%-მდე).

სისხლის ბიოქიმიურ ანალიზში დამახასიათებელია შრატის რკინის მომატება (2-4-ჯერ), ტრანსფერინის რკინით გაჯერების კოეფიციენტი გაზრდილია 100%-მდე, სისხლის შრატით რკინის საერთო შებოჭვის უნარი და ფერიტინი მომატებულია.

ტყვიით მოწამვლის დიაგნოზის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყვიის შემცველობის გაზრდას სისხლში 0,5-0,6 მკ/ლ-ზე მეტად (N-0,005-0,3 მკ/ლ) და შარდში 0,05 მკ/ლ-ზე მეტად, აგრეთვე შარდში δ - ამინოლევულინის მუავასა და კოპროპორფირინის გამოყოფის მომატებას.

ტყვიით ქრონიკული მოწამვლისას ქვემო კიდურების რენტგენოგრაფიით აღინიშნება მუხლის სახსრის სასახსრე ნაპრალის გაგანვირება და გამკვრივება, კალციფიკაციის უბნების გაჩენა ბარძაყის ძვლის დისტალურ და დიდი და მცირე წვივის პროქსიმალურ ნაწილებში (ე.წ. ტყვიის ზოლები).

SA დროს დიფ. დიაგნოზი უნდა გატარდეს სხვა ჰიპოქრომულ ანემიებთან, უპირველეს ყოვლისა რკინადეფიციტურ მდგომარეობებთან და ჰემოგლობინოპათიებთან (თალასემია). დიფერენცირება საჭიროა აგრეთვე ჰემოსიდეროზით მიმდინარე დაავადებებთან, როგორცაა მემკვიდრეობითი ჰემოქრომატოზი, სიდეროქრესტიული მდგომარეობანი აპლაზიური ანემიების, დისეროთროპოეზული ანემიების, სიმსივნური პროცესების დროს და სხვა.

SA მკურნალობის ეფექტს განსაზღვრავს მიზეზის დადგენა და მისი მოცილება. შექნილი SA დროს მკურნალობა ვიტ. B₆ - ნაკლებად ეფექტურია, არის ერთეული ცნობები ანდროგენების წარმატებულ გამოყენებასთან დაკავშირებით. პირველადი შექნილი ფორმის დროს, გამოიყენება ერთობლივი, მძიმე შემთხვევებში - ჰემოტრანსფუზია.

ტყვიით მოწამვლის მკურნალობა გულისხმობს კომპლექსონების გამოყენებას - ეს არის ნიეთიერებები, რომლებიც ბოჭავენ ტყვიას და გამოყავთ ის ორგანიზმიდან.

პრევენციული ღონისძიებები: თანდაყოლილი SA დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ოჯახური ანამნეზი. ლიტერატურული მონაცემებით, SA გადატანიდან 10 წლის განმავლობაში არის მაღალი რისკი მწვავე არალიმფობლასტური ლეიკემიის განვითარებისა, ამიტომ აუცილებელია ასეთი ავადმყოფების პერიფერიული სისხლის კონტროლი. ტყვიით მოწამვლის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა სიფრთხილე ძველი სახლების რეკონსტრუქციის, ტყვიის საღებავების გამოყენების დროს. ყველა ბავშვი, რომელიც ტყვიით მოიწამლა, 5-6 წლის ასაკში საჭიროებს შემოწმებას - სმენის, მხედველობის, მეტყველების თვალსაზრისით.

პრევენციული ღონისძიებები: თანდაყოლილი SA დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ოჯახური ანამნეზი. ლიტერატურული მონაცემებით, SA გადატანიდან 10 წლის განმავლობაში არის მაღალი რისკი მწვავე არალიმფობლასტური ლეიკემიის განვითარებისა, ამიტომ აუცილებელია ასეთი ავადმყოფების პერიფერიული სისხლის კონტროლი. ტყვიით მოწამვლის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა სიფრთხილე ძველი სახლების რეკონსტრუქციის, ტყვიის საღებავების გამოყენების დროს. ყველა ბავშვი, რომელიც ტყვიით მოიწამლა, 5-6 წლის ასაკში საჭიროებს შემოწმებას - სმენის, მხედველობის, მეტყველების თვალსაზრისით.

რეზიუმე

სიდერობლასტური ანემიები

ა.კვეზერელი-კოპაძე, მ.კვეზერელი-კოპაძე

(პედიატრიის ინსტიტუტი, ბავშვ. და მოზრდ. ალერგიის ცენტრი; თსუ პედიატრიის დეპარტამენტი. თბილისი, საქართველო)

ეს არის დაავადებათა ჰეტეროგენული ჯგუფი, რომელიც ხასიათდება პერიფერიულ სისხლში ჰიპოქრომული ერთობლივების არსებობით, ძვლის ტვინში რკინის მაღალი შემცველობით და პათოლოგიური სიდერობლასტების გაჩენით. დიაგნოზი დგინდება იმ შემთხვევაში, თუ ძვლის ტვინში ერთობლასტებს შორის, სიდერობლასტი 15%-ზე მეტია. ანსხვავებენ სიდერობლასტური ანემიების თანდაყოლილ და შექნილ ფორმებს. მათ აერთიანებთ ერთი საერთო ნიშანი - ჰემის სინთეზის დარღვევა. თანდაყოლილი ფორმები X ქრომოსომასთან შეჭიდული რეცესიული დაავადებებია, განპირობებული მუტაციებით ერთობლივ-სპეციფიურ გენში, რაც იწვევს დ-ამინოლევულინის მუავას არასრულფასოვან სინთეზს და ჰემის წარმოქმნის დარღვევას. პირველადი, შექნილი სიდერობლასტური ანემიები მიელოდისპლაზიური სინდრომის ერთ-ერთ ქვეტიპს მიეკუთვნება. მეორადი ვითარდება ზოგიერთი მედიკამენტის (იზონიაზიდი, აზათიოპრინი, ქლორამფენიკოლი და სხვა), ალკოჰოლის მიღების შემდეგ, აგრეთვე გვხვდება თავის ტვინის სიმსივნეების, რევმატოიდული ართრიტის და ჰიპოთირეოზის დროს. მეორადი სიდერობლასტური ანემიების ყველაზე გავრცელებულ მიზეზად ითვლება ტყვიით მოწამლევა.

SUMMARY

SIDEROBLASTIC ANAEMIA

A.KVEZERELI-KOPADZE, M.KVEZERELI-KOPADZE

Institute Pediatrics, Allergy center of child and adults, Ped.Department TSMU

This is refractory anaemia with hypochromic cells in the peripheral blood and increased marrow iron, it is defined by the presence of many pathological sideroblasts in the bone marrow. Sideroblastic anaemias diagnosed when 15% or more of marrow erythroblasts are sideroblasts. This anaemia is classified into different types and the common link is a defect in haem synthesis. In the hereditary forms the anaemia is usually characterized by a markedly hypochromic and microcytic blood picture. The most common mutations are in the δ -aminolaevulinic acid synthase gene which is on the X chromosome. The much more common primary acquired form is one subtype of myelodysplasia. Sideroblastic anaemia may also be caused by drugs such as isoniazid, azathioprine, chloramphenicol, alcohol, malignant diseases of the marrow, rheumatoid arthritis and hypothyroidoses. Further, lead poisoning is linked to sideroblastic anaemia: it interferes with several steps in protoporphyrin synthesis and blocks the placement of iron into the centre of the protoporphyrin ring.

საქართველოში პედიატრიის მიმდინარე აქტუალური საკითხები: ერთობლივი სტატიების მიმოხილვა

ლიანა სირაძე მ.მ.დ., ახთანდოლ კვებურელი-კოპაძე მ.მ.დ.; ბიორბი ჩახუნაშვილი მ.მ.დ.

1. რესპირატორული ვირუსული ინფექციების გავრცელების თავისებურებები ქ. თბილისის საბავშვო ბაღებში და საჯარო სკოლებში და მათი პრევენციული ღონისძიებები.

„ყველა ბავშვი თავის ცხოვრების ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად იმყოფება აღმზღელობითი სახის დაწესებულებაში, როგორც არის საბავშვო ბაღები და საჯარო სკოლები. ბუნებრივია ასეთ დაწესებულებებში, სადაც თავშეყრილია ბავშვების დიდი რაოდენობა, გამორიცხული არ არის მუდმივი ინფექციური კერების არსებობა. ეს კი თავის რიგად ძლიერ დამორგველ პროცესებს იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ირღვევა ფიზიკური ჯანმრთელობა. ზიანდება ორგანიზმის სისტემები და ორგანოები, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა, ფსიქიკური სფეროს მდგომარეობა, ქცევითი ჯანმრთელობა, ადამიანის მდგომარეობის ქცევითი ადექვატურობა და ურთიერთობის უნარი.

თუ ჩვენ გვინდა ნორმალურად წავმართოდ ბავშვის აღზრდის პროცესები პირველ რიგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ დაწესებულებებში როგორი ღონისძიებები ტარდება ამ ინფექციების შემცირებისთვის.

ვინ უნდა იზრუნოს ინფექციების ეპიდლონისძიებების გავრცელების საკითხზე? თუ არა სამედიცინო პერსონალმა, რომელიც საუბედუროდ საბავშვო ბაღებში დღემდე გათვალისწინებული არ არის.

დადგა დრო, როდესაც ყველამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ საბავშვო ბაღის სამედიცინო პერსონალი აღმზრდელობითი მოვალეობაა პირველადი და მეორადი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების საჭიროება. პირველადი გულისხმობს ბავშვთა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ცხოვრების მაღალი ხარისხის და ოპტიმალური წესის უზრუნველყოფას და გარემო პირობების დაცვას. მეორადი პროფილაქტიკის მიზანია დაწესებულებაში დაავადებათა ადრეული გამოვლენა და მათი კოლექტივიდან იზოლირება, რათა სასწრაფოდ განხორციელდეს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

ამ დღეებში ჩვენ შეხვედრა გვქონდა განათლების სამინისტროს და „იუნისეფის“ წარმომადგენლებთან. რომლებმაც წარმოადგინეს საბავშვო ბაღების აღმზრდელობითი გეგმა – სტანდარტი. ამ გეგმის მიხედვით ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხების მხრივ თითქმის არაფერია წარმოდგენილი.

ნუთუ შეუძლებელია ამ პრობლემის დროულად მოგვარება? საუბედუროდ ამ დღემის გადაწყვეტა მარტო განათლების ორგანოებისთვის შეუძლებელი გახდა. ეს მეთოდურად უნდა იქნეს განხორციელებული, რომ ბავშვთა კოლექტივში სისტემატურად არ ვრცელდებოდეს ვირუსულ-რესპირატორული ინფექ-

ციები ან სხვა ინფექციები, რომელთა მიმართ განსაკუთრებულად მგრძობიარენი არიან ხშირად მოავადე ბავშვები. 2015წ.

ამჟამად საქართველოს ბავშვ ბაღებში სამედიცინო პერსონალის არსებობა სავალდებულოა

2. „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“ 2012 საქართველოს პედიატრთა ასოციაციის რესპუბლიკური ყრილობა თბილისში

10 წლის წინ ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“-ისთვის. ამ პერიოდში შეიქმნა სტრატეგია „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის ელემენტები და მათი უზრუნველყოფის მექანიზმები“ მთავრობის და სკოლის ადმინისტრაციისთვის. დაიწყო საიფორმაციო კამპანია საზოგადოების სხვადასვა ფენებისთვის. აღიანისი „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“-ის წევრთა რიცხვი გახდა წარმომადგენლობითი. მოძრაობაში ჩაერთო პედიატრთა ორი საზოგადოება ფონდი და ასოციაცია, და რადგან ბატონი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე იყო პირველი პედიატრი მებრძოლი, 2014წ. მას გადაეცა აღიანისის პირველი „სკოლის ზარი“. ნიშნად „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“-ისთვის განხორციელებული და განსახორციელებელი ღვაწლისთვის.

ნაწყვეტი სტატიიდან „როგორც იქნა ამ ბოლო დროს დიდი ბრძოლოს შედეგად საქართველოს 100 სკოლაში გამოიყო ექიმის საშტატო ერთეული, რისთვისაც დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებს ასეთი საჭირო ღონისძიების გატარებისთვის. აღნიშნულ საშტატო ერთეულზე ძირითადად დაინიშნა უბნის და ოჯახის ექიმები, რომელთაც მეტად ნაკლები გამოცდილება აქვთ ამ დარგის დაწესებულებებში მუშაობისა. მაშინ როდესაც სკოლის ექიმის როლი მეტად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს და გამოირჩევა ჯანდაცვის ორგანიზაციის მრავალფეროვნებით. ამას კიდევ ემატება ის გარემოებაც, რომ ახლად დანიშნულ სკოლის ექიმებს სპეციალურად დამუშავებული დებულებაც კი არ აქვთ, რითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.“ (პროფესორი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე; 2015წ)

3. „საკვები დანამატები, ფორტიფიკაციის პროგრამები და მათი ალტერნატიული შესაძლებლობები საქართველოში.“ 1 JUNE 2016 “Nutrition supplementation -fortification programs and alternative way of prevention in Georgia”. 3 თვით ადრე საკითხი ექსპერტების მიერ განხილული იქნა კომიტეტის სხდომაზე პარლამენტში

ავთანდილი კვეზერელი-კოპაძე „1. თოთოეული ის ნივთიერებები, რომლებიც უნდა გამოყენებული იქნეს

პურის ფვილის შერევაში, თერმოსტაბილურია (თერ- მული დამუშავების შემდეგ), რამდენად უვნებელია ბავშვის, მეტეორული დედის, ორსულის და სხვა რისკ ჯგუფების ორგანიზმისთვის) რამდენად კარგავს ან ინარჩუნებს მის კვებით დანამატის ფუნქციას, რად- გან ცნობილია, რომ პურის ცხობა მიმდინარეობს 250 გრადუსზე და მეტზე, რკინა კი არის მძიმე ტოქსიუ- რი ელემენტი, რომელიც მაღალ თემპერატურაზე იწვევს ღებობას. 2. არ არსებობს შედეგების მონიტო- რინგი საქართველოში 2005/6 წლებში განხორციელებულ პურ-პროდუქტების გამდიდრების პროექტებზე, არ არის შეფასებული განხორციელებული პროექტის შედეგი, შედარებით ანალიზი, დაფუძნებული მოსახ- ლეობაში სამიზნე დაავადებების ან დეფიციტური მდ- გომარეობის კვლევაზე, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრ- ში მიმდინარეობს დაავადებების ეპიდემიური გავრცე- ლების კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედება ფორ- ტიფიცირების პროგრამას.

4. რკინის ფარული დეფიციტის და რკინადეფიცი- ტური ანემიის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმის მკურნალობა შესწავლილი იქნა ლიანა სი- რადის საკანდიდატო დისერტაციაში ავთანდილ კვე- ხერელი კოპაძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით. კვლევის შედეგები წარდგენილი იყო პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენსებზე. მათ შორის ფიზიოთერაპევტთა და კურორტოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების მე-9 ყრი-

ლობაზე. შედეგად, კვლევის რეკომენდაციების სა- ფუძველზე რკინადეფიციტური ანემია-როგორც ცალკე ნოზოლოგია, შეტანილი იქნა საკავშირო ფიზიოთერაპიული და კურორტული მკურნალობის ჩვენებებში. ასევე, შრომა მიღებული იქნა როგორც მოხსენების ასევე პრეზენტაციის უფლებით Third In- ternational WHO Conference on Children’s Health and the Environment “From Knowledge and Research to Policy and Action” 7-10 June 2009.

5. კურორტოლოგიის და ბალნეოლოგიის როლი ბავშვთა დაავადებების რეაბილიტაციაში. საქართვე- ლოს პედიატრიის ასოციაციის საიუბილეო ჟურნალი 2015წ. საქართველოს 108 კურორტს და 167 საკურორ- ტო ადგილს გააჩნია ბავშვის და მოზარდის ორგა- ნიზმზე ეფექტური გამაჯანსაღებელი, რეაბილიტაცი- ური ზემოქმედება. მრავალფეროვანი მდიდარი საკურორტო და ბალნეოლოგიური რესურსების მო- ზანმიმართული გამოყენება ქვეყნისთვის არის ეკონო- მიურად ეფექტური სარეაბილიტაციო-პრევენციული საშუალება. ამავე დროს ბოლო წლების ავადობის სტატისტიკური მონაცემებით ბავშვთა სასუნთქი სის- ტემის და აღერგიული დაავადებების მაღალი მაჩვე- ნებლები მიუთითებს გასატარებელი სამკურნალო პრევენციულ-სარეაბილიტაციო მეთოდების გამოყენე- ბის აუცილებლობაზე. ბალნეოლოგიური და კუ- რორტული ფაქტორების დასაბუთებული გამოყენება პედიატრიაში ხელს შეუწყობს ბავშვთა და მოზარდ- თა გაჯანსაღებას.

რეზიუმე

საქართველოში პედიატრიის მიმდინარე აქტუალური საკითხები: ერთობლივი სტატიების მიმოხილვა.

ლიანა სირაძე მ.მ.დ., [ავთანდილ კვეხერელი-კოპაძე] მ.მ.დ.; გიორგი ჩახუნაშვილი მ.მ.დ.

- სტატიაში გაანალიზებულია:
- 1. რესპირატორული ვირუსული ინფექციების გავრცელების თავისებურებები ქ. თბილისის საბავშვო ბაღებ- ში და საჯარო სკოლებში და მათი პრევენციული ღონისძიებები.
- 2. „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“
- 3. „საკვები დანამატები, ფორტიფიკაციის პროგრამები და მათი ალტერნატიული შესაძლებლობები საქარ- თველოში.“
- 4. რკინის ფარული დეფიციტის და რკინადეფიციტური ანემიის მსუბუქი და საშუალო ფორმის მკურ- ნალობა.
- 5. კურორტოლოგიის და ბალნეოლოგიის როლი ბავშვთა დაავადებების რეაბილიტაციაში, შრომების მნიშვნელობანი.

SUMMARY

PRESENT ACTUAL ISSUES OF PEDIATRIC IN GEORGIA- OVERVIEW OF PUBLISHED ARTICLES

L.SIRADZE PhD, A. KVEZERELI-KOPADZE PhD. G. CHAKHUNASHVILI PhD.

- Summarize the hard scientific pediatric activity during several years present work’s main subjects are
- 1. To resolve the dilemma: kindergarten & preschool as Infection spot that cause of seasonal epidemics.
- 2. Health & Safe school ‘s main principal implementation.
- 3. Nutrition supplementation -fortification programs and alternative way of prevention in Georgia 4. New methods of treatment and prevention Latent Iron Deficiency and light and middle form of Iron Deficiency Anemia
- 5. The indication of Georgia Resort and Spa therapy for rehabilitation and prevention in pediatry.

საქართველოს ჰუმანიტარულ და
სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია
Humanitarian and Art Academy of Georgia



პროფესორი
დემურ ბაშელაიშვილი,
საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

მეცენატიდან „მეცენატაშვილ“ (ნაწყობი წიგნიდან)

ანტიკური ეპოქის რომის იმპერიის „ოქროს ხანის“ მოკალმეთა და მოყალმეთა მფარველი და იმე-
ლი, ქველმოქმედების სიმბოლოდ გარდასახული გაიუს ცილინიუს მეცენატი წარმომავლობით ეტრუს-
კელი არისტოკრატი იყო. რომის ძლევაშემდგომი იმპერატორის გაიუს ოქტავიანე კეისარ ავგუსტუ-
სის სახელმწიფო პოლიტიკამ სწორედ მას, თვითონაც პოეტს, შეაძლებინა ბოლომდე გახარჯული-
ყო ხელოვნების სიყვარულში და ყოფილიყო ნიჭიერ შემოქმედთა უშუალო მფარველი ქომაგი.

ჩემი შეხნიერებული ცხოვრების მანძილზე ბევრ აჩემებულ მოგუნებებს ავუზვირთებდარ, მაგრამ მე-
ცენატის სამჯობინო სახელი განსაკუთრებით მიღრღნიდა გულს. წვითა და დაგვიტ, წლების მანძილზე,
მეცენატის შესახებ მოდიებულ მტკვრმოკიდებულ ფოლიანტებში, ეტრუსკთა შესახებაც ბევრ მასალას მი-
ვაკვლიე. უამთა სიმრავლის გამო ყველა როდია სარწმუნო, ზოგიც ბუნდოვანებით მოცულ სქელ ნისლე-
ულშია გახვეული და ჭეშმარიტების დადგენა ერთობ რთულია, თუმცა, როგორც დევიდ ჯეროლდი ბრძა-
ნებდა – „აბსოლუტური ჭეშმარიტება მხოლოდ ისაა, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს“.

ჩემო გულისყურიანო მკითხველო, მოკრძალებით გთავაზობ, მცირე ნაწყვეტს ჩემი შემონაქმელი წიგ-
ნიდან „მეცენატიდან „მეცენატაშვილ“.

მაშ, ასე: წინ – ეტრუსიისკენ! წინ – წარსულისკენ!

თავი I

მობზაურობა ქამით ქამაშვი

უფრო ძველ ამბავთა ზუსტი გამორკვევა
ვერ მოხერხდა დროის სიშორისა გამო.
თუკიდიდე

ისტორიის ავანსცენაზე ეტრუსკები პირველად ძვე-
ლი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში ჩნდებიან, როცა
მათ დაიწყეს თანამედროვე იტალიის ჩრდილოეთში, მდი-
ნარე პოს მიმდებარე ველებზე, დამკვიდრება და ადგი-
ლობრივ მოსახლეთა დამორჩილება. ეტრუსკთა წარ-
მომავლობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, გარ-
და იმ ლეგენდისა, რომელსაც წერილობით გვაწვდის
ციცერონის მიერ „ისტორიის მამად“ შერაცხული, ძვე-
ლი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ჰალიკარნასელი
(დაახლ. ძვ.წ. 485–424). შეგახსენებთ, რომ ჰეროდოტეს
თვალსაზრისს გვიდასტურებენ ეგვიპტური წყაროებიც.
იგივე ცნობები დაგვიტოვეს რომაელმა პოლიტიკურმა
მოღვაწეებმა მარკუს პორაციუს კატონმა (ძვ.წ. 234–149),
მარკუს ტულიუს ციკერონმა (ძვ.წ. 106–43) და მეცენა-
ტის თანამედროვე რომაელმა პოეტმა კვინტუს ფლა-
კუს პორაციუსმა (ძვ.წ. 65–8). მოგვიანებით ყოველივე
ამაში დაგვარწმუნებს ძველი ბერძენი მწერალი, ისტო-

რიკოსი და ფილოსოფოსი პლუტარქე ქერონელი (და-
ახლ. 46/50-125/127). შეიძლება უამბავს უფროსი
ბევრ ცნობას არ ჰქონდეს უტყუარი ღირებულება, მაგ-
რამ არსებული ჰიპოთეზები ყოველთვის საინტერესოა
და ხშირ შემთხვევაში ანგარიშვასაწვევი ჭერეტაა წარ-
სულისა, რომელიც სადღაც მომავალში გველოდება. აქ-
ვე მოკრძალებით შევნიშნავ, რომ, ზოგი მეცნიერის აზ-
რით, ავინზე ეტრუსკები, ისევე, როგორც ბალკანეთ-
ზე პელასგები და პირინეზე იბერიელები, პროტოქარ-
თველური ეთნოსის შთამომავლებად მიიჩნევიან და სა-
ბოლოო სამკვიდრებელშიც საერთო ქართული ადგილ-
სამყოფლიდან გადასახლებულან, თუმცა ეს ენიგმატუ-
რი ვარაუდი სცდება ჩვენი კვლევის თემას...

ჰოდა, ლეგენდის თანახმად, მშობლიური ლიდიიდან
(ძველი სახელმწიფო მცირე აზიის დასავლეთ ტერი-
ტორიაზე) აყრილი ბედის მადიებელი ხალხი ლიდი-
ის მეფე ტირსეის სეფეწულის წინამძღოლობით ზღვა-

ზე ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მიადგა დღევანდელი აპენინის ნახევარკუნძულს და იქ, თანამედროვე უმბრიისა და ტოსკანის მისადგევარში, იწყო ქალაქების მშენებლობა. კალამი გაიბრბის, რომ აქვე ჩაეწეროს:

ქრისტეს შობიდან 1452 წლის გაზაფხულზე, სწორედ აქ, ტოსკანის მხარეში, პატარა სოფელ ვინში, ლამაზმა გლეხის ქალმა კატარინა დე ანკიანომ კაცობრიობას მისცა თავისი უკანონო შვილი – ლეონარდო და ვინჩი, შემდგომში რენესანსის ეპოქად სახელდებული ხანის იტალიელი გენიოსი, ჯოკონდას განუმეორებელი დიმიდი რომ დაგვიტოვა. მოგვიანებით, 1475 წლის გაზაფხულზე, აქვე, ტოსკანის პატარა ქალაქ კაპრაზეში, სამყაროს მოეგვინება კულტურის აღორძინების განსაკუთრებული და ბობოქარი გარემოს ტიტანი მიქელანჯელო ბუონაროტი, რომელიც ტოსკანის ყველაზე თეორ საბადოებში, ირჩევდა ქათქათა ქვებს პლასტიკაში განსხეულებული გაშიშვლებული მშვენიერების შესაქმნელად. მეცენატიც რომ წინადროინდელი ტოსკანის ქალაქ არეცოს მკვიდრია, – ბევრი მკვლევარი ასე არ მიიხნევს? პოდა, „ღვთაებრივ კაცთა“ სიმრავლე, ტოსკანისთვის უფლის მიერ მიმადლებული უკიდევანო წყალობაა.

ახლა კი, კვლავ ჩრდილოეთ აპენინების მთისძირეთისკენ მივიხედოთ, სადაც მდინარე რენოს ნაპირებზე, გაშენებული ქალაქი ფელსინა, ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან ეტრუსკთა დედაქალაქი რომ იყო, ძვ. წ. IV საუკუნეში ბოიების ტომებმა დაპყრობის შემდეგ მას ბოლონია უწოდეს. სწორედ აქ, XI საუკუნის ბოლოს დაარსებულ ევროპის უძველეს უნივერსიტეტში, XX საუკუნის მიწურულს, შეიქმნება ბოლონიის სისტემად სახელდებული განათლების გარდაქმნის მოდელი, XXI საუკუნის გარიურაჟზე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას მოდის პოდიუმზე მოლივლივე უსახო მანეკენივით რომ გადაუვლის; თუცა კვლავ ეტრუსკების ზეობის ხანას მივუბრუნდეთ.

ეტრუსკებმა ძალე დაიკავეს შუა და ჩრდილოეთ აპენინის ნახევარკუნძულის ვრცელი ტერიტორია, გააშენეს ათეულობით დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფო (პოლისი), რომელთაც მეფეები – ლუკუმონები – მართავდნენ. ძვ. წ. VI საუკუნეში კი შექმნეს 12 ქალაქი-სახელმწიფოს გაერთიანება – ეტრურია, რომელსაც სათავეში უზენაესი ქურუმი ედგა. აღსანიშნავია, რომ ქალაქებს შორის ყველაზე დიდი და ძლიერი ტარკინია გახლდათ და ქალაქი-სახელმწიფოების გაერთიანებასაც ძირითადად ტარკინიელები განაგებდნენ.

ეტრუსკებმა განსაკუთრებულ ძლიერებას ძვ. წ. VI საუკუნეში მიადღეს: დაიმორჩილეს აპენინის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი – ალპების სამხრეთი მთისწინეთიდან ნეაპოლიტანურ ყურემდე, დაიპყრეს ლაციუმი, დაამარცხეს ბერძნები და კორსიკელები, რომზეც გაილაშქრეს და ტირენის ზღვის სანაპირო ტერიტორიებიც წაართვეს; გახდნენ მთელი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ბატონ-პატრონი და ზღვაზე ძალაუფლებას მხოლოდ კართაგენთან იყოფდნენ. ეტრურის გავლენიანმა არისტოკრატიამ ისიც მოახერხა, რომ რომის ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის თავს მოეხვია ეტრუსკული წარმომავლობის ტარკინიუსების გვარის სამეფო დინასტია.

ეტრუსკულმა ცივილიზაციამ 7 საუკუნე იარსება და აყვავების ხანა ძვ. წ. VI–V საუკუნეებში დაუდგა. ეტრუსკებმა შექმნეს განსაკუთრებული თვითმყოფადობით გამორჩეული ავტოქთონური კულტურა, რაც არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. ეს გახლავთ მონუმენტური და თაღოვანი არქიტექტურა, მუსიკოსებისა და

მოცეკვაეებით მოხატული აკლდამები და მდიდარი სამარხები, ბრინჯაოსა და ტერაკოტის ქანდაკებები, ჭედურობები და ლარნაკები, ფილიგრანული სამკაულები და სპილოს ძელისგან დამზადებული ნაკეთობანი. ეს კი ეტრუსკული კულტურის ონტოგენეზის უტყუარი დასტურია, თუმცა მასში თითქოსდა გამოკრთის შორეული ენოლუსური ცივილიზაციის ანარეკლი. ამ კულტურის ფუძემდებელი ცალკეული ქალაქები გამოირჩეოდნენ იქ განსაკუთრებით განვითარებული ხელოვნების სხვადასხვა დარგით: ტარკინი – ფერწერით, ვეი – პოლიქრომიული ქანდაკებით, კლუსუნუმი – ბრინჯაოს პლასტიკით... ამიტომაცაა, რომ ტარკინის შემოგარენის ვრცელ ნეკროპოლში ნაპოვნ აკლდამებში, რომელთაც დიდების ტრფიალი ეტრუსკული მეფეები და არისტოკრატები სიცოცხლეშივე იშენებდნენ, ქანდაკებებისა და ფერწერის სიუხვეა. ეტრუსკთა რელიგიების პოლითეისტურობის გამო მათ ქალაქებში გაფანტული მრავალრიცხოვანი ტაძრებიც მრავალფეროვანი იყო. სამწუხაროდ, ამ ტაძრებიდან ბევრი არაფერი შემორჩა – ისინი რომაელთა თარეშს ემსხვერპლდნენ, მაგრამ ჩვენამდე მოადღია ეტრუსკთა ნიჭიერების დამადასტურებელმა უამრავმა ქმნილებამ, განსაკუთრებით, დეკორითა და კომპოზიციით გამორჩეულმა სკულპტურულმა ჯგუფებმა, რომელთა უმრავლესობა ხელოვნების ჭეშმარიტი შედევრია. ქანდაკებაში განსაკუთრებით გამორჩეული და მნიშვნელოვანია ეტრუსკული პორტრეტი, რომლის საფუძველზე შემდეგ ჩამოყალიბდა რომაული კლასიკური პორტრეტული ქანდაკება. და, საერთოდ, დინამიკური და ექსპრესიული ეტრუსკული ხელოვნება ჯერ რომაული, შემდეგ კი მთელი დასავლური ცივილიზაციის ფუძეთა ფუძე ხდება.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ეტრუსკები თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე ანატოლიიდან ან ლიდიიდან მოსული ხალხია და მათი ენა კავკასიური და ბასკური-იბერიული ენებს ენათესავება. ეტრუსკული ენა აგლუტინაციური ტიპისაა და გრამატიკული სტრუქტურითა და ლექსიკით ძალიან ჰგავს ქართველურ ენებს. ქართველი მეცნიერი რისმაგ გორდუხიანი, ვარაუდობს, რომ კავკასიიდან აპენინებზე დამკვიდრებულ ტომთა მიერ შექმნილი ე.წ. კავკასიური სუბსტრატული ჩამოყალიბებულა ეტრუსკული ენა. თუ იმასაც გავიხსენებთ, ორმოცი ენის მცოდნე შოტლანდიური წარმომავლობის გურული ქართველი ნიკო მარი თავის დროზე რომ ამტკიცებდა, იაფტურთ ენები მსოფლიოში გავრცელებული სხვა ენათა გლოტოლონიური ფუძეთა ფუძეაო, შეიძლება ვირწმუნოთ ეტრუსკულის ქართველურ ენათა ოჯახის წევრობა. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ამ მოსაზრებებს მეცნიერთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება. შესაბამისად, ეტრუსკული, მსოფლიოში ყველაზე განფენილ ინდოევროპულ ენათა ოჯახში ვერ დამკვიდრდა. ზოგი მკვლევარი მას ტიპოლოგიურად ალბანურ, ბასკურ, პელასგურ, ბერძნულ და ეგვიპტურ ენებს ამსგავსებს.

ეტრუსკული ენა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში განდევნა ლათინურმა, რომელიც ამჟამად ისევა მივიწყებული, როგორც ძველბერძნული.

მთელს რომის იმპერიაში გავრცელებულ ლათინურ ენასთან ერთად დამკვიდრდა ლათინური ალფაბეტიც, მაგრამ რომაელ პატრიციებში შემორჩა ეტრუსკულიც – საიდუმლო მიმოწერისთვის.

ბერძენთაგან ნახესხები ეტრუსკული ანბანი სულ 26 ასოსგან შედგებოდა და იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. ეტრუსკებმა მართლაც იმარჯვეს და უამრავი წერილობითი, უმთავრესად საფლავის ეპიგრაფიკული ძეგლი დაუტოვეს შთამომავლობას, მაგრამ, სამწუხარ-

როდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნაწერების უმრავლესობის გაშიფვრა და წაკითხვა დღემდე ვერ ხერხდება გაბმული ტექსტის უქონლობის გამო. მათ რიცხვს მიეკუთვნება სამი ბრტყელი ქვა, რომლებიც სერბეთის ქალაქ ვალეფოში გათხრებისას იპოვეს. ორ მათგანზე ამოკარულია ეტრუსკული წარწერა, მესამეზე – გეოგრაფიული რუკის ნაწილი, – ამას 1987 წელს გახეთი „პრავდა“ იუწყებოდა.

დღემდე წაკითხულ მცირერიცხოვან ეტრუსკულ ტექსტებს შორის ყველაზე გრძელი და ამავდროულად ყველაზე გვიანდელიც (დაახლ. ძვ.წ. 150–30) აღმოჩენილია ეგვიპტური წარმოშობის ახალგაზრდა ქალის მუმიის გასახვევ სუდარაზე, რომელზეც რელიგიური კალენდარი და რიტუალების შესრულების მსგავსი რამაა აღწერილი. იგი ხორვატიაში, ქალაქ ზაგრებში, ინახება.

მნიშვნელოვანი მონაპოვარია ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრის ქვის სარკოფაგი, რომლის სახურავზე ხანდაზმული ზორხოსი კაცის ნახევრად მწოლიარე ფიგურაა. ეს კაცი ეტრუსკი ღარის პულენაა. მას გაუშლია პაპირუსის გრაგნილი, რომელიც გვამცნობს, რომ პულენა ლუკუმონი, ანუ მეფეა. სარკოფაგი დაცულია იტალიაში, ქ. ტარკინის არქეოლოგიურ მუზეუმში. იგი ერთდროულად ეტრუსკული ქანდაკებისა და ეპიგრაფიკული დამწერლობის ღირსსაცნობი ძეგლია.

ორსაუკუნოვანი აყვავების შემდეგ ძლევამოსილ ეტრუსკთა ცივილიზაციას ჟამთა სიავე დაუდგა და სწრაფად იწყო ჩასვენება. ამის უპირველესი მიზეზი იყო ნეტარი ცხოვრებისკენ ეტრუსკთა ნამეტნავი მიდ-

რეკილება, რის გამოც მოადუნეს პოლიტიკური ჭერეცა და მათმა ქალაქმა-სახელმწიფოებმა (პოლისებმა), მიუხედავად პომოგენური წარმოშობისა, ვერ შეძლეს ერთიანი სრულფასოვანი სახელმწიფოს შექმნა. ამიტომ გამოდგა წარუმატებელი მათი ლაშქრობა საბერძნეთში. მარცხი სირაკუზელთაგანაც იწვნის; კელტებს კი, საერთოდ, იოლად დაუთმეს ჩრდილოური მიწები. სწორედ ამ დროს რომიდანაც აძევებენ მეფე ტარკინიუს სუპერბუსს და ბოლო ედება ეტრუსკული ტარკინიუსების გვარის მმართველობას რომში. იწყება ეტრუსკთა ძლიერების დაცემა.

ძვ.წ. 396 წლიდან მოყოლებული ეტრუსკთა რამდენიმე ქალაქი ზედიზედ გახდა რომაელთა იოლი მონაპოვარი. ძვ.წ. III საუკუნის შუა წლებში კი ხანგრძლივი ომის შემდეგ რომმა საბოლოოდ დაიმორჩილა ეტრუსკები. ასე რომ, აპენინის ნახევარკუნძულის ეს ძირძველი მოსახლეობა რომაელთა მსხვერპლი გახდა. რომაელები მალე კართაგენელებს, ბერძენებსა და ფინიკიელებსაც ამარცხებენ და ხმელთაშუა ზღვის აუზის ბატონ-პატრონი ხდებიან.

ასეთია მოკლე, ძალიან მოკლე, პრეისტორია იმ ხალხისა და ქვეყნისა, სადაც ძვ.წ. 70 წლის 13 აპრილს (პორაციუსის მიხედვით) სამყაროს მოევიწინა ადამის მოდგმის უპირველესი ქველმოქმედი და ხელოვანთა მფარველის მარადიულ სიმბოლოდ გარდასახული გაიუს ცილინუს მეცენატი – „მეფეთა შთამომავალი, ეტრუსკ მხედართა გვარისა“, როგორც მოგვიანებით იტყვის სექსტუს პროპერციუსი.

რეზიუმე

**მეცენატიდან „მეცენატამდე“
(ნაწევები წიგნიდან)**

**თავი I
მოზაზურობა ჟამით ჟამამდე**

*როფესორი
დემურ ბაშაიშვილი,
საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი*

ჟამთა სიმრავლის გამო ყველა როდია სარწმუნო, ზოგიც ბუნდოვანებით მოცულ სქელ ნისლეულშია გახვეული და ჭეშმარიტების დადგენა ერთობ რთულია, თუმცა, როგორც დევიდ ჯეროლდი ბრძანებდა – „აბსოლუტური ჭეშმარიტება მხოლოდ ისაა, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს“.

ჩემო გულისყურიანო მკითხველო, მოკრძალებით გთავაზობ, მცირე ნაწევებს ჩემი შემონაქმედი წიგნიდან „მეცენატიდან „მეცენატამდე“.

მაშ, ასე: წინ – ეტრუსკისკენ! წინ – წარსულისკენ!

SUMMARY

**FROM A PHILANTHROPIST TO PHILANTHROPIST
(fragment from a book)**

**CHAPTER I
TRAVELING TIME TO TIME**

*Professor DEMUR BASHALEISHVILI
President of Georgian Academy of Humanitarian and Art Sciences, Academician*

Despite the excess of time, not everybody is trustworthy, some are covered in the mist of mystery and identifying the truth is extremely hard, to quote David Gerrold “there's no absolute truth- this is the absolute truth”.

My dear reader, I respectfully offer a small fragment from my book “From a philanthropist to philanthropist”.

So, we go to each other! Forward to the past!

„ადამიანის ჯანმრთელობის დინამიკის სისტემური ანალიზი“

აკადემიკოსი ივანე ლომიძე
/ საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია/

თანამედროვე ეპოქაში, როგორც არასდროს, წარმოიშვა აუცილებლობა ადამიანებს განემარტოს მისი ჯანმრთელობის არსის შესახებ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. ჯანმრთელ ინდივიდუმს ორგანიზმის ნორმალური რეაქცია ძალზე რთულად აქვს გადახლართული იმ რეაქციებით, რომელიც დამახასიათებელია ადაპტურ და გენეტიკურ-ინდივიდუალურ ნორმებთან. ნორმის განმარტებისას მხედველობაში იღებენ ასაკობრივ გენეტიკურ-ინდივიდუალურ, კოსტიტუციურ-სომატურ და ფსიქოფიზიოლოგიურ პარამეტრებს.

სოციალური და გარეთა გარემოს ფაქტორები (მზე, ჰაერი, წყალი) მუდმივად ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ორგანიზმის ნორმალურ ფიზიოლოგიურ პროცესებზე. თვით ნორმა დინამიკური პროცესია და ის დროის ყველა მონაკვეთში განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. ამიტომ, ჯანმრთელ ორგანიზმში ნორმად ითვლება ნებისმიერი ფუნქციური მაჩვენებლების ჩართვა არამარტო საშუალო მდგომარეობის მისაღწევად, არამედ, ჰომეოსტაზის ნებისმიერი გადახრის პირობებში.

ჯანმრთელობა, როგორც ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა, ასახავს ადამიანის ბიოლოგიურ და ფსიქო-სოციალურ ბუნებას. ფილოსოფიური თვალთახედვით, ადამიანი ბიოლოგიური ცნებაა, ხოლო პიროვნება - სოციალური.

ფიზიოლოგია და პათოლოგია, ნორმა და დაავადება - ეს არის სიცოცხლის გამოვლინების ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობები, როგორც გლობალური, ასევე პლანეტარული ხასიათის მოვლენებით. ყოველივე, ამ ორი მდგომარეობიდან სიცოცხლის გამოვლინებების ჩართვით (თუ მათ განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელ და ობიექტურად არსებულ ფაქტორს) გააჩნია თავისი დამახასიათებელი ხარისხობრივი თავისებურებანი. ცნებები: „ნორმა“, „ჯანმრთელობა“ და „დაავადება“ წარმოადგენს რა შედარებით ყველაზე მეტად საერთო მახასიათებელს სხვა სამედიცინო ცნებებთან კომპლექსში, გამოიყენება მედიკო-ბიოლოგიური მიმართულების მეცნიერებებში ერთის მხრივ და ჰუმანიტარულ დისციპლინებში - მეორეს მხრივ. გარდა დასახელებული თვალსაზრისისა, მითითებულ ცნებებს აქვს განსაკუთრებული ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური შეხედულება საერთო ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებული მოვლენებისა და პროცესების მიმდინარეობაზე სამყაროში და დედამიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ერთმანეთისადმი დიამეტრულად წინააღმდეგობრივია, ყოველ მათგანს კი გააჩნია რაღაც საერთო, ნათესაური, ერთმანეთში ურთიერთგადასვლის თვისებები, ე.ი. ნორმისა ან რიგითობის დაცვა. ჯერ კიდევ, კლოდ ბერნარდ (1878) აღნიშავდა, რომ „ყველა სასიცოცხლო პროცესს გააჩნია მხოლოდ ერთი მიზანი: მუდმივად შეინარჩუნოს შინაგანი გარემოს მუდმივობა“. ნორმა ხასიათდება მუდმივი ფიზიოლოგიური სიდიდეებით

გარკვეული რყევების პირობებში, ზოგჯერ მეტად ან ნაკლებად მყარ ფიქსირებულ საზღვრებში. ამ რყევების ამპლიტუდას განაპირობებს ორგანიზმის განსაკუთრებული ფუნქციები და აგრეთვე, გარეთა გარემოს პირობები (ტერიტორიული, კლიმატური, ატმოსფერული) და სხვადასხვა ორგანიზმებში არსებული ორგანიზმისა და სისტემების არაერთგვაროვნობით. ნორმა - დინამიკური და ცვალებადი მოვლენაა, ისევე, როგორც თვით სიცოცხლეა.

ნორმის ცნების განსაზღვრა საკმაო სიძნელეს წარმოადგენს, რადგან უპრატესად განპირობებულია ნორმისა და პათოლოგიის ობიექტური სირთულეებით; გაანგებებულია ნორმისა და პათოლოგიას შორის საზღვრების დადგენა (საზღვრები ზოგჯერ ძალზე მოძრავი და გაურკვეველი სიდიდისაა, რთულია ერთმანეთში ეტაპური გადასვლის დადგენა), რაც წარმოშობს მრავალ კითხვებზე პასუხის გაცემის აუცილებლობას: ორგანიზმში არსებული პათოლოგიური ცვლილებები შექცევადია თუ შეუქცევადი. ვილიამსის (1960) აღიარებით: „პრაქტიკულად ყველა ადამიანი თავისთავად იმყოფება ნორმიდან გადახრის ამა თუ იმ ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში.“ ამის საფუძველზე მას მიაჩნია, რომ ახალშობილი ბავშვები არ შეიძლება დავეყთ „ნორმალურებად“ და „არანორმალურებად“, რადგან ყველა ახალშობილს გააჩნია საკუთარი „არანორმალური“ მიდრეკილების კლინიკური ნიშნები.

ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ერი და კაცობრიობა ჯანმრთელობასთან - არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მეკეთრად გამოსაჯული დადებითი მოტივაცია, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიადწიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს - თვითრეალიზაციას.

დღეს, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მეცნიერთა შორის მიმდინარე მსჯელობა ორგანიზმის ჯანმრთელობისა და დაავადების ირგვლივ, რადგან შეუძლებელია მათ შორის მკვეთრი საზღვრის გავლენა. თანამედროვე მეცნიერება ითვლის ჯანმრთელობის 200-მდე განმარტებას. ჯანმრთელობის საბოლოო ვარიანტად კი აღიარებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დებულება, სადაც ის განიხილება, როგორც ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა, და არამარტო დაავადების ან ფიზიკური დეფექტების უქონლობა. თუ მთლიანობაში ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, მაშინ მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობა ავადმყოფობის ზღვარზე აღმოჩნდება, რაც თანამედროვე ცივილიზაციას საფრთხეში აყენებს. დევიზი: „სიცოცხლის ხარისხი და ადამიანის ჯანმრთელობა“ გახდა განხილვის სა-

კითხი I საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა სანკტ-პეტერბურგში 2014 წლის მაისის 28-31 რიცხვებში. მეცნიერულ კამათს საფუძვლად დაედო მედიცინაში, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი და პარადოქსული პრობლემა, როგორცაა მოსახლეობის ჯანმრთელობის მიღწევა მხოლოდ დაავადებების მკურნალობის გზით, მედიცინა უშუალოდ დაკავებულია დაავადებათა პრობლემით და არა ჯანმრთელობის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხებით. დღემდე ფართოდაა გავრცელებული მცდარი შეხედულება, რომ ჯანმრთელობა დაავადების უქონლობაა და რომ, ეს ორი ცნება (ჯანმრთელობა და დაავადება) ურთიერთგამომრიცხავი მდგომარეობებია.

თანამედროვე მედიცინა, თავისი დარგობრივი განვითარებით მთლიანად დაფუძნებულია პარადოქსულ ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისას დაკავებულია მხოლოდ დაავადებების პრობლემებით და არა ჯანმრთელობის ფორმირებით, შენარჩუნებით, განმტკიცებითა და სრულყოფით. ამ მცდარ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას სამართლიანად ეხმაურება პროფესორი გაპანასენკო (2000 წ.): „თუ, ჩვენ გვინდა განვავითაროთ კოსმოსური ტექნიკა, უნდა განვავითაროთ რაკეტაშენებლობა; თუ გვინდა მივიღოთ რძე და ხორცი, უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა; თუ გვინდა გვეკვლივს ჯანმრთელი ადამიანი, უნდა დავაკავდეთ ჯანმრთელობის შესწავლით, ხოლო მედიცინა კი საერთოდ დაკავებულია დაავადებით. სულ უფრო და უფრო მეტი ვიცით დაავადების შესახებ, უფრო და უფრო მეტად ვავლენთ ავადმყოფ ადამიანებს, სულ უფრო და უფრო მეტად ვიგონებთ და ვქმნით ახალ სამკურნალო პრეპარატებს და ამ სტრატეგიის განხორციელებას საბოლოოდ ჩიხში შევყავართ“.

დაავადება იწყება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებს ძლიერი გამიზიანებლები, რომელთაც ის გამოეპყვება წინასწაროდან ან მაშინ, როცა დაქვეითებულია ორგანიზმის უნარიანობა წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვეულ გამიზიანებლებს. დაავადების მიმდინარეობისას ორგანიზმში გრძელდება ფიზიოლოგიური პროცესები, ირთვება მათი რეგულირების მექანიზმები და იძენენ ახალ თვისებებს. პირველ რიგში მოქმედებას იწყებს დაავადების განვითარების სალიკვიდაციო მექანიზმები, რომლებსაც მოყვება ჩანაცვლებითი და კომპენსატორული ხასიათის სხვადასხვა რეაქციები, რომლებიც მიმართულია ფიზიოლოგიური ფუნქციების წონასწორობის აღსადგენად.

დაავადება წარმოადგენს დიალექტიკურ პროცესს და მოქმედებას იწყებს ორი მიმართულებით. ერთში მიმდინარეობს რღვევითი პროცესები, მეორეში კი აღდგენითი რეაქციები. ერთი ორგანიზმისთვის მანეა, მეორეში კი მიმდინარეობს სასარგებლო აღდგენითი პროცესები. ერთი მიმართულია ორგანიზმის დასათრუნუნად, მეორე კი-ორგანიზმის პომესტაზის შესანარჩუნებლად. ექიმის მოვალეობას შეადგენს დაავადების მკურნალობის პროცესში დროულად განსაზღვროს, თუ რომელი ფიზიოლოგიური რეაქცია უნდა გააძლიეროს ან დათრუნოს. აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადება თანაარსებობს ჯანმრთელობასთან, რომელთა მოქმედების საფუძველში დევს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მექანიზმები, და ამასთანავე, თვით ავადმყოფ ადამიანს გააჩნია გარკვეული ბიოენერგეტიკული რეზერვები, რომლის ხარჯზე ნარჩუნდება მისი სიცოცხლისუნარიანობა. ამას, ექიმი ყურადღებას არ აქცევს, არ იკ-

ვლევს ჯანმრთელობის ხარისხობრივ დონეს, არ შეიმუშავებს ავადმყოფისათვის საჭირო გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესარჩევად. ამას უნდა დაემატოს კიდევ ერთი პარადოქსული მოსაზრება: ყველა გარდაცვლილი ადამიანების 80 პროცენტი იღუპება არა დაავადებით, არამედ დაქვეითებული ჯანმრთელობის გამო. ამ პროცესის შედეგია ქრონიკული სომატური დაავადებების მკვეთრი მატების ტენდენცია (მეტია ჯანმრთელობა, ნაკლებია დაავადება; ნაკლებია ჯანმრთელობა-მეტია დაავადება), რომელთა ხასიათი დამოკიდებულია ავადმყოფის გენომის (მემკვიდრეობითი ნიშნების) თავისებურებებზე (ამაზეა დაფუძნებული პერსონიფიცირებული მედიცინა).

ყოველმა ჩვენგანმა საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით, რომ ჩვენ სიცოცხლის მანძილზე რამდენიმეჯერ ავად ვხდებით და ყველა შემთხვევაში (გარდა სიკვდილისა) გამოვჯანმრთელდებით, სრულად ან ნაწილობრივად, არსებული დარღვევების კომპენსირების შედეგად. ამაში წამყვანი როლი ენიჭება ორგანიზმის დაცვით-შეგუებით პროცესს, რომელიც შეიცავს სამ ფაზას ან სტადიას:

1. როგორც კი წარმოიშობა დეფექტი ფუნქციების განხორციელებაში, იმწამსვე წარმოიშობა სივანალიზაცია და ამ დეფექტის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ეს სივანალიზაცია წარმოადგენს ორგანიზმის შეგუებითი რეაქციის წარმოშობის მიხედვით პირველ ფაზას; ეს დეფექტის სივანალიზაციის პრინციპია;

2. მთლიან ორგანიზმში ხდება რეზერვული კომპენსატორული მექანიზმების მობილიზება. ორგანიზმის მხრიდან ვითარდება თავისებური წინააღმდეგობა არასასურველი ფაქტორის ზემოქმედებაზე. ეს არის კომპენსატორული მექანიზმების პროგრესული მობილიზაციის პრინციპი;

3. პროცესები, რომლებიც უწყვეტად დაკავშირებულია ცოცხალი სისტემის ყველა დონეზე კომპენსატორული შეგუების აფერენტირებასთან, დაწყებული უჯრედულ-მოლეკულურიდან ორგანიზმამდე დამთავრებული. ისინი ასრულებენ კომპენსაციის უწყვეტ პროცესს.

კომპენსაციის მთლიანფიზიოლოგიურ ტრიადაში (მდგრადობის მექანიზმები, დარღვევის მექანიზმები, აღდგენის მექანიზმები) მთლიანად ჩადებულია ი.პავლოვის ძირითადი მოძღვრების კრიტერიუმები, რაც ეხება ორგანიზმის, როგორც თვითმარეგულირებელ სისტემის მიზანდასახულ ფუნქციონირებას.

ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებობს შუალედური მდგომარეობა, ე.წ. „მესამე მდგომარეობა“, რომლის დროს ადამიანი არც ჯანმრთელია და არც დაავადებული. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რუსეთის პათოფიზიოლოგიის დამფუძნებელი ვ.პოდვინსოვი პარწმუნებით აღნიშნავდა, რომ აბსოლუტური დაავადება და აბსოლუტური ჯანმრთელობა წარმოუდგენელია, მათ შორის არსებობს უთვალვად მრავალი კავშირებისა და ურთიერთგადასვლის ფორმები (აქ მხედველობაშია ამ მდგომარეობების ბიოლოგიური საფუძველი). „მესამე მდგომარეობა“ არაერთგვაროვანია და თავის მხრივ, მასში ჩართულია ორი მდგომარეობა: პირველი-დაავადებისწინა მდგომარეობა- და მეორე-რომლის ხასიათი განისაზღვრება- არამანფისტირებული პათოლოგიური პროცესით. დაავადებისწინა მდგომარეობის ძირითადი ნიშანი- ჯანმ-

რთელობის რეზერვების დაქვეითების შედეგად განპირობებული პათოლოგიური პროცესის ჩამოყალიბების შესაძლებლობა(მოქმედი ძალის ჩართვის გარეშე) დაავადების წინა მდგომარეობაში ჯანმრთელობის დარღვევას განაპირობებს ფიზიოლოგიური ენერგეტიკული რეზერვების ის დონე, რომელიც უძლურია კომპენსირება გაუკეთოს ორგანიზმში მიმდინარე ნეგატიური ფაქტორების შემოქმედებას.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება რეალურ და რთულ სამყაროში გაჯერებულია სტრესული შემოქმედებებით, რომელიც განაპირობებს გარეთა გარემოს მრავალი პარამეტრების მკვეთრ ცვლილებებს, ადამიანებს ართმევს საკუთარი ჯანმრთელობის საკმაოდ დიდნაწილს და ისინი მიეკვს ე.წ. „მესამე მდგომარეობამდე“. არასრული ჯანმრთელობა შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს და ამით, მისი მსგავსება პრემორბიდულ მდგომარეობასთან ყოველად მიუღებელად აღიქმება. ეს ორი მდგომარეობა ერთმანეთისაგან სრულად განსხვავებულია. ჯანმრთელობის მესამე მდგომარეობის კლინიკურ-ლაბორატორიული დადგენა მეტად გაძნელებულია და ჯანმრთელობის ხარისხის დასადგენად ნაკლებად ინფორმატიულია. პრაქტიკაში ამ მიზნის მისაღწევად აშკარად ვერ ვიყენებთ ჩვენთვის ძალზე ცნობილ საშუალებებს, როგორცაა ცნობიერება, მოძრაობა, კვება და ჯანმრთელობის შემანარჩუნებელი წამალთა საშუალებები (უპირატესად მცენარეული წარმოშობის). ეს ჩამოთვლილი საშუალებები უნდა განვიხილოთ, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების სტრატეგიის, ტაქტიკის და მეცნიერების განვითარების პროგნოზირების მთავარ კომპონენტებად.

მედიცინისათვის ჯანმრთელობის პრობლემა არ წარმოადგენს სიახლეს. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჰიპოკრატემ და ავიცენამ გამოყვეს ჯანმრთელობის რამოდენიმე გრადაცია. გააღენმა შემოიღო ცნება „მესამე მდგომარეობის“- ჯანმრთელობაზე და დაავადებას შორის ურთიერთგადასვლის შესაძლებლობებზე. XIX საუკუნის ბოლოს ი.მენიკოვმა ბუნებამცოდნეებისა და ექიმების ყრილობაზე (1883 წ.) წარმოქმულ სიტყვაში ახსენა „ორგანიზმის სამკურნალო ძალები“ საპირისპირო თვალსაზრისის გამოხატვით, რომელიც საზოგადოებას მიაწოდა რ.კოხმა „ექთოლოგიის“ ტერმინის სახით, რაც არსებითად ნიშნავდა თანასწორობას დაავადების მიზეზსა (გამომწვევსა) და ორგანიზმს შორის.

თანამედროვე მედიცინა უპირატესად დაკავებულია შემთხვევითი მოვლენებით-დაავადებების პრობლემებით, და არა ჯანმრთელობის ფორმირების საკითხებით, რომელიც მეტად კანონიერია და ამასთანავე, აუცილებელიც. ჯანმრთელობა განსაზღვრავს ადაპტაციური პროცესების ოპტიმიზაციას. ის აქტუალურია ონტოგენეზის ყველა არსებულ პერიოდში: დაბადებიდან სიკვდილამდე, ფსიქო-სომატური ძალების დამავლობისას და დაავადების მიმდინარეობის პროცესში. ჯანმრთელობა ახალშობილობიდან დაწყებული და დამთავრებული ხანდაზმულობით მოითხოვს ორგანიზმის თვითრეგულაციის სრულყოფას, ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის პარმონიას და მაქსიმალური ადაპტაციის შედეგს (ბიოლოგიური ფასეულობის დონე). ადამიანი წარმოადგენს სოციალური აქტივობის საზომს, ინდივიდის სამყაროსადმი ეფექტური შემოქმედებითი დამოკიდებულების ეტალონს.

თუ სამართლიანად ვაღიარებთ მტკიცებულებას, რომ დაავადება არის ნებისმიერი მდგომარეობა, რაც

სიკვდილის ალბათობას ზრდის, მაშინ ჯანმრთელობა არის ის ნებისმიერი მდგომარეობა, რომელიც სიცოცხლის ალბათობას ზრდის. ან სხვანაირი განმარტებით: ჯანმრთელობა არის სიცოცხლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, ხოლო დაავადება- სიკვდილთან მიახლოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ჯანმრთელობა არის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისა და კვდომის პროცესის დიალექტიკური ერთიანობა, მათი თანაარსებობა განსაზღვრული პირობების საზღვრებში.

დღეს, რა მდგომარეობაშია ჯანდაცვის სოციალური სისტემა? მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების მხრივ შეიქმნა მეტად საშიში და პარადოქსული მდგომარეობა: რაც უფრო მეტად განვითარდა მედიცინა, მით უფრო მეტად დაგრძელდა (თანამედროვე ნოზოლოგიური ნომენკლატურის შესაბამისად) პაციენტების დადგენილი დიაგნოზების სია. მან შეიძლება მიაღწიოს 23 ათასამდე. ეს კი იმას ნიშნავს, თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა სჭირდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას ისიც უნდა დამატოს რომ ვიწრო სპეციალისტები რეგულარულად იგონებენ ახალ სინდრომებს, პათოლოგიებსა და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასეთი სურათი იხატება. ამიტომ, ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროული ჩართვით შეინარჩუნოს და განიმტკიცოს საკუთარი ჯანმრთელობა

თანამედროვე მედიცინა და ჯანდაცვის სოციალური სისტემა, თავისი შეხედულებებით ჯერ კიდევ მოუმზადებელია ჯანმრთელი მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ფენომენის სისტემურ შესწავლაში. ექიმში იშვიათად კურნავს ავადმყოფს, რადგან მას არა აქვს ათვისებული ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-სომატური მოდელის ფუნქციონირების სისტემა, კონკრეტული დაავადებების თავისებურებების განსაზღვრისას, ვერ ფლობს ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროული ამოქმედების პრინციპებს, დაავადებების მიმდინარეობის პროცესში ვერ ფლობს სანოზგენეზისა და პათოგენეზის ურთიერთდამოკიდებულების კლინიკური მნიშვნელობის ცოდნას და ა.შ. ყოველივე ეს კი მიგვანჩნია უდიდეს ხარვეზად ექიმის პროფესიულ მომზადებაში.

დღეს, მეცნიერება ჯანმრთელობაზე (ვალუოლოგია), როგორ წესი გადანაწილებულია სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით (ეს იქნება მედიცინა, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ეკოლოგია, თუ სხვა) ვითარდება სახელმწიფოებრივი სისტემების მონაწილეობის გარეშე, უსისტემოდ და ქაოტიურად, რაც განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, კერძოდ: ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ვალუოლოგიის განვითარების ინტეგრირებული იდეოლოგია, რაც დაკავშირებულია მედიცინასთან, ფსიქოლოგიასთან, განათლებასთან და სხვა სამეცნიერო დარგების შიდა-დარგობრივ პროფესიულ კონსერვატიზმთან.

დღეს, მრავალი სპეციალისტისათვის, მათ შორის ექიმებისათვის, უბრალოდ ბოლომდე გააზრებული არ არის ახალი მეცნიერების (ვალუოლოგიის) მასშტაბურობის სივრცე. ადამიანის ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირების, მისი შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით საჭიროა სამი კარდინალური მიმართულების ამოცანების გადაწყვეტა:

1. ვალეოლოგიის თეორიული საფუძვლების დამუშავება;
2. ვალეოპრაქტიკის მეთოდების მეცნიერული დასაბუთება. ადამიანის შრომის სახეობების (შრომითი, სასწავლო, დასვენების და ა.შ.) ფუნქციონირებისათვის საჭიროა თანამედროვე სამეცნიერო ბაზის შექმნა, რომელიც აუცილებელია ფიზიკური აღზრდის თეორიული საფუძვლების, რეკრეაციის, ფსიქოფიზიოლოგიური თეორიული საფუძვლების, ნუტრიციოლოგიის, ფსიქოსომატური ქცევის თვითრეგულაციის შემდგომი სრულყოფისათვის;
3. ვალეოლოგიური განათლების, როგორც სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის მრავალმხრივი განვითარება, ოპტიმალური მოღვაწეობა, სოციალური ადაპტაცია, ჯანმრთელობის რეჰერვების გაზრდა და აქტიური დღეგრძელობის მიღწევა.

ლიტერატურა:

1. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი- ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური. ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 52-54;
2. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი.- დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 64-66;
3. ი. დოლიძე, ქვეყნის ჯანდაცვის კრახიდან ვალეოლოგიამდე, იმედი +, 2014, 7, 25-27;
4. ი. დოლიძე, სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომის თავისებურებანი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014, 13, 70-75;
5. ი. დოლიძე, სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2014, 1, 24-30;
6. გ. ჩახუნაშვილი, ინტეგრალური მეცნიერება, როგორც XXI საუკუნის აუცილებლობა (ვალეოლოგია, სანოლოგია), სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, 17-12-11, 27-31;
7. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, ადამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, ჰიგიენისა და სანოლოგიის მეცნი-

- ერულ-პრაქტიკული პოზიციებიდან, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, 17- 12-11, 37-41;
8. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, ვალეოლოგია, როგორც სამი კარდინალური მიმართულების - სასწავლო, სამეცნიერო და პედაგოგიურ დისციპლინათა ინტეგრირებული მეცნიერება, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, 9, 42-46;
9. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოლოგიის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, 9, 46-49;
10. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი- ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის ზოგადი თეორია და პრაქტიკა“ ბავშვთა კარდიოლოგია, 2016, 10, 34-37;
11. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი- სანოგენეზისა და გაჯანსაღების მექანიზმების რეგულაციის პრინციპები ბავშვთა კარდიოლოგია, 2016 10, 38-41;
12. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე -ადამიანის ჯანმრთელობა ახალშობილობიდან იწყება// ბავშვთა კარდიოლოგია, 2016, 10, 41-44;
13. ი. დოლიძე- ჯანდაცვის რეორგანიზაცია ჯანმართვის კრიტერიუმებით- XXI საუკუნის მედიცინის ძირითადი მოთხოვნა// სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2016, 18-13-12, 35-40;
14. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, ნ. ფაგვაძე, გ. ჩახუნაშვილი, დ. ჩახუნაშვილი- სოციალური პედიატრია, როგორც ვალეოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტი სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2016, 18-13-12, 24-27;
15. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, გონგაძე ნ., ფაგვაძე ი.- ჯანდაცვის, ფარმაციის, ბიომედიცინისა და სპორტის ინდუსტრია// საქართველო 2050, საქართველოს განვითარების სტრატეგია, 2015, თბილისი, (პროექტის ხელმძღვანელი ო. ქუცნაშვილი), 123-133;
16. თ. მიქიაშვილი, ი. დოლიძე- ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში, 2016, თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 221 გვ.
17. ი. დოლიძე, ადამიანის ჯანმრთელობა ანთროპოსომიური მედიცინის პოზიციებიდან, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2016, 4, (8), 23-28.

რეზიუმე

ადამიანის ჯანმრთელობის დინამიკის სისტემური ანალიზი

ი. დოლიძე
/ საქართველოს პუბლიცისტური და სახელგნებო მეცნიერებათა აკადემია/

თანამედროვე მედიცინა და ჯანდაცვის სოციალური სისტემა, თავისი კონსერვატული შეხედულებებით ჯერ კიდევ მოუშადადებელია ჯანმრთელი მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ფენომენის სისტემურ შესწავლაში. ექიმი იშვიათად კურნავს ავადმყოფს, რადგან მას არა აქვს ათვისებული ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-სომატური მოდელის ფუნქციონირების სისტემა კონკრეტული დაავადების თავისებურებების განსაზღვრისას, ვერ ფლობს ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროული ამოქმედების პრინციპებს, არ გააჩნია სანოგენეზისა და პათოგენეზის ურთიერთდამოკიდებულების კლინიკური მნიშვნელობის საკმარის ცოდნას და ა.შ. ყოველივე ეს კი მიგვაჩინა უდიდეს ხარვეზად ექიმის პროფესიულ მომზდებაში. ფაქტი ფაქტად რჩება, სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, რამაც დღის წესრიგში დააყენა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი ან მისი რეორგანიზაცია ჯანმართვის პრინციპების დაცვით. ეს კი მოითხოვს სამი კარდინალური მიმართულების (ვალეოლოგიის თეორიული საფუძვლების, ვალეოპრაქტიკის მეცნიერული დასაბუთების, ვალეოლოგიური განათლების) ამოცანების გადაწყვეტასა და ვალეოლოგ-სპეციალისტების მომზადებას.

SUMMARY

“SYSTEMIC ANALYSIS OF HUMAN’S HEALTH DYNAMIC”

IGOR DOLIDZE, Academician Georgian Academy of Humanitarian and Art Sciences

Modern medicine and social healthcare system is still unprepared due to its conservative views.

Therefore, it is discussed to destruct social institutes or reorganize it with healthcare management principles. This, on the other hand, required solving problems of three directions (Theoretical basis of Valeology, Scientific proof of Valeopractice, Valeological Education) and preparing professional in the field of Valeology.

პირობითი ლექსიკონთან

ბიჭო ბოჭუშა

/საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია/

ჩვენდა საგალალოდ, სადავიდარაბოდ და საგაგლახოდ, ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, ვამახინჯებთ მშობლიური ენის ორთოგრაფიას. ეს უცხო სიტყვა (ორთოგრაფია) ბერძნული წარმოშობისაა, დამკვიდრებულია ქართულში და ნიშნავს მართლწერას ანუ სწორად წერას. ასეთი სახის დამახინჯებული სიტყვები წამდაუწუმ და უფრო ხშირად გვესმის ზეპირი მეტყველების შემთხვევაშიც. ერთიცა და მეორეც მიუღებელი და საზიანოა ლიტერატურული ენისათვის. ამიტომ, ყველა ჩვენგანი ვალდებულია სწორად იმეტყველოს და, მითუმეტეს – წეროს. ამაში დაგვეხმარება ლექსიკონებთან დამეგობრება და მათი დაუბრკოლებლად გამოყენება. მით უფრო, როცა ქართველებს გაგვაჩნია სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, აგრეთვე ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომლის მეორე – შევსებული გამოცემა გამოვიდა 1998 წელს და ერთობ პოპულარულია.

მე სწორედ ამ გამოცემიდან ამოგვრბე ორთოგრაფიულად გონჯი სიტყვები და მათი სწორი ფორმები, რაც, ვფიქრობ, უთუოდ გამოადგება დაინტერესებულ მკითხველს.

პი არა...

ა

- აბანებს პი არა აბანავებს
აბითურიენტი პი არა აბიტურიენტი
აბკი პი არა აპკი
აბკურებს პი არა აპკურებს
აბნევდა პი არა აპნევდა
აბჟანდი პი არა აფჟანდი
აბღერტა პი არა აბერტყვა
აბხაზი პი არა აფხაზი
აგიოგრაფია პი არა ჰაგიოგრაფია
ადაჟო პი არა ადაჯო
ადექვატური პი არა ადეკვატური
ადმინისტრაციული პი არა ადმინისტრაციული
აეკრა პი არა აეკრო
აესილი პი არა აესებული
აეტოლაფე პი არა აუტოლაფე
აზროვნობს პი არა აზროვნებს
ათხევს პი არა ანთხევს
ათხოვინებს პი არა ათხოვინებს

- აკერია პი არა აკრავს
ალაბასტრი პი არა ალებასტრი
ალაგობრივ პი არა ადგილობრივ
ალაქიანებს პი არა ალაქავეებს
ალეგრი პი არა ალეგრა
ალიუმინი პი არა ალუმინი
ალფავიტი პი არა ალფაბეტი
ამაზონი პი არა ამორძალი
ამათაგანი პი არა ამათგანი
ამგვანებს პი არა ამსგავსებს
ამელამ პი არა ამაღამ
ამოიდლიავებს პი არა ამოიდლიავებს
ამტანიანობა პი არა ამტანობა
ამწესებს პი არა აწესებს
ამწონავი პი არა ამწონი
ანაგობა პი არა აღნაგობა
ანადა პი არა ანდა
ანახლებს პი არა აახლებს
ანეკლოტი პი არა ანეკლოტი
ანვითარებს პი არა ავითარებს
ანზოგადებს პი არა აზოგადებს
ანთავისუფლებს პი არა ათავისუფლებს
ანსახიერებს პი არა ასახიერებს
ანსხვაავებს პი არა ასხვაავებს
ანტიტეზა პი არა ანტითეზა
ანტიური პი არა ანტიკური
ანტიქვარი პი არა ანტიკვარი
ანტრაციტი პი არა ანთრაციტი
ანცვიფრებს პი არა აცვიფრებს
ანხორციელებს პი არა ახორციელებს
აპატია პი არა აპათია
აპეკუნი, აპეკუნობა პი არა მეურვე, მეურვეობა
არაგზით პი არა არაგზით
არახისი პი არა არაქისი
არენდა პი არა იჯარა
ატლეტი პი არა ათლეტი
ადვიარებ პი არა ვადიარებ

ბ

- ბაკალია პი არა ბაკალეა
ბაკალი პი არა ბოკალი
ვაკხანალია პი არა ბაკქანალია
ბალეტმეისტერი პი არა ბალეტმაისტერი

ბალოტირება კი არა კენჭისყრა
 ბაღი კი არა ბაღში
 ბარბარისი კი არა კოწახური
 ბარდება კი არა ჰბარდება
 ბაქაბუქი კი არა ბაქიბუქი
 ბაქტერიული კი არა ბაქტერიული
 ბალოსნობა კი არა მებაღეობა
 მებაღე კი არა ბაყალი
 ბაშლაყი კი არა ყაბალახი
 ბაცილიარული კი არა ბაცილური
 ბაძავს კი არა ჰბაძავს
 ბდღვინვა კი არა ბრდღვინვა
 ბეგემოტი კი არა ბეჰემოტი
 ბეგთარი კი არა ბეჰქარი
 ბევრმხრივ კი არა მრავალმხრივ
 ბეზრდება კი არა ჰბეზრდება
 ბელატი კი არა მელიტი
 ბერწიანობა კი არა ბერწობა
 ბეფსტროგანოვი კი არა ბეფსტროგანოვი
 ბივშტექსი კი არა ბივშტექსი
 ბოლობოლო კი არა ბოლოს და ბოლოს
 ბორკილშეყრილი კი არა ბორკილგაყრილი
 ბრალდადება კი არა ბრალდება
 ბრალდადებული კი არა ბრალდადებული
 ბრალდება მას კი არა ჰბრალდება
 ბრდღვინა კი არა ბდღვინა
 ბრიაბრუ კი არა ბიაბრუ
 ბულგარები კი არა ბულგარელები
 ბლაჯნა კი არა ჯღაბნა
 ბძარვა კი არა ბზარვა
 ბწკარი კი არა პწკარი
 ბწკენა კი არა ჩქმეტა

ბ

გაანთავისუფლებს კი არა გაათავისუფლებს
 გაანრისხებს კი არა გაარისხებს
 გააჭირებს კი არა გააჭირებს
 გაბანვა კი არა გაბანა
 გადააგზავნის კი არა გადაგზავნის
 გადაავლევს კი არა გადაატარებს
 გადაებარება კი არა გადაბარდება
 გადაეკრო კი არა გადაეკრა
 გადაუქცევს კი არა გადაუღვრის
 გადაწევი კი არა გადაწევი
 გადმოაგზავნის კი არა გადმოგზავნის
 გავანცალკევებს კი არა გავაცალკევებს
 გავანცვიფრებს კი არა განვაცვიფრებს
 გათხოვებული კი არა გათხოვილი
 გაივლევს კი არა გაიტარებს
 გაიოლებს კი არა გაიადვილებს
 გაიკურნება კი არა განიკურნება
 გაიმჭვარტლება კი არა გაიჭვარტლება
 გაინთავისუფლებს კი არა გაითავისუფლებს
 გაიტყუილებს კი არა გაიტყუებს
 გაიწმკება კი არა გაიწმკება
 გაიჭვნივლებს კი არა გაეჭვნივლებს
 გალუცინაცია კი არა ჰალუცინაცია
 გამაკი კი არა ჰამაკი
 გამანახლებელი კი არა განმანახლებელი
 გამანთავისუფლებელი კი არა განმანთავისუფლებელი
 გამარტოვდება კი არა განმარტოვდება

გამგრძობი კი არა განმგრძობი
 გამეჩხერიანებული კი არა გამეჩხრებული
 გამნადგურებელი კი არა გამანადგურებელი
 გამნაწილებელი კი არა გამანაწილებელი
 გამნოყიერებელი კი არა გამანოყიერებელი
 გამონთავისუფლებს კი არა გამოთავისუფლებს
 გამოუდევს კი არა გამოუდვია
 გამოშრობილი კი არა გამოშმრალი
 გამტვერიანება კი არა გამტვერიანება
 გამხილება კი არა გამხსელა
 გარტი კი არა ჰგარტი
 გაუტეხავი კი არა გაუტეხელი
 გაუფხრიწავს კი არა გაუფხრეწია
 გაფშიკავს კი არა გაფშეკს
 გახმობილი კი არა გამხმარი
 გეტერა კი არა ჰეტერა
 გეტმანი კი არა ჰეტმანი
 გიენა კი არა ჰიენა
 გილზი კი არა ჰილზი
 გიკარნახობს კი არა გიკარნახებს

დ

დააბკურებს კი არა დააბკურებს
 დააბრთხობს კი არა დააფრთხობს
 დააბრჯენს კი არა დააბჯენს
 დააბღვინებს კი არა დააბღვინებს
 დააბღვრტინებს კი არა დააბღვრტინებს
 დააბმანებს კი არა დააბმანებს
 დააბღვება კი არა დააბღვება
 დააბჭვიანებს კი არა დააბჭვიანებს
 დააკლე კი არა დააკელი
 დააკროს კი არა დააკრას
 დაამგვანებს კი არა დაამგვანებს
 დაამწვერვებს კი არა დაამწვერვებს
 დაარგვალებს კი არა დაამრგვალებს
 დაასქდება კი არა დაასკდება
 დაასწრობს კი არა დაასწრებს
 დაატენებს კი არა დაატენს
 დააფთხობს კი არა დააფრთხობს
 დააქორწინებს კი არა დააქორწინებს
 დააძრობს კი არა დააძრობს
 დააძღობს კი არა დააძღვებს
 დააწეებს კი არა დააწებებს
 დააწინებს კი არა დაამწინებს
 დააჭირებს კი არა დააჭერს
 დაახეჩინებს კი არა დაახეჩინებს
 დაახეჩინებს კი არა დაახეჩინებს
 დაახრტენს კი არა დაახრტენს
 დაახსოვდება კი არა დაამახსოვრდება
 დაახწვეს კი არა დაახწვეს
 დააჯინა კი არა დასვა
 დაბანვა კი არა დაბანა
 დაბდაბი კი არა დაფდაფი
 დაბრჯენა კი არა დაბჯენა
 დაბღვრტა კი არა დაბღვრტევა
 დაგდევს კი არა დაგდევს
 დაეგვანება კი არა დაემსგავსება
 1. დაეხმანება კი არა დაეხომება
 2. დაეხმანება კი არა დაეხომება
 დაესწრობა კი არა დაესწრება
 დავაკლე კი არა დავაკელი

დავაჯინე კი არა დავსვი
დავობს კი არა დავობს
დავისილი კი არა დავსებული
დახელვა კი არა დახელა
დაზმანება კი არა დაზომება
დათურგენა კი არა დათრგუნვა
დაიარს კი არა დაიავის
დაიბრჯენს კი არა დაიბჯენს
დაიბერტავს კი არა დაიბერტყავს
დაიბერობს კი არა დაიპერობს
დაიგულვებს კი არა დაიგულვებს
დაიზღებიან კი არა დაიზრდებიან
დაითვრება კი არა დათვრება
დაიმარტოხელებს კი არა დაიმარტოებს
დაიმხოა კი არა დაემხოა
დაისიძეებს კი არა დაისიძებს
დაისწრობს კი არა დაისწრებს
დაიღალბა კი არა დაიღლებს
დაიძობენ კი არა დაიძლებენ
დაიჭირავს კი არა დაიჭერს
დაკიდული კი არა დაკიდებული
დაკუნტდება კი არა დაკუნტდება
დალაპობილი კი არა დამპალი
დაღმავალი კი არა დამავალი
დამამარცხებელი კი არა დამმარცხებელი
დამაფიქრველი კი არა დამაფიქრებელი
დამგვანებია კი არა დამგვანებია
დამსდევს კი არა დამდევს
დამთურგენელი კი არა დამთრგუნველი
დამრჩომი კი არა დამრჩენი
დამსუსტებელი კი არა დამსუსტებელი
დამღალველი კი არა დამღლევი
დამძრალი კი არა დამზრალი
დამწყობი კი არა დამწყები
დანაყული კი არა დანაყილი
დართვილული კი არა დართვილული
დასაბრყობელი კი არა დასაბყრობელი
დასავლეთელი კი არა დასავლელი
დასავლეთური კი არა დასავლური
დასალევი წყალი კი არა სასმელი წყალი
დასოვლებული კი არა დასველებული
დოსტაქარი კი არა დასტაქარი

დასქდება კი არა დასკდება
დაუარია კი არა დაუვლია
დაუდევს კი არა დაუდვია
დაუკლდება კი არა დააკლდება
დაუსქდება კი არა დაუსკდება
დაუტნევს კი არა დაატნავს
დაუფთხოვს კი არა დაუფთხოვს
დაუქორწილებელი კი არა დაუქორწინებელი
დაუშვენებს კი არა დაუმშვენებს
დაუშტვენს კი არა დაუსტვენს
დაუცარცვავს კი არა დაუძარცვავს
დაუჯინა კი არა დაუჯინა
დაუჯინია კი არა დაუჯინია
დაფთხება კი არა დაფთხება
დაღალავს კი არა დაღლის
დაღისტანი კი არა დაღესტანი
დაღმავალი კი არა დამავალი
დაყაბულდება კი არა დაჰყაბულდება
დაშინჯავს კი არა დასინჯავს
დაშნაკელი კი არა დაშნაკი
დაწნილება კი არა დამწნილება
დაწყილი კი არა დაწყებული
დაჭვირთვა კი არა დატვირთვა
დახლილი კი არა დახალული
დახრტენა კი არა დაღრტენა
დახუჭვილი კი არა დახუჭვილი
დასწევა კი არა დაღწევა
დგახარ კი არა დგახარ
დგმური კი არა მდგმური
დედიძა კი არა ბიძა
დედაძმიშვილი კი არა ბიძაშვილი
დედრობითი კი არა მდედრობითი
დევენული კი არა დევნილი
დემონური კი არა დემონური
დემონსტრაციული კი არა დემონსტრაციული
დეფიზი კი არა დეფისი
დიუმი კი არა დუიმი
დიფტერია კი არა დიფთერია
დიფტონგი კი არა დიფთონგი
დონიჯიშემორტყმული კი არა დონიჯიშემორტყმული
დრამატიული კი არა დრამატული

გაგრძელება იქნება

რეზიუმე

ვიმეზობროთ ლექსიკონთან!

ბივი გოჯგუა

(საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)

მასალაში, გასაცნობად და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, წარმოდგენილია ორთოგრაფიული შეცდომების მაგალითები ქართულ მეტყველებაში და მათი სწორი შესატყვისები.

SUMMARY

BEFRIEND A LEXICON!

GIVI BOJGUA

Georgian Academy of Humanitarian and Art Sciences

The paper depicts examples of orthographic mistakes in Georgian language and their corrected versions for practical use and analysis.

2017 წელი

„ბიონაწილაკთა სპექტროსკოპია“

სულ ახლახანს, 2017 წლის მარტში გამოიცა პროფესორების პაატა კერვალიშვილისა და თამარ ბუაღაევას წიგნი (მონოგრაფია) – „ბიონაწილაკთა სპექტროსკოპია“

წიგნის მიზანია მკითხველს გააცნოს ბიონაწილაკთა დეტექტირების პროცესების და დეტექტირების სისტემების ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები, მეთოდები და საშუალებები, ბიონაწილაკთა დეტექტირების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საინტერესო საკითხები.

წიგნი ეხმიანება მიკრობიოლოგიის, ფიზიკის, გამოყენებითი ელექტროდინამიკის, მათემატიკური ფიზიკის, სენსორული და გამოთვლითი ტექნიკის, პროგრამირებისა და კომპიუტერული ქსელების მულტი- და ინტერ-დისციპლინარულ ინტერესებს, რომლებიც იკვეთება ძირითადი თემის ბიონაწილაკთა სპექტროსკოპიის განხილვის პროცესში.

წიგნი მოიცავს თემატურად განსხვავებულ თავებს, სადაც წარმოდგენილია ნაწილაკთა დეტექტირების სისტემა-მოდელის თითოეული კომპონენტის ზოგადი დახასიათება, მნიშვნელობა ვირუსის მაგვარ ნაწილაკთა (VLPs) დეტექტირების ერთიან სისტემაში. განხილულია მიმდინარე კვლევების შედეგები და პერსპექტივები.

განხილულია ელექტროდინამიკის რამდენიმე სასახდრო ამოცანა, ემ ტალღების გაბნევა სფერულ და ცილინდრულ სხეულებზე, თეორიული და რიცხვითი ამოხსნა დეტალურად და ვრცელი სახით პირველად წარმოდგენილია ქართულ ენაზე.

წიგნში წარმოდგენილია პათოგენური ორგანიზმების, ვირუსების, როგორც ფიზიკური ობიექტების კვლევის კონცეფცია, სპექტროსკოპული „ანაბეჭდის“ ბაზაზე ნაწილობრივ ბიონაწილაკების დეტექტირების ფიზიკური მოდელის ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები.

(VLPs) ნაწილაკთა დეტექტირების თეორიული ამოცანა გადაწყვეტილია მაქსველის ემ ველის თეორიის, ერთეულ ნაწილაკთა და ნაწილაკთა სისტემებზე ემ ტალღათა გაბნევისა და გავრცელების თეორიების, ასევე, ნაწილაკთა სპექტროსკოპული (გაბნევის, შთანთქმის) თვისებების შე-




თამარ ბუაღაევა და პაატა კერვალიშვილი პარიზის უნივერსიტეტის ეზოში

წავლის საფუძველზე. განხილულია ნაწილაკთა სენსორების სპექტროსკოპული მეთოდი, რომელიც ემყარება ნაწილაკთა მახასიათებელი გეომეტრიული და სპექტროსკოპული პარამეტრების დაფიქსირებას (გაზომვას). ასევე მოყვანილია შექმნილი ნაწილობრივი სისტემისა და ქსელის მოქმედების სქემა, ქსელური არქიტექტურის მოდელი, ქსელის მართვის ლოგიკური ელემენტების და დეტექტირება-იდენტიფიკაციის ფორმალური ალგორითმის უზრუნველყოფით.

წიგნი შედგება ხუთი თავისგან, ფერადი ილუსტრაციებისგან, გამოყენებული სამეცნიერო შრომების, სახელმძღვანელოების, ვებმისამართების ბიბლიოგრაფიისგან, დამატებებისგან, რომლებშიც შედის ცხრილები (ბაქტერიების და ვირუსების პარამეტრების, მულტიპოლური კოეფიციენტების რიცხვითი ექსპერიმენტული მნიშვნელობები), მათემატიკური გარდაქმნების

დეტალიზაცია, გამოყენებული ფორმულები და განმარტებები, სისტემა-მოდელში დეტექტირების პროცესისთვის შემუშავებული ალგორითმის ფორმალური აღწერა.





ლაბორატორიაში ექსპერიმენტის დროს

მიღებული შედეგებისა და მოდელის, თეორიული, პროგრამული და რიცხვითი სახით, გამოყენება შესაძლებელია ნანონაწილაკთა სპექტროსკოპულ და აეროზოლურ კვლევებში, ნანოზომის ბიოლოგიური უჯრედული სისტემების სპექტროსკოპიაში, ნანოსენსორულ და დეტექტირების სისტემებში, ნანობიოტექნოლოგიებში, ბიოაგენტთა მონაცემთა სპექტროსკოპულ „ანაბეჭდთა“ ბაზის შექმნის საფუძვლად სპექტროსკოპულ ექსპერიმენტულ გაზომვებთან კომბინაციაში.

P.S. რედაქცია უდრმეს მადლობას უხდის ბატონ პატას „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში აქტიური მონაწილეობისათვის.

რეზიუმე

„ბიონაწილაკთა სპექტროსკოპია“

2017 წლის მარტში გამოიცა პროფესორების პაატა კერვალიშვილისა და თამარ ბჟალავას წიგნი (მონოგრაფია) – „ბიონაწილაკთა სპექტროსკოპია“
წიგნი შედგება ხუთი თავისგან, ფერადი ილუსტრაციებისგან, გამოყენებული სამეცნიერო შრომების, სახელმძღვანელოების, ვებმისამართების ბიბლიოგრაფიისგან, დამატებებისგან, რომლებშიც შედის ცხრილები (ბაქტერიების და ვირუსების პარამეტრების, მულტიპოლური კოეფიციენტების რიცხვითი ექსპერიმენტული მნიშვნელობები), მათემატიკური გარდაქმნების დეტალიზაცია, გამოყენებული ფორმულები და განმარტებები, სისტემა-მოდელში დეტექტირების პროცესისთვის შემუშავებული ალგორითმის ფორმალური აღწერა.

SUMMARY

SPECTROSCOPY OF BIOPARTICLES

In 2017 monography “Spectroscopy of Bioparticles” by Paata Kervalishvili and Tamar Bjalava was released.
Book is comprised of five chapters with colored figures, references of used scientific papers, books and webpages, appendices, which has tables (including multipolar coefficients and numerical values for bacteria and viruses alike), detailed mathematical transformations, used formulas and definitions, formal explanation detection model process.

ანტიკოოქსიდაციური პედიატრიაში პელოლოგიური მიღწევის მსოფლმედიკალიზაცია

ბ. ჩახუნაშვილი, იმ. დოლიძე
/თსსუ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი/

კაცობრიობის განვითარების მანძილზე, უპირველესი კითხვა იქითკენ იყო მიმართული, თუ საიდან და როგორ წარმოიშვა და განვითარდა ადამიანი. მის შესახებ უამრავი მეცნიერულ - ფილოსოფიური შეხედულება არსებობს, მაგრამ, საბოლოოდ, იგი მაინც ვერ შეიცნეს და ვერც კი ამოხსნეს... კოსმოსური სამყაროსა და დედამიწის უამრავი საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია და მოითხოვს მიზანდასახული კვლევა-ძიების ჩატარებას.
მედიცინამ თავისი თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის შექმნით განვლო მრავალსაუკუნოვანი გზა და მიაღწია უდიდეს წარმატებებს სამედიცინო-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, დაავადებათა დიაგნოსტიკა-მკურნალობაში, განვითარდა ახალი დარგები (გენური ინ-

ჟენერია, ტრანსპლანტოლოგია, ინფორმატიკა და ა.შ.) თითქმის სრულყოფილად დაიხვეწა ადამიანის ორგანიზმის ორგანოებისა და სისტემების მორფოლოგიური შესწავლა (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის მეთოდოლოგია და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ავადმყოფთა რაოდენობა დედამიწაზე პროგრესულად მატულობს. ბევრი დაავადება „უნკურნებელ“ კატეგორიას მიეკუთვნება. ჩნდება ახალი დაავადებები, რომლებთანაც ჭიდილი უძნელდებათ მედიცინის აღიარებულ კორიფებს, კლებულობს შობადობა, მატულობს სიკვდილიანობა და ა.შ. დაავადების მკურნალობის ახალი მეთოდოლოგიების ძიებაში, მედიცინა კვლავ უბრუნდება პიპოკურატეს უძველეს ნაშრომებს. ჩვენდა სამწუხაროდ, პერ-

სპექტიული ტექნოლოგიების დანერგვამ და თანამედროვე ძლიერმოქმედი მედიკამენტური საშუალებების დანიშვნამ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ ხშირად ერთი დაავადების მკურნალობა იწვევს ადამიანის ორგანიზმში მრავალ სხვა ორგანულ და სისტემურ გართულებებს. ყოველივე ამან, მედიცინა ჩიხში მოაქცია. ამჟამად, ჯანმრთელი ადამიანი იშვიათობას წარმოადგენს.

ზოგადად ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ მატერიალისტური მსოფლმხედველობით, ძნელად იგებენ იმას, რომ, ადამიანი წარმოადგენს კოსმიური გონის (ღმერთის) მიერ შექმნილ სულიერ არსებას და, რომ მისი მიწიერი ცხოვრება მუდმივობის რეჟიმში უშუალოდ დაკავშირებულია კოსმიურ გონთან.

ადამიანი ღვთის ნებით გაჩენილი სულიერი არსებაა. სულის მიწიერი დაგეგმარება კოსმიურ სივრცეში ხდება, ხოლო მისი განხორციელება იწყება დედამიწაზე მდგრადი განაყოფიერებულ კვერცხუჯრედში. მუცლადყოფნის პერიოდში მას უკვე უყალიბდება ფსიქიკა და დედის ორგანიზმის გარე სამყაროსთან ამყარებს ურთიერთობას.

ჩვენთვის, ადამიანებისთვის დაფარულია ღვთის განგებულება, მაგრამ ყველაფერი, რაც ხდება სამყაროში ყოველადბრძენი და კაცთმოყვარე ღმერთის ნებით ხდება. ქრისტიანული მოძღვრებით, ღმერთი ერთია, მაგრამ მას სამი ბუნება გააჩნია. მის სამბუნებოვნებაში იგულისხმება მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა, რომლებიც განსხვავებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ბუნებით ერთი არიან. მამა ღმერთი უშობელია, ძე - შობილი, სულიწმინდა მამა ღმერთისაგანაა გარდმოსული. მამაც, ძეც და სულიწმინდაც, სამივე ღმერთია. ძე ღმერთში იგულისხმება იესო ქრისტე, სანამ ის განკაცდებოდა. სწორედ ძე ღმერთი განკაცდა ქალწულ მარიამისაგან, ანუ იშვა ღმერთი. მისი ჩასახვა უბიწო ღვთისმშობელში ანუ ძე ღვთის განკაცება სულიწმინდის მადლით მოხდა და მან ადამიანური ბუნება ასეთი გზით მიიღო. ეკლესიური სწავლებით, იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი კაციც და ღმერთიც, რაც ღვთის უდიდესი სასწაულია, ისიც კი, რომ ღვთისმშობელი შობამდე, შობის დროს და შემდგომ ქალწული იყო.

ადამიანი ლოგიკური მსჯელობით მაცხოვრის განკაცების სასწაულს ვერ ჩასწვდება. ამიტომ, ის ყოველდღიურ ცხოვრებაში რწმენით უნდა იყოს აღქმული. იმის გამო, რომ მართლმადიდებულებაში მამა ღმერთის ადამიანური სახით წარმოსახვა მიღებული არ არის, ხატმწერები წმინდა სამებას სამი ანგელოზით გამოხატავენ. მათში იგულისხმება მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. მამა ღმერთი იერარქიულად ყველაზე მაღლა დგას, ამიტომ ტაძარშიც და სახლშიც მოწყობილ რელიგიურ კუთხეში სამების ხატზე უფალი ჯვრის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. მის გვერდით უნდა განთავსდნენ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები, შემდეგ - წმინდანები და ა.შ.

ნებისმიერი ადამიანი - ღმერთის ენერჯის ნაწილაკია („პლემკასტი“), რაც ღმერთის ბუნებით არის განპირობებული და წარმოადგენს კონკრეტული ადამიანის შინაგან და სასიცოცხლო ძალას, მიუხედავად პიროვნული თვისებების მრავალსახეობისა. ღმერთი-

ყველა ადამიანის გულში ცოცხლობს. ღმერთს, რომელიც იმყოფება სრული გამოჩაქვითის გარეშე ყველა არსებული საგნების, შემთხვევების, მოვლენების უკან, მუდმივად მხედველობის არეში ჰყავს და აკონტროლებს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებისეული მოქმედებების დინამიკას.

ჯანმრთელობა უდიდესი განძია, რომლის საფასურსაც მთელი სრულყოფილობით ადამიანი მაშინ შეიგრძნობს, როცა მას კარგავს. ჯანმრთელობა, წმიდა მამათა აზრით, წარმოადგენს ღვთის საწუქარს, რომელიც ყოველთვის სასიკეთო როდია. ერთი შეხედვით პარადოქსია. მარტივად კი ღვთის განგებულება იმდენად ღრმა და უკიდევანოა, რომ ადამიანის მწირ გონებას უჭირს გააცნობიეროს, თუ როგორ შეიძლება იყოს ავადმყოფობა უფრო დიდი მადლი, ვიდრე ჯანმრთელობა. სწორედ ავადმყოფობა შეიძლება გახდეს ის უდიდესი ღვთიური წყალობა, რომელიც წაადგება ადამიანის ცხოვრების საქმეს.

ყოველდღიური ცხოვრების გადმოსახედიდან, ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გააჩნია სრული ქრისტიანული შეხედულება დაავადების განვითარების მექანიზმებზე, კერძოდ გაურკვეველია ან დავიწყებულა წარმოდგენები დაავადების წარმოშობაზე, როგორც ჩადენილი ცოდვების გამო გამოწვეული სულიერი დაზიანება. ამასთანავე, ის ხშირად გვევლინება სასჯელის მსუბუქი ფორმით, რადგან ადამიანი საკუთარი სულის შემეცნებას სიყვარულის ნიშნით ემსახურება. ამით იკარგება წარმოდგენა სულიერი გაჯანსაღების აუცილებლობაზე, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ დაავადებასთან წარმატებული ბრძოლის პროცესში ავადმყოფის განკურნება წამებში არ ხდება და ის ჯერ კიდევ საჭიროებს გარკვეულ დროს გაჯანსაღებისათვის და სიცოცხლეში დაშვებული ცოდვების მონანიებისათვის. არსებობს მოსაზრება, რომ ფიზიკური სხეული სული-სათვის წარმოადგენს ტაძარს და თუ მასზე ზეგარბი მზრუნველობა ითვლება საძრახისად, მაშინ საძრახისად უნდა ჩაითვალოს მისი სრული უგულველყოფაც, რაც ტაძარს რღვევითა და დაღუპვით ემუქრება. ავადმყოფი ადამიანი არ წარმოადგენს განყენებულ ცნებას, ის აბსტრაქტული სიმპტომებისაგან შედგება. არის ცოცხალი არსება, სამშვივნველ-სულიერი და ტანჯული. მისი ხორციელ-სულიერი შემადგენლობა ინდივიდუალურია და თვისობრივად მრავალფეროვნად გამოიყურება დაავადების კლინიკური მიმდინარეობის დროს. ექიმი ვალდებულია ავადმყოფს სიყვარულით მოეპყროს და თუ ის ამას არ აკეთებს, იკარგება გაჯანსაღების მთავარი ძალა “სულისა” და “გულის” ერთიანობის სახით. და თუ ეს მოხდა, მაშინ ყველაფერი იწყებს გადაგვარებას და საექიმო პრაქტიკა გადაიქცევა ავადმყოფისთვის განყენებულ დარგად, უბრალოდ ავადმყოფის ექიმთან “მიყვანად” და დაავადების აბსტრაქტულ ცნებამდე, მედიკამენტამდე. მხოლოდ სულიერებისა და ფიზიკური სხეულის ერთმანიანობით უნდა შეაფასოს ექიმმა დაავადების სახეობა, განსაზღვროს მისი კლინიკური არსი და მიზანდასახულად უმკურნალოს მას. სწორედ ამისთვის არის მოწოდებული ექიმის პროფესიული სინდისი და მოვალეობა. თანამედროვე რელიგიურ სწავლებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჯანმრთელობის შენარჩუნების რეკომენდაციები, რაც გადაიქცა ახალი სა-

უკუნის აუცილებელ მოთხოვნებზე. თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველობის თანახმად, ჯანმრთელობა ითვლება ის ადამიანი, რომელიც სამყაროს ინფორმაციულ ნაკადში (სენსორული, ვერბალური და სტრუქტურული ბუნების) რაოდენობრივად და ხარისხობრივად ინარჩუნებს მისთვის აუცილებელი წონასწორობის მდგომარეობას გარე სამყაროსთან ურთიერთზემოქმედების პროცესში.

ჩვენ, რამდენიც არ უნდა ვიკამთოთ, ვერ დავადგენთ, თუ რითი იწყება ყოფიერება: გონებით თუ მატერიით, მატერიით თუ გონებით, ან რომელი იყო პირველი - „გუშინ“, თუ „დღეს“ ან „ხვალ“. მსგავსად კამათისა, ქათმისა და კვერცხის პირველწარმოშობის შესახებ, ჩვენ ვერ დავადგენთ თუ რითი იწყება ჩვენი სიცოცხლე: გონებით თუ მატერიით, მატერიით თუ გონებით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად აღიქმება სერგეი ლაზარევის სიტყვები: „ ყველაზე ეფექტიანი მკურნალობა ადამიანის საკუთარი სულის წესრიგში მოყვანაა. ჯანმრთელობის შენარჩუნება მხოლოდ სწორი მსოფლმხედველობით, სწორი საქციელითა და კვებით არის შესაძლებელი. სამწუხაროდ კი, ადამიანს არ სურს სამყაროსთან ჰარმონიაში ყოფნა“.

თუ გადავხედავთ ისტორიულ წარსულს, დიდი ფილოსოფოსები აზრს მოკლებული კი არ ამტკიცებდნენ, რომ ფიზიკური, სულიერი და ზნეობრივი ჯანმრთელობა წარმოადგენს ერთსა და იმავე ცნებას. ძველ რომში ადამიანი თანამოსაუბრეს მიესალმებოდა „ ა ვალე “ და ამით კი ჯანმრთელობას უსურვებდა. ამიტომ შესაძლებელია ვაღივლოთ (ჯანმრთელობის თანამედროვე მეცნიერებას) თამამად ვუწოდოთ ინტეგრალური დისციპლინა, რომელიც ჰარმონიულად აერთიანებს ტრიადას, როგორცაა, ჰარმონია-სიყვარული-სილამაზე.

კაცობრიობის პროგრესი განისაზღვრება მისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური პოტენციალით. მათგან თითოეულის დაკნინება, როგორც მნიშვნელობისა, არ იყოს, ერთმანეთის მიმართ დაუშვებელია და წარმოადგენს დიდ შეცდომას, რასაც მიყვარათ გამოუსწორებულ შედეგებთან. დედამიწაზე ყოველი ადამიანი გარკვეული სულიერი მისიის შესასრულებლად იბადება და მას გააჩნია თავისი პირადი განუმეორებელი კარმა. ადამიანი სულისა და სხეულის გარდა დაჯილდოებული არის ღვთიური უნარით, რომლითაც უახლოვდება უფალს და ხდება მასთან გაერთიანება. ადამიანს მიწიერი ცხოვრება იმისათვის ეძლევა, რომ ეს ღვთიური უნარი გამოავლინოს და განავითაროს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანი იბადება, რათა მან ცხოვრებისეული გამოცდილებით, შრომითა და განცდებით, მათი მრავალფეროვნებით შეიცნოს საკუთარი თავი და ღვთიური საწყისი, რათა შემდგომ ათვისონ გარშემო არსებული სივრცისა და სამყაროს მთლიანობის აღქმა იმისათვის, რომ ის გახდეს უფლისმსგავსი და შეერწყმოს ღმერთს. ამისათვის ადამიანს ერთი სიცოცხლეც არ ყოფნის, და ამიტომ იგი თავიდან იბადება მანამ, სანამ არ მიადევს სულიერ სრულყოფას.

ადამიანი წარმოადგენს ფიზიკურ გარსს, ანუ სხეულს, გონს, ანუ ერთის მხრივ, ცნობიერებას და ფსიქიკას, და, მეორეს მხრივ, სულს, ანუ ჩვენს ემოციებს, გრძობებს, უპირველესად - ქვეცნობიერის. სწორედ ეს არის ღვთაებრივი მარცვალი, რომელიც უხილავად

არსებობს ნებისმიერ ცოცხალ არსებასა და სამყაროს ნებისმიერ ობიექტში. ცხოვრებაში ადამიანის სული ღმერთისკენ უნდა იყოს მიმართული, ცნობიერება და სხეული კი-მიწისკენ, როდესაც სული მიწას მიეჯახება, იგი აგრესიული და ამაყი ხდება, ეს კი იწვევს დაავადებებს. ავადმყოფობა კი სულის რღვევის პროგრამის შეჩერების საშუალებაა.

პარაფსიქოლოგთა დასკვნით ექიმი კი არ კურნავს ავადმყოფს, არამედ მას გამოჯანმრთელებაში ეხმარება. ექიმი ავადმყოფს თავისი სულით კურნავს. ექიმის პიროვნების გარეშე მედიცინა არ არსებობს. ექიმი კეთილი უნდა იყოს და მუდმივად მუშაობდეს საკუთარ თავზე. სხვადასხვა ექიმის მიერ გამოწერილი ერთი და იგივე წამალი ხშირად იძლევა განსხვავებულ სამკურნალო ეფექტს. და მაინც, დაავადებაშიც და განკურნებაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს თვით ავადმყოფის ხასიათი და მისი მსოფლმხედველობა. ყველა ჩვენთაგანის ჯანმრთელობა ჩვენივე თავიდან იწყება. ადამიანი თვითონვე ანადგურებს ბუნებას, უარს არ ამბობს ცხოვრებისეულ ცდუნებებზე (ალკოჰოლზე, თამბაქოზე, ნარკოტიკებზე და ა. შ.), რომლებიც აჩქარებს სიკვდილის მოახლოებას ან ამოკლებს ადამიანების მიწიერი ცხოვრების ხანგრძლივობას.

დღეს, ადამიანმა თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა: ვფლობ კი ცოდნას ჩემს ორგანიზმზე? ვიცი კი, როგორ ვმართო ჩემი ორგანიზმი? სამწუხაროდ, არ იცის, რომ საკუთარი ორგანიზმი ადამიანს ბრძანებლობს და იმორჩილებს. ადამიანიც მას მიყვება, ავადდება და ექვემდებარება დაავადებიდან გამომდინარე სიურპრიზებს.

ჩვენ, ადამიანები ღმერთიდან გადმოსული ინფორმაციით ვარსებობთ. სულიწმინდა წარმოშობს ენერჯიას, ენერჯია ბადებს მატერიას, მატერია ირღვევა და უბრუნდება ინფორმაციულ საწყისს. სამყაროში ასეთივე სქემით ვითარდება ნებისმიერი მოვლენა. სხეულიდან გადმოსვლისას სული სამყაროს მარადისობის გონებით უბრუნდება. ეს გრძელდება მანამ, სანამ მისი გამოჩენის დრო არ დადგება. სული იმავე მატერიის მიზეზი ხდება, საიდანაც თვითონვე წარმოიშვა. აქედან გამომდინარე, სხეული შობს სულს და სული ხდება სხეულის წარმოშობისა და განვითარების მიზეზი.

იესოს ლოცვა - „ უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“, ადამიანში აყალიბებს ჭეშმარიტ რწმენას, რაც სასარგებლოა არა მხოლოდ სულისათვის, არამედ ჯანმრთელობისთვისაც. მეცნიერულად დადასტურდა, რომ რწმენა ადამიანს აბედნიერებს, უფრო ოპტიმისტურს ხდის, ამცირებს დეპრესიის დონეს, მარტოობის შეგრძნებას. ასევე ხელს უშლის მიდრეკილებას ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და სხვა მავნე ჩვევების დამკვიდრებაში. მიმართ.

ჯანმრთელობა - უდიდესი სოციალური ფასეულობაა. კარგი ჯანმრთელობა - ძირითადი პირობაა იმი-ბა, რომ ადამიანმა შეასრულოს მისი ბიოლოგიური და სოციალური ფუნქციები, რაც წარმოადგენს საზოგადოებაში პიროვნების თვითრეალიზაციის ფუნდამენტს.

წამყვან სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებაზე, მის შენარჩუნებაზე და განმტკიცებაზე წარმოადგენს ჯანდაცვა - სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრი-

ვი ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ავადმყოფთა მკურნალობისათვის და დაავადებათა ასაცილებლად. მედიცინა წარმოადგენს ჯანდაცვის სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებათა საფუძველს. ამასთანავე, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების პრობლემა - პრეროგატივაა არამარტო (და არა იმდენად) ჯანდაცვის, რამდენადაც მთლიანობაში სახელმწიფო სტრუქტურების.

ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის, კულტურის და სახელმწიფოს წარმატებების მთავარ „სავიზიტო ბარათს“. ახალგაზრდების უმეტესობამ არც კი იცის ჯანმრთელობის ფასი, რადგან ისინი არ უჩივის მის უკმარისობას. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანი იწყებს ჯანმრთელობის უკმარისობის შეგრძნებას. ჰიპოკრატე აღნიშნავდა - „მედიცინა არის მატება, როცა ნაკლებია, ხოლო გამოკლება, როცა ჭარბია „

ცნობილი ამერიკელი ფიზიოთერაპევტი პოლ ბრევი ასე მიმართავს ადამიანებს : „თქვენ ხარჯავთ ჯანმრთელობას სიმდიდრის შესაძენად, შემდეგ კი, პირიქით, თქვენ ხარჯავთ სიმდიდრეს ჯანმრთელობის შესაძენად“... ადამიანთა უმეტესობა (მეტწილად) 50 წლის ასაკიდან ავადდება.

თითოეული ადამიანისათვის, მთელი საზოგადოებისთვისაც ჯანმრთელობა პირველხარისხოვან ღირებულებას წარმოადგენს. ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება მედიცინის პროფილაქტიკური მიმართულების არსია. დღეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა პრევენციული მედიცინის სხვადასხვა ასპექტის უგულვებელყოფის ფაქტები სხვადასხვა მოტივით (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, გლობალური, ეთნიკური და ა.შ.), რითაც მანიფესტირდება ადამიანის სიცოცხლის გაუფასურებისა და მისდამი უტილიტარული დამოკიდებულების ტენდენცია.

ადამიანის აზრი ყოველთვის მისწრაფოდა არა მარტო ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის სამედიცინო-ბიოლოგიური არსის წვდომისაკენ, არამედ მათი შეფასებისკენაც სიკეთესა და ბოროტებასთან, მშვენიერისა და არაესთეტიკურთან, კარგსა და ცუდთან, დასვენებასა და დაუშვებელთან, ჭეშმარიტებასა და სიცრუესთან, სამართლიანობასა და უსამართლობასთან მიმართებაში.

ადამიანი ყოველთვის ვერ აცნობიერებს, რომ მისი ჯანმრთელობა მხოლოდ მის ქცევაზეა დამოკიდებული. ის თვითონვე ანადგურებს ბუნებას, უარს არ ამბობს მიწიერ ცდუნებებზე (ალკოჰოლზე, თამბაქოზე, ნარკოტიკებზე და ა.შ.), რომლებიც აჩქარებს სიკვდილთან მიახლოებას ანუ ამოკლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. ორგანიზმში განვითარებული დიდი ენერგოდანახარჯები (ფიზიკური თუ გონებრივი) იწვევს ორგანიზმის გამოფიტვასა და მთელი რიგი დაავადებების წარმოშობას. ენერგოდეფიციტურ ორგანიზმში ადრეულად ირღვევა ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა და მწიფდება მისი სოციალური კონფლიქტი საზოგადოებასთან. ნებისმიერი დაავადების დროს აღინიშნება სხეულის (ფიზიკურის) და სულის (ფსიქიკურის) ნორმის ფარგლებიდან გადახრა. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ სულს მატერიალურ სამყაროში აქვს ფიზიკური გარსი, ანუ სხეული, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიწაზე ტოვებს ან მიწად

იქცევა, ხოლო საიქიოს მიმავალი სამშენებელში იმყოფება. სამშენებელი სულის ერთ-ერთი ენერგეტიკული გარსია, რომელიც ადამიანის თვალისათვის უხილავია. ამ აზრს შესანიშნავად განაზოგადებს აკადემიკოსი ი.ფრანგიშვილი, რომელმაც თავისი კოლექტივის შემოქმედებითი კვლევა-ძიებით დაადასტურა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია ჰოლოგრამა (სულის მსგავსი), რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული უდიდეს ინფორმაციულ ჰოლოგრამასთან (ე.ი. ღმერთთან, როგორც მიინნევენ ჩვეულებრივი ადამიანები) და აღიარებს ღმერთის არსებობას და, რომ ყველაფერი დეზოქსირიბონუკლეინის მუცავშია ჩაწერილი ფაშათ შორის ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც. მას სწამს მხოლოდ სულის უკვდავების (რაც კვდება მატერიალურად). როდესაც ადამიანს ვასაფლავებთ, ჩვენ ვმარხავთ სკაფანდრს, ზედაპირს, ადამიანის სასულეს და არა სულს. სული უმთავრესია ადამიანში, ჰოლოგრამის ფანტომის სახით.

საერთოდ ცნობილია, რაც ადამიანის გარშემო არსებობს, ღმერთის შემოქმედებითი მონაწილეობის უტყურობის ანარეკლია. საოცარი სიზუსტითა და გონივრიულობით არის აწყობილი სამყარო, სადაც მიზანმიმართულად მოქმედებს ბუნების კანონები - რაც ადასტურებს კოსმიური გონის არსებობის ჭეშმარიტებას უკიდევანო სივრცესა და უსასრულობაში.

ჯანმრთელობა თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველობით უნდა განიხილებოდეს ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციებიდან, რაც გულისხმობს ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკურ ერთიანობას. ღმერთის (კოსმიური გონის) მიერ ადამიანის ჯანმრთელობაზე მუდმივი ღვთიური მზრუნველობა, პიროვნების მიერ საკუთარი სიჯანსაღის თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის ყოველდღიური დაცვა - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის ფორმირებას, მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. სამწუხაროდ, თანამედროვე კაცობრიობა სულ უფრო და უფრო ურწმუნო ადამიანისათვის ყველაზე ძლიერ „რელიგიად „ მეცნიერება იქცა. იგი ხომ მის თითქმის ყველა საინტერესო საკითხზე პასუხობს.

ეს იმ დროს, როცა ამავე მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები აღიარებდნენ სამყაროს შემოქმედს, დიდ ფიზიკოსს ალბერტ აინშტაინს შემდეგი შეხედულება ჰქონდა უფაღზე: „ყოველი სერიოზული ბუნებათმცოდნე გარკვეულწილად მორწმუნე ადამიანი უნდა იყოს. სხვანაირად იგი უუნარო იქნება, და უჯერებლად გააცნობიეროს ის ფაქტი ურთიერთდამოკიდებულებანი, რასაც უსასრულო უნივერსუმში აკვირდება, მისი გამოგონილი არ არის. აქ ვაწყდებით უსასრულოდ სრულყოფილი გონის მოქმედებას. და საერთოდ, აზრი ჩემს შესახებ, როგორც ათეისტზე : ძალიან დიდი შეცდომაა... თუკი ეს შეხედულება ამოხაპულია ჩემი სამეცნიერო შრომიებიდან, შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ ისინი ვერ გაუგიათ და ეგაა. სულ ტყუილუბრალოდ წუწუნებენ XX საუკუნის კატასტროფებზე, უფაღმა ეს როგორ დაუშვავო. დიას, მან დაუშვა ჩვენი თავისუფლება, მაგრამ უმეცრების წყვილადში არ დაგვტოვა: გვიჩვენა გზა ბოროტისა და კეთილის შეცნობისა, და ადამიანს ახლა უწევს თავადვე გადაიხადოს საფასური იმის გამო, რომ არასწორი გზები აირჩია“.

მოსახლეობის ჯანმრთელობის სტრატეგიის შემუშავება და მისი ტაქტიკური უზრუნველყოფა ძალზე დიდი, მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია არამარტო მედიცინისა და ჯანდაცვის შესაძლებლობებზე, არამედ რელიგიურ აზროვნებაზე, მრავალი მეცნიერებების მიღწევებზე, და, რაც მთავარია სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გადაუდებელ მხარდაჭერაზე.

დღეს, სულ უფრო მეტად აღნიშნავენ ადამიანის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს ვალეოლოგიის (ჯანმრთელობის მეცნიერების) პერსპექტიულ განვითარებაზე. მრავალი მეცნიერი ჯანმრთელობის მეცნიერებას ისე უყურებს, როგორც XXI საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრესიის მესამე ტალღას. უახლოეს პერიოდში ორი მიმართულების (ვალეოლოგიისა და მედიცინის) ფუნქციონირება რეალობად იქცევა და მედიცინა მასში დაიკავებს ღირსეულ ადგილს, რადგან ვალეოლოგიის ობიექტად ძირითადად მოიაზრება ჯანმრთელი ადამიანი.

ლიტერატურა:

1. დოლიძე ი. - ღმერთი სულს მართავს, სული კი ადამიანის სხეულს, „ფენომენი“, 2006, 9, 10-15;
2. დოლიძე ი.- ანთროპოკოსმიური მედიცინის აწმყო და მომავალი, „ფენომენი“, 2006, 12, 12-16;

3. დოლიძე ი.- რაში მდგომარეობს ანთროპოკოსმიური მედიცინის საიდუმლოების არსი, „ფენომენი“, 2008, 11, 12-16;

4. დოლიძე ი. - სიცოცხლის ფენომენის საიდუმლოება ახალი აღმოჩენის შუქზე, „ფენომენი“, 2006, 3, 22-26;

5. დოლიძე ი. - რაშია ადამიანის კოსმიური პათანატომის არსი ?, „ფენომენი“, 2004, 9, 28 -32;

6. Шадури Марина - Незримое, непознанное, очевидное, 2005, М., Центр Биологграфии ;

7. ფრანგიშვილი ი.- მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის სისტემური ურთიერთობანი, პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, „მეცნიერება და რელიგია“, თბილისი, 2005, 42-52;

8. ხვედელიძე ი., დოლიძე ი.- სარწმუნეობიდან რელიგიამდე, რელიგიიდან მეცნიერებამდე და მათ ერთიანობამდე, პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ მეცნიერება და რელიგია“, თბილისი, 2005, 289 – 300;

9. დოლიძე ი. - ვალეოლოგიური კვლევის თავისებურებანი ანთროპოკოსმიურ მედიცინაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2008, 10

10. დოლიძე ი.- ადამიანის ჯანმრთელობა ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციებიდან, მედიცინისა და მეცნიერების თანამედროვე პრობლემები, თბილისი 2016, 4 (8), 23-28.

რეზიუმე

ანთროპოკოსმიურ მედიცინაში ვალეოლოგიური მიდგომის მსოფლმხედველობა

ბ. ჩახუნაშვილი, იბ. დოლიძე

მოსახლეობის ჯანმრთელობის სტრატეგიის შემუშავება და მისი ტაქტიკური უზრუნველყოფა ძალზე დიდი, მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია არამარტო მედიცინისა და ჯანდაცვის შესაძლებლობებზე, არამედ რელიგიურ აზროვნებაზე, მრავალი მეცნიერებების მიღწევებზე და რაც მთავარია სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გადაუდებელ მხარდაჭერაზე.

დღეს, სულ უფრო მეტად აღნიშნავენ ადამიანის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს ვალეოლოგიის (ჯანმრთელობის მედიცინის) პერსპექტიულ განვითარებაზე. მრავალი მეცნიერი ჯანმრთელობას ისე უყურებს, როგორც XXI საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრესიის მესამე ტალღას. უახლოეს პერიოდში ორი მიმართულების (ვალეოლოგიისა და მედიცინის) ფუნქციონირება რეალურად იქცევა და მედიცინა მასში დაიკავებს ღირსეულ ადგილს, რადგან ვალეოლოგიის ობიექტად ძირითადად მოიაზრება ჯანმრთელი ადამიანი.

SUMMARY

ANTHOPOCOSMIC MEDICINE AND VALEOLOGICAL APPROACH TO IT

G. CHAKHUNASHVILI, I. DOLIDZE
TSMU, Georgian National Learning Institute of Physical Development and Sports

It is a rather hard and responsible job to conjure a strategy and tactics to establish stable public healthcare. Solving this problem is not dependable only on healthcare system capabilities, but religious thinking, scientific achievements and immediate assistance from state structures.

Nowadays whole focus is switched to importance of development of valeology. A lot of scientists view healthcare as a religion of XXI century. In the nearest future two field (of medicine and valeology) will function together and medicine will be centerpiece of it, since object of valeology is a healthy human.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია
EUROSCIENCE GEORGIAN NATIONAL SECTION



ნორმის ფენომენი პრაქტიკულ მედიცინაში

იბ. ღოლიძე, ბ. ჩახუნაშვილი

/საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თსსუ/

ნორმა – მეტად ზოგადი ცნებაა, რომელიც ორგანიზმულ და არაორგანიზმულ სამყაროში განაპირობებს მრავალ პროცესებისა და მოვლენების წარმოშობასა და განვითარებას. მედიცინაში „ნორმა“ – ეს არის ტერმინი, მეტად დაახლოებული ჯანმრთელობის ტერმინთან, მაგრამ კლინიკური გაგებით არასრულყოფილი თავისი ფუნქციური შესაძლებლობებით. ჯანმრთელობა – ცოცხალი ორგანიზმებისათვის სპეციალური ცნებაა, რომელიც მათი არსებობის ყოველ ცალკეულ მომენტში გამოხატავს ცოცხალი ორგანიზმის ხარისხობრივად განსაკუთრებულ მდგომარეობას. ადამიანი შეიძლება იყოს ჯანმრთელი ორგანიზმის აგებულებისა და ნაცნობი მაჩვენებლების ფუნქციური დატვირთვის ფონზე, მაგრამ ჰქონდეს ზოგიერთი ცალკეული ნიშნების ნორმიდან გარკვეული გადახრა (მაგალითად, სხეულის სიმაღლე, გონებრივი ნიჭიერება, ქცევის თავისებურებანი და სხვ.). ნორმა – დინამიკური პროცესია, რომელიც დროში მუდმივად იცვლება. ამიტომ, ჯანმრთელ ორგანიზმში ნებისმიერი ფიზიოლოგიური პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ე.წ. ნორმის ფარგლებში, რომლის ცხოველმოქმედების მაჩვენებელი უნდა ასახავდეს არამარტო სტატისტიკურ საშუალო სიდიდეს, არამედ მასთან დაკავშირებულ გადახრებსაც.

მეორეს მხრივ, ადამიანი შეიძლება იყოს ავადმყოფი, მაგრამ საზოგადოებაში ჰქონდეს ზოგადად მიღებული და საკმარისი ნორმალური ქცევის წესები. ზოგიერთ შემთხვევაში კი, შესაძლებელია ფლობდეს მაღალი დონის გონებრივ ნიჭიერებას. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ტერმინებს, როგორცაა: „ნორმა“ და „ჯანმრთელობა“ გააჩნია მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი კლინიკურ-ფიზიოლოგიური ფაქტორების მასშტაბურობა, სადაც გათვალისწინებულია ცალკეული ადამიანის ბიოლოგიური, სულიერი სოციალური მონაცემები და მათი შეფასების პირობითობა.

ტერმინს, როგორცაა „ნორმა“, ფართოდ გამოიყენებს სხვადასხვა დარგის (საზღვრებისმეტყველო, სოციალური და ტექნიკური) მეცნიერებები, როგორც ძირითად გასაღებს ყველა არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. მინერალოგიაში და ქიმიკაში საუბრობენ „არანორმალურ კრისტალებზე“, ფიზიკაში – „არანორმალურ რხევებზე“, ბიოლოგიაში – „ადაპტურ ნორმებზე“ და „რეაქციის ნორმებზე“, ესთეტიკაში – „ესთეტიკურ ნორმებზე“, ეთიკაში – „მორალურ ნორმებზე“, ლინგვისტიკაში – „ენების ნორმებზე“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, ძნელია ვიპოვოთ

მეცნიერების სახეობა, რომელშიც ასე, თუ ისე, არ გამოიყენებოდეს „ნორმის“ ტერმინი.

სტატისტიკურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმის განსაზღვრისათვის. სტატისტიკური მაჩვენებლები შესაძლებლობას იძლევა გამოავლინოს ადამიანის ჯანმრთელობის მრავალი პარამეტრი (მედიცინაში ჯანმრთელობის პრობლემა, ანუ ნორმის პრობლემა). ჯანდაცვის სოციალურ სისტემაში შედგენილია ადამიანის ჰომეოსტაზის მრავალი დაწვრილებითი ცხრილი, რომელიც ასახავს არტერიული სისხლის წნევის სიდიდეს, მაჯისცემის სისწირეს, სისხლში შაქრის დონეს და ა.შ. ამასთანავე, სტატისტიკურ ცხრილებში გათვალისწინებულია ჯანმრთელი ადამიანის ფიზიოლოგიური სიდიდეების რიგი რყევების რეგისტრირება.

„ნორმის“ ტერმინის სრულყოფილობა და მისი ანალიტიკური გაშიფრვა, განსაკუთრებულად რთულ ამოცანას წარმოადგენს. რეალურ ნორმებს, რომელსაც იყენებს პრაქტიკოსი-ექიმი, ვერ ეტყევა ადამიანის ორგანიზმის კანონზირებული ნორმების ჩარჩოებში. ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც მისი ორგანიზმის თვითშენარჩუნებისა და თვითგანვითარების უნარიანობა წარმოადგენს ფუნდამენტურ ბიოლოგიურ თვისებას, რომლის ორგანოები და სისტემები იმდენად უხილავად ფუნქციონირებენ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ექიმის თვალთ დროულად დაფიქსირდეს ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები.

ჯანმრთელობა და დაავადება (ე.ი. ნორმა და პათოლოგია) თვისობრივად წარმოადგენენ სიცოცხლის ძირითად ფორმებს. ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების მანძილზე ჯანმრთელობისა და დაავადების მდგომარეობები დინამიკაში შეიძლება მრავალჯერ შეიცვალოს, თუმცა ისინი ერთმანეთთან ძალზე არიან მჭიდროდ დაკავშირებული. ჯერ კიდევ არისტოტელე თვლიდა, რომ ჯანმრთელობა და დაავადება ორი ხარისხობრივად განსხვავებული კატეგორიაა, თუმცა, მოგვიანებით – გასული საუკუნის დასაწყისში ნ. სემაშკო აღნიშნავდა: „ჯანმრთელობა და დაავადება – ეს დიალექტიკური ცნებებია, რომლებიც ერთმანეთში უწყვეტ კავშირში იმყოფება“. ამასთანავე, მნიშვნელოვანია განსაზღვროს თუ რა პირობებში მიმდინარეობს ადამიანის ნორმალური, ჯანმრთელი სიცოცხლე, რომლის ფიზიოლოგიური საზღვრებიდან გადახრა, ხშირ შემთხვევაში დაავადების წარმოშობის მიზეზი ხდება.

პრაქტიკულ მედიცინაში ძალიან ხშირად იყენებენ გამოთქმებს: „ნორმალური ტემპერატურა“, „ნორმალური ელქტროკარდიოგრამა“, „სხეულის ნორმალური წონა“ „სისხლის ნორმალური შემადგენლობა“ და ა.შ. მოცემულ შემთხვევებში მხედველობაში აქვთ ნორმა, როგორც სტატისტიკური საშუალო მანკენებელი, რომელიც მიღებული იქნა პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანების შერჩევითობის გზით. ხშირ შემთხვევაში მითითებულია ნორმის საზღვრების შესაძლო რყევები. ამასთანავე, რიგი გაზომვებისას ნორმა არამარტო და არა იმდენად საშუალო სტატისტიკური მანკენებელია, რამდენად ორგანიზმის ცხოველმოქმედების რთული ფიზიოლოგიური პროცესის რაოდენობრივი მანკენებელი. ნორმის ანუ ჯანმრთელობის ქვემოთ იგულისხმება ორგანიზმის ცხოველმოქმედების ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიოლოგიური პროცესების ყველაზე სრულყოფილ ფუნქციონირებას ადეკვატური პირობების შექმნის ხარჯზე. მაგალითად, მაღალმთიან სიმაღლეებზე ასვლისას ჟანკბადის შემცველობის დაქვეითებას მოყვება ერთობლივობის რაოდენობრივი ზრდა, იმასთან შედარებით, რაც ჰქონდა ადამიანს ზღვის დონის პირობებში. ეს ფაქტი უნდა მივიჩნიოთ ნორმალურ მოვლენად. დღეს, პოპულარულია ნორმის განსაზღვრა, როგორც კონკრეტულ გარემოში ორგანიზმის ოპტიმალური ცხოველმოქმედების დასტური. ცალკეული ინდივიდუალისათვის ნორმა (ე.ი. ჯანმრთელობის ხარისხი) თავისთავად არ წარმოადგენს აბსოლუტურს, გაყინულს და უცვლელს. ნორმა იცვლება ინდივიდის სხვადასხვა სახეობის, პოპულაციის, წლოვანების, სქესის ცვალებადობასთან ერთად. ის გენეტიკურად დეტერმინებულია და ამავე დროს დამოკიდებულია გარეთა გარემოზე, ე.ი. ნორმა – არამარტო გენოტიპს წარმოადგენს, არამედ ფენოტიპსაც, ამ სიტყვის ფართო გაგებით. დღეს, ექიმში ხშირად ეკითხება ავადმყოფს: თუ რამდენი აქვს მას „ნორმალური“ (მისთვის დამახასიათებელი) არტერიული წნევა, თუ როგორია მისი ორგანიზმის მგრძობელობა (გადატანის ხარისხი) ამა თუ იმ წამლებისა და საკვების მიღების დროს, ბუნების კლიმატოგეოგრაფიულ პირობებში და ა.შ.

თანამედროვე მედიცინაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის ჯანმრთელობის ხარისხის ინდივიდუალური რეაქტიულობის პრობლემა. დღეს, დადგენილია მრავალი ინდივიდუალური განსხვავებები ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის სხეულის აგებულებაში, ქიმიურ შემადგენლობაში, ნივთიერებათა ცვლაში და ბიოენერგეტიკულ რეზერვებში, ორგანოებისა და სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაში. ამიტომ, ექიმის დასკვნა „ჯანმრთელია“ (შანუს) ყოველთვის პირობითად უნდა იყოს შეფასებული.

ჯანმრთელობა, როგორც ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა აირეკლავს ადამიანის ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური ბუნების თავისებურებებს; ჯანმრთელობა უნდა იყოს განხილული, არა როგორც სტატისტიკური მდგომარეობა, არამედ, როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების მუდმივ აქტიურობასა და ორგანიზმის სისტემების რეგულირებას სხვადასხვა დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების ჩართვის პირობებში.

თანამედროვე სამედიცინო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ჯანმრთელობის ცნება, განსაკუთრებით

ნორმის, არ უნდა განხილვოდეს გარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვალებადი ადაპტაციის გათვალისწინების გარეშე. ჯანმრთელობის განსაზღვრა არამარტო ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესების ოპტიმალური მექანიზმების ამოქმედებაა, არამედ არის მათი გაწონასწორება გარეთა გარემოს ფაქტორებთან, რომელიც ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. აქვე, განათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველი ადამიანი გამოირჩევა თავისი ინდივიდუალური ნორმით.

ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების შეფასებისათვის გარკვეულ დათმობას წარმოადგენს სპეციალური გამონათქვამი: „პრაქტიკულად ჯანმრთელი“. მოცემული გამონათქვამი იმას ადასტურებს, რომ გარკვეული დროის მონაკვეთში ადამიანი შეიძლება იყოს ჯანმრთელი და შრომისუნარიანი, მაგრამ, ამასთანავე არ იძლევა სრულ გარანტიას მოსალოდნელი დაავადებების წარმოშობის მხრივ იმ ცვალებად გარემოში, რომელიც აღინიშნება XXI საუკუნის ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში და შრომით დასაქმებაში. აქვე, საჭიროა იმის შესხენება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს ჯანმრთელობის კრიტერიუმის ფარდობითობა ამა თუ იმ პოპულაციის ადამიანებისათვის, კერძოდ მათი არსებობის ცალკეულ სიტუაციაში და პირობებში.

მედიცინაში „ჯანმრთელობისა“ და „დაავადების“ ცნებების მრავალრიცხოვანი განსაზღვრისას ყოველთვის აისახებოდა მეცნიერების ფილოსოფიური შეხედულებები, სადაც განვითარების დონე ფასდებოდა ბუნებისმეტყველებისა და კულტურის ხარისხით. კაცობრიობის ფილოსოფიური ცოდნის გადმოსახედიდან, ყველა ეპოქაში დაავადებათა სწავლების პროცესში მიმდინარეობდა მედიცინის განვითარებაც, რომლის დროსაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჯანმრთელობის ფორმირებას, მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. დღემდე, აშკარად შეიმჩნევა ფილოსოფიის ორი ძირითადი მიმართულების – მატერიალიზმისა და იდეალიზმის შორის ჯერ კიდევ, აუსხნელი ბრძოლა სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა მეცნიერული მიდგომით. მნიშვნელოვან სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს ცნება „დაავადებისწინა მდგომარეობა“ (ს. პავლენკო). აუცილებელია კი ამ სტადიის ჩართვა ნებისმიერი დაავადების განვითარების პროცესში? რით განსხვავდება ის დაავადებისაგან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით? ტერმინები „ასთმისწინა მდგომარეობა“, „ინფარქტისწინა მდგომარეობა“ და სხვა მყარად დამკვიდრდა სამედიცინო პრაქტიკაში. აქ, ყალიბდება შეკითხვაც: როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება „დაავადებისწინა მდგომარეობასა“ და „დაავადების დასაწყისს“ შორის?, რა ადგილს იკავებს ცნება „დაავადებისწინა მდგომარეობა“ დაავადების განვითარების საწყისი სტადიის პროცესში? როგორი პროცესები მიმდინარეობს ჯანმრთელობასა და დაავადების ზღვარზე, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც დაავადებისწინა მდგომარეობა? საერთოდ აუცილებელია კი – მოცემული ტერმინი გამოვიყენოთ პათოლოგიისათვის და მედიცინისათვის, რომლებიც ისედაც გადატვირთულია სხვადასხვა ტერმინოლოგიებით?

დაავადებისწინა მდგომარეობად და დაავადების საწყისად შეიძლება ჩავთვალოთ ინფექციური დაავა-

დებების ინკუბაციური პერიოდი ან აღერგიული დაავადებებისას სენსიბილიზაციის პერიოდი. დაავადებისწინა მდგომარეობად შეიძლება დავასახელოთ სხივური დაავადების ფარული პერიოდები, ულტრაიისფერი სხივებით დასხივება, ზემო სასუნთქი გზების დაზიანება (პოლიპოზი) ბრონქული ასთმის დროს, ჰიპერტონული დაავადების დასაწყისში სისხლძარღვთა დარღვეული ტონუსის შექცევადობა. აგრეთვე დაავადებისწინა მდგომარეობად შეიძლება ჩაითვალოს უსიმტომოდ მიმდინარე ინფექცია (ჰერპესი და სხვა), რომელიც ვლინდება გარეთა გარემოს დამატებითი ფაქტორების, არასახელსაყრელი ზემოქმედების (გაცივების) შედეგად. ამის გარდა, არსებობს მრავალი დაავადება, რომლის დროსაც შეუძლებელია გამოვყოთ დაავადებისწინა მდგომარეობის სტადია და დაავადებით მისი საზღვრები, თუმცა ეს შეიძლება ჩავთვალოთ დაავადების განვითარების საწყის პერიოდად, რისი დადგენაც მნიშვნელოვნად გაძნელებულია.

დაავადებისწინა მდგომარეობის სტადიის შემდგომ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ქსოვილების მდგომარეობა, რომელიც დაზიანებულ ქსოვილებში და უჯრედებში მიმდინარეობს, რაც უნდა ჩაითვალოს კომპენსატორული პროცესების განვითარების გამოვლენად.

ერთი მეცნიერის ბრძნული გამონათქვამით, გარკვეული დროის გავლის შემდეგ, ადამიანი დაავადებებს შეაფასებს, როგორც გაუკუღმართებული აზროვნების, უკულტურობის, ცოდნის უკმარობის შედეგს და ამიტომ ავადმყოფობა ჩაითვლება სამარცხვინო მოვლენად. დღეს, ის დრო დადგა, რომ ჯანმრთელი ადამიანი სამედიცინო კვლევის ობიექტად უნდა გავხადოთ და ექიმებმა უნდა დაიწყოთ “დაავადების ისტორიის” გარდა, „ჯანმრთელობის ისტორიის“ შედგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ადამიანის ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, მის ახალ პირობებთან შეგუების ხარისხის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ჯანმრთელობის ძირითადი ნიშანი არის ორგანიზმის მაღალი შემგუებლობა გარეთა გარემოს ცვალებად პირობებთან, ე.ი. ჯანმრთელობა ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ყველა მისი ორგანო და სისტემა გაწონასწორებულია გარეთა გარემოს პირობებთან და ამასთან ადამიანს არ აღენიშნება დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები.

ჯანმრთელ ადამიანს გააჩნია უნარი გადაიტანოს უდიდესი ფსიქო-ფიზიკური დატვირთვები და გარეთა გარემოს ფაქტორების ცვალებადი რყევები. ჯანმრთელი ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანა ძალზე ძნელია, რადგან მას კარგად აქვს განვითარებული დაცვით-კომპენსატორული მექანიზმები. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის ორგანიზმის ბიოენერგეტიკული შესაძლებლობები არ არის უსაზღვრო, ადრე თუ გვიან შეიძლება ის გამოიფიტოს და წარმოიშვას დაავადებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ექიმი ავადმყოფს იშვიათად კურნავს, რადგან მას არ გააჩნია ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელი, რაც, დღეს, მედიცინის განსაკუთრებულ და სერიოზულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

კომპენსატორული პროცესები დაავადებისწინა მდგომარეობის მსვლელობისას ცნობილია და მათი ფუნქციები რეგულირდება ნერვული, ენდოკრინული ან

იმუნოკომპენტეტური სისტემების დონეზე. ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს მისი რეაქტიულობა, რომელიც განისაზღვრება მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით: ეს იქნება მექანიკური ვიბრაციით თუ გარეთა გარემოს ფაქტორები, რომელთა შორის ადამიანისათვის სრულიად განსაკუთრებული როლი ენიჭება სოციალურ ფაქტორებს. ამას ემატება საზოგადოებრივი მოწყობაც, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს (მაკროსოციალური ზემოქმედება) და ურთიერთობს ადამიანებთან ოჯახში, სამსახურში, დასვენებისას და ა.შ. (მიკროსოციალური ზემოქმედება).

დღეს, როგორც არასდროს აუცილებელი გახდა ადამიანის ჯანმრთელობის არსის ჩამოყალიბება და მისი მიზანდასახული განმარტება ექიმთა საზოგადოებისათვის. ჯანმრთელი ინდივიდის ორგანიზმის ნორმალური რეაქცია ძალზე რთულად არის გადახლართული იმ რეაქციებთან, რომელიც დამახასიათებელია ადაპტაციური და გენეტიკურ-ინდივიდუალური ნორმების შენარჩუნებისთვის. ნორმის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასაკობრივი, გენეტიკურ-ინდივიდუალური, კონსტიტუციურ-სომატური და ფსიქო-ფიზიკური პარამეტრები. სოციალური და გარეთა გარემოს ფაქტორები ზემოქმედებენ ორგანიზმის ე.წ. ნორმალურ კონსტანტებზე.

თანამედროვე ადამიანის ცხოველმქმედებაში ნორმის დიაპაზონი დინამიკაში განიცდის გაფართოებას, მისი ფსიქოფიზიოლოგიური მანევრებლები ხშირად უახლოვდება პათოლოგიურს, რაც განსაზღვრავს დაავადებისწინა მდგომარეობის ჩამოყალიბების ვარაუდს. მაშასადამე, შეიცვალა ნორმის ბიოლოგიური ცნება და ორგანიზმის ჰომეოსტაზის სასიცოცხლო მნიშვნელობის კონსტანტები, გაფართოვდა მისი საზღვრები. ნორმის ასეთი ცვალებადობა არსებული პარამეტრების ფონზე მიუთითებს ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების მიზანმიმართულ ამოქმედებაზე. ყოველივე ეს საფუძვლად უდევს ჯანმრთელი ადამიანის ფსიქოფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნების მდგრადობას.

დაავადებისწინა მდგომარეობა ხშირად შეიცავს ფარულად მიმდინარე ნეიროჰუმორულ დარღვევებსა და ფსიქოემოციური სფეროს დისკომფორტს. ის თვისობრივად წარმოადგენს იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც ინდივიდის ორგანიზმში გამოვლენას იწყებს დაავადების მაუწყებელი სიმპტომები, რომელიც მოითხოვს პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას.

დაავადება დაავადებისწინა მდგომარეობისაგან განსხვავებით ხასიათდება სტაბილურად გამოხატული პათოლოგიური სიმპტომებით. დაავადების მიმდინარეობის პერიოდში შეიმჩნევა ან მდგრადი კომპენსატორულ-ადაპტაციური მექანიზმები, ან მათი გამოფიტვა. დაავადების დროს ირდევს ფსიქო ფიზიოლოგიური სიმტომების საიმედოობაც. დაავადებათა მკურნალობა ჯანმრთელობის ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია. მედიცინის განვითარების დამდუკავებელი მიმართულება ჯერ კიდევ განისაზღვრა შორეულ წარსულში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა XX საუკუნეში. დღეს, კაცობრიობა დგას „მესამე ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციის“ ზღვრულზე, რომლის არსი მდგომარეობს ინდივიდის ჯანმრთელობის მართვაში, ცოცხალი სისტემის მარეგულირებელი მექანიზმების

განმტკიცებისა და პარმონიზაციაში. ახალი სტრატეგიის საფუძველი კი – ვალეოლოგიაა, მისი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები.

ვალეოლოგიის დეფინიცია – ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ინდივიდუალური ჯანმრთელობის არსს, მისი შენარჩუნების მექანიზმებსა და გამოვლინებებს, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდებს, და აგრეთვე კორექციის გზით გაჯანსაღების მექანიზმების ოპტიმიზაციას, ინდივიდის სიცოცხლის ხარისხსა და სოციალურ ადაპტაციას. მედიცინას არ შეუძლია პასუხი გასცეს შეკითხვას: „რას წარმოადგენს ჯანმრთელობა? რადგან, ის დაკავებულია დაავადებათა პრობლემის გადაწყვეტისათვის და არა ჯანმრთელობის შენარჩუნების საკითხებით. ჯანმრთელობა განიხილება არამარტო მედიკო-ბიოლოგიური კატეგორიებით, არამედ საზოგადოებრივი კულტურის პოზიციებიდან, რაც აუცილებელია და სამართლებრივად პირობადებული.

დღეს, თანამედროვე მედიცინა – პათოცენტრული და ნოზოცენტრულია, რაც დაავადებების მედიცინის სახით არის წარმოდგენილი. ჩვენ, არა გვაქვს ჯანმრთელობის მედიცინა – ვალეოცენტრული მედიცინა. ჩვენ ვმკურნალობთ დაავადებებს და მოსახლეობაში არ ვნერგავთ ჯანმრთელობის შენარჩუნების პრინციპებს, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შენარჩუნების პრინციპებს, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრაქტიკული მიმართულების დებულებებს. თანამედროვე ექიმი არ ფლობს ჯანმრთელობის კანონებს, ასე თუ ისე გათვითცნობიერებულია დაავადების კანონებში (ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა). აქ, საჭიროა დავადასტოროთ ერთი მოსაზრება: როცა იწვის სახლი – ის საჭიროებს ჩაქრობას. გადატანითი მნიშვნელობით ექიმები ჯერჯერობით მეხანძრეებად გვევლინება და არა არქიტექტორებად – ჯანმრთელობის მშენებლების როლში.

ადამიანის სიცოცხლის ფუნდამენტური ფასეულობებიდან ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვა და მისი შენარჩუნების პრობლემა. სხვათა შორის, თანამედროვე მედიცინა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მიდგომით ევალება ამ პრობლემის გადაწყვეტა, ის ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობას და ძირითადად დაკავებულია დაავადებათა მკურნალობის საკითხებით. თანამედროვე სამედიცინო მიმართულების მეცნიერული კვლევების დაავადებათა პროფილაქტიკის ჩატარების გახმაურებული აუცილებლობის მოთხოვნა ხშირად ატარებს დეკლარირებულ ხასიათს და, ამასთანავე მისი პრაქტიკაში რეალიზებაც კი – ვერ ამოწურავს ჯანმრთელობის პრობლემის ყველა არსებულ ასპექტს. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით, წამყვანი როლი უნდა მიეკუთვნოს განათლებას, რადგან მას გააჩნია ყველა ინტელექტუალური შესაძლებლობები, ჩამოყალიბოს ადამიანებს ჯანმრთელობასთან მიმართებაში სისტემური და მასობრივი ფორმირების მსოფლმხედველობა.

ადამიანის ჯანმრთელობისა და დაავადების სისტემური ანალიზისას გასათვალისწინებელია ახალბედა ექიმების პროფესიული მომზადება პროფილაქტიკური მედიცინის განვითარების განხორციელების, რომლის ზედნაშენად განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულია ნაციონალური პროგრამა: „Health promotion“ („წინ წაწევა“),

ჯანმრთელობის დაცვა („Health protection“) და პროფილაქტიკური სამსახური („Preventive services“), ხოლო ევროპის მრავალ ქვეყანაში კი აღიარებულია ტერმინი „ვალეოლოგია“ (მეცნიერება ჯანმრთელობაზე) თავისი სხვადასხვა მიმართულებითა და ორგანიზაციული პრინციპებით.

რიგი მეცნიერების გათვლით, ახალბედა ექიმებს ადამიანის ფსიქოსომატური ჯანმრთელობის დიაგნოსტიკაში და სრული პროფესიული განათლების მიღებაში, საშუალოდ სჭირდებათ 15-18 წელი. პრაქტიკული მედიცინის მიმართულებათა პროფესიულ დახვეწაში სასურველი იქნებოდა ასაკოვანი მეცნიერ-პრაქტიკოსების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან ხელი უნდა შეუწყოს მომავალი კადრების პროფესიულ მომზადებას. ახალბედა ექიმებს, მრავალი წელი სჭირდებათ პრაქტიკული ჩვევების გამოუმუშავებისათვის, და თუ, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლიდან გამოვა ზერეულედ ნასწავლი, ნაკლებად განათლებული, არამცოდნე სპეციალისტი, რომელმაც არ იცის მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის კანონები, ადამიანის გენეტიკა, ენერგო-ინფორმაციული პროცესების ბიოქიმია და ბიოფიზიკა, არ იცის უჯრედი, ქსოვილები, ემბრიონული ეპიგენეზის კანონები, გამოცნობის (დიაგნოსტიკის), დიალოგიკის მეთოდები, ორგანიზმის მდგომარეობების ოპტიმიზაციის მეთოდები (მკურნალობის თეორია), ფსიქოსომატური დეტერმინიზმის მექანიზმები; თუ მან არ იცის ნორმის თეორიები (ნორმოლოგია), დაავადებათა თეორიები (პათოლოგიები) ჯანმრთელობის თეორიები (ვალეოლოგია და სანოლოგია); ბიოეთიკისა და ემპათიის პრინციპები; არ ესმის ადამიანის კონსტიტუციის ახალი თეორიები, განსაკუთრებით მისი იმუნური სისტემის მექანიზმების თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას (ნოზოლოგიურს და ვალეოლოგიურს); არ იცის სიცოცხლის ფილოსოფიური საფუძვლები, როგორც ზემთაგონებული მატერიის არსი – ეს უკვე არის დიდი დაუდევარი შეცდომა, რომელსაც ვერ გამოასწორებს ექიმი ყველა შემდგომი სპეციალიზაციისა და დახელოვნების კურსების გავლით.

თანამედროვე მედიცინას დღემდე არ გააჩნია „ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური მოდელი“, საიდანაც უნდა ხდებოდეს პათოლოგიური გადახრების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მანკვნებლების ათვლა. ამან კი განაპირობა მთელი რიგი სიძველეები დიაგნოსტიკაში, რამაც ხარვეზები შეიტანა მკურნალობის პროცესში და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაში. ცნობილი ფაქტია, რომ თერაპიული სამსახური ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, არასწორი დიაგნოსტიკით ჩატარებული მკურნალობით გახშირდა ორგანული გართულებები ქირურგიული დაავადებების ჩამოყალიბებით. რიცხობრივად მოიმატა ქირურგიულმა ჩარევებმა და მედიცინაში პრიორიტეტული გახდა ქირურგიული სამსახური, ე.ი. ქირურგია „იფურჩქნება“, თერაპია კი „ჭკნობის“ პროცესს განიცდის. ამას, თითქოსდა, ვერ ამჩნევს სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და ხელს უწყობს მოსახლეობის დაინვალიდებას, სიკვდილიანობის ზრდას, ქრონიკული ავადმყოფების მომატებასა და ჯანმრთელი ადამიანების დეფიციტს.

ვალეოლოგიის მეცნიერულმა იდეოლოგიამ ბიძგი მისცა ჯანმრთელობის სისტემის (ნაცვლად ჯანდაცვისა) განვითარებას და მისმა პრაქტიკაში დამკვიდრებამ ხელი უნდა შეუწყოს მედიცინის პათოცენტრისტული მიმართულების პრინციპების რღვევას. ეს კი განაპირობებს ჯანმრთელობის კრიტერიუმების შემუშავების აუცილებლობას და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ჯანმრთეობა კი ხდება ვალეოლოგიის ძირითად სტრატეგიად.

ლიტერატურა:

1. დოლიძე ი., ბიოჰოლოგრაფიის მეთოდოლოგიის გამოყენების პერსპექტივები სპორტულ მედიცინაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი, 2005, 8, 217-220;
2. დოლიძე ი., სპორტული ვალეოლოგია – ზოგადი ვალეოლოგიის განვითარების საფუძველი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2006, 9, 148-153;
3. დოლიძე ი., ვალეომეტრიული კვლევის თავისებურებანი ანთროპოკოსმიურ მედიცინაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2008, 10, 150-153;
4. დოლიძე ი., ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, საქართველოს სამედიცინო ჟურნალი, 2009, 2, 146-148;
5. დოლიძე ი., ბეოტომოგრაფიის ეფექტურობა სპორტსმენთა გაწვრთნილობის დიაგნოსტიკაში, სო-

ციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია, 2011, 13-8-7;

6. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ., დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია, 2013, 15-10-9, 52-54;

7. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ., ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის ზოგადი თეორია და პრაქტიკა“, ბავშვთა კარდიოლოგია, 2016, 10, 34-37;

8. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ., სანოგენეზისა და გაჯანსაღების მექანიზმების რეგულაციის პრინციპები, ბავშვთა კარდიოლოგია, 2016, 10, 38-41;

9. დოლიძე ი., ადამიანის ჯანმრთელობა ანთროპოკოსმიური მედიცინის პოზიციებიდან, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, თბილისი, 2016, 4 (8), 23-28;

10. Дolidze И. Д., Метод газоразрядной визуализации в практике спортивной медицины, Georgian Engineering News, 2005, 3, 206 – 209;

11. Dolilze Ig., Effectiveness of Beotomography in Psychophysical Training Diagnostics, Internacional Conference & Exhibition, 2010, Batumi, p.27;

12. Дolidze И. Д., О перспективах применения БЭО томографии в спортивной медицине, VII Международная научная конференция „ Перспективы развития физической культуры в современном обществе“, 2006, 353-359, Кишинев, Молдова ;

13. Dolidze I., Valeometric approach To Determinihg Psychophysical Fitnees of Wrestlers, 4-th International Baltic Congres on Sport Medicine, 2005, p.20., Riga, Latvia

რეზიუმე

ნორმის ფენომენი პრაქტიკულ მედიცინაში

იბ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი
/საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თსუს/

ნორმის ფენომენი თანამედროვე პრაქტიკულ მედიცინაში წარმოადგენს ვალეოცენტრული მედიცინის კვლევის ფუნდამენტს. ჩვენ ვმკურნალობთ დაავადებებს და მოსახლეობაში არ ვნერგავთ ჯანმრთელობის შენარჩუნების პრინციპებს, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრაქტიკული მიმართულების დებულებებს. თანამედროვე ექიმი არ ფლობს ორგანიზმის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების კანონზომიერებებს; ასე თუ ისე, ძირითადად გათვითცნობიერებულია დაავადების კანონებში (ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა). აქ, საყურადღებოა ერთი მოსაზრებაც: როცა იწვის სახლი – ის საჭიროებს ჩაქრობას. გადატანითი მნიშვნელობით, ექიმები, ჯერჯერობით მეხანძრეებად გვევლინება და არა არქიტექტორებად – ჯანმრთელობის მშენებლების როლში.

ვალეოლოგიის მეცნიერულმა იდეოლოგიამ ბიძგი მისცა ჯანმრთელობის სისტემის (ნაცვლად ჯანდაცვისა) განვითარებას და მისმა პრაქტიკაში დამკვიდრებამ ხელი უნდა შეუწყოს მედიცინის პათოცენტრისტული მიმართულების პრინციპების რღვევას. ეს კი განაპირობებს ჯანმრთელობის კრიტერიუმების შემუშავების აუცილებლობასა და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ჯანმრთეობა კი ხდება ვალეოლოგიის ძირითად სტრატეგიად.

SUMMARY

PHENOMENON OF NORMAL VALUES IN MEDICINE

IG DOLIDZE, G CHAKHUNASHVILI
TSMU, Georgian National Learning Institute of Physical Development and Sports

Ideology of valeology gave a push to health management development and further down the road implementation of it must promote destruction of pathocentrist principle deterioration. This itself will underline importance creating health criteria and implementation of healthy way of life, and health management will be main strategy of valeology.

საქართველოს მოქალაქე საპატარძლო გუბერნიისა

უკვი – საპატარძლო ფაქტორების სოციალ გეოგრაფიის მნიშვნელოვანი ასპექტი

ნ. თოთაძე, მედიცინის დოქტორი, პედიატრი, ნუტრიციოლოგი.
მ. ტაბიძე, მედიცინის დოქტორი, ექიმი-თერაპევტი /საქართველო.თბილისი/

კურორტების როლი მნიშვნელოვანია, როგორც გა-
მაჯანსაღებელი საშუალება, ასევე სხვადასხვა და-
ვადების პრევენციისა თუ მკურნალობისათვის. სა-
ქართველოში საკურორტო სეზონი ზამთარში და მით
უფრო ზაფხულშია აქტუალური. მაგრამ უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ხშირად დასასვენებლად გამგზავრება
მოკლებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესა-
ბამისობას, სწორად გამოყენებას სხვადასხვა საპატარ-
ძლო პროცედურების. რაც ხშირად ინფორმაციის
ნაკლებობას და ექიმთან შეუთანხმებლობას უკავშირ-
დება. პრობლემის აქტუალურობა მეტია, როდესაც სა-
კითხი ბავშვებს ეხება. ამჯერად თქვენს ყურადღებას
შევაჩერებთ კურორტ ურეკზე.

ურეკი-ზღვისპირა კლიმატური კურორტი მდებარე-
ობს შავი ზღვის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 24 მეტ-
რის სიმაღლეზე. მისი, როგორც კურორტის განვითარ-
ება დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში.

კურორტზე გამოიყოფა II კმ სიგრძის და 30-50მ სი-
განის ზღვისპირა ზოლი, რომელიც წარმოადგენილია
მაგნიტით სხვადასხვა ხარისხით გაჯერებული ქვი-
შით. ლითოლოგურად დანალექები ძირითადად
წარმოადგენილია მოშავო მუქი ნაცრისფერი, შავი, მოყ-
ვითალო-მონაცრისფერო, ზოგჯერ კიდევ წაბლისფე-
რი და თხელმარცვლოვანი ქვიშებით. მაგნიტური
ქვიშის შემადგენლობაში შედის მინდვრის შპატი, კვარ-
ცი, ფიქლის ქანების ნატეხები, სახეშეცვლილი ქანე-
ბის ნატეხები, ქარსიბოტიტი, მუსკოვიტი, კარბონატე-
ბი, პიროქსენები, მაგნიტის, ტიტანომაგნიტის, გარკი-
ნებული ქანების ნაწილაკები, პიდროქსენული, უმნიშ-
ვნელო რაოდენობით გვხვდება ილმენიტი, ეპიდოტი,
აპატიტი, თიხა-სერიციტული ნაწილაკები. ქვიშის ძი-
რითად მინერალებს წარმოადგენს მაგნიტის და ტი-
ტანომაგნიტის. მათი შემადგენლობა ქვიშაში დაახ-
ლოებით 4 % მდეა. ქვიშაში მაგნიტური ფრაქციის შე-
მადგენლობა ფართოდ მერყეობს და აღწევს 23% და
მეტსაც. რკინის შემცველობა მაგნიტურ ფრაქციაში
შეადგენს 34-47%-ს, ხოლო ტიტანის ჟანგის -3,1-5,3%-
ს. ქვიშის ნაყარის წონა უდრის 1,4 კგ/ლ, ხოლო ხვედ-
რითი წონა -2,7 გ/სმ³.

საერთოდ, მაგნიტური ქვიშა-ფიზიოლოგიური
სამკურნალო საშუალება წარმოადგენს გარემოს, რო-
მელიც შედგება ერთმანეთზე მიზიდული კერამიკუ-
ლი მაგნიტური ბურთულებისაგან დიამეტრით 3-5 მმ.
შესაძლებელია მისი ტრანსპორტირება და ასევე ხე-
ლოვნურად შეთობა. სასურველია წვიმიანი ამინდუ-
ბის შემთხვევაში პროცედურების გამოტოვების თა-
ვიდან აცილების მიზნით მოხდეს ხელოვნურად
შეთობა ქვიშის, სასარგებლო თვისებებს ქვიშა ამ
შემთხვევაში არ კარგავს. ხელოვნურად შექმნილი
მაგნიტური ველები ფართოდ გამოიყენება სხვადას-
ხვა ქვეყნების სამკურნალო ცენტრებში სახელწოდე-
ბით „მაგნიტოთერაპია“ „სამოთერაპია“ მკურნალო-
ბა ცხელი ქვიშებით, ტარდება როგორც შავი, ასევე

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. ქვიშის აბაზანები
ახდენს ორგანიზმზე მექანიკურ ზემოქმედებას.

თბილი ზღვა, მაგნიტური თვისებების მქონე წვრი-
ლი და ნაზმარცვლოვანი სანაპირო ქვიშა, ზღვისპი-
რა კლიმატი, რომელსაც ახასიათებს თითქმის ნორ-
მალური ატმოსფერული წნევა, ტემპერატურის თვი-
ური და დღეღამური მერყეობის მცირე ამპლიტუდა,
ჰაერი, რომელშიც არ არის პათოგენური ბაქტერიე-
ბი და მდიდარია ჟანგბადით, გაჯერებულია ზღვის მა-
რილების უწვრილესი კრისტალებით, მომატებულია
ოზონის და მსუბუქი აეროიონების რაოდენობა-ყვე-
ლაფერი ეს შესანიშნავ პირობებს ქმნის კურორტ
ურეკში მკურნალობისათვის და განაპირობებს გან-
საკუთრებულ ადგილს სხვა ზღვისპირა კურორტებს
შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით, ნაკლებად
არის ათვისებული ქვიშის აბაზანების სწორად გამო-
ყენება, საყურადღებოა ბავშვთა ასაკი. პრობლემის აქ-
ტუალობას ემატება ის ფაქტიც, რომ ტურიზმის გა-
უმჯობესების კუთხით მომატებულია რა ვიზიტორე-
ბის რიცხვი, მათთვის არ არის ხელმისაწვდომი სწო-
რი მკურნალობის ტაქტიკა და პროცედურების ჩატარ-
ების სრულფასოვანი პირობები.

ქვიშის აბაზანები.

ურეკის სანაპიროს ბუნებრივად შემთბარი მაგნი-
ტური ქვიშა გამოიყენება მშრალ, მზიან ამინდში
აბაზანების და ნახევარაბაზანების სახით, წყლის
თბილ პერიოდში ივნისის II ნახევარში, ივლისში, აგ-
ვისტოში და სექტემბრის I ნახევარში. აღნიშნული
პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება მაგნი-
ტური ქვიშა, რომლის ტემპერატურა შეადგენს
50°-57°C. პროცედურების ჩასატარებლად სასურველია
სანაპიროს შემოსაზღვრული ტერიტორია დაახლო-
ებით 1 მეტრის სიმაღლის დასაკეცი ღობეებით. შე-
მოფარგლულ ტერიტორიაზე დილით ადრე, მაგ. 7
სთ-ზე უნდა გამზადდეს – ამოითხაროს შედალიონ-
ის ფორმის ორმოები, ზომით 2მ X 1მ, ყოველი მე-
დალიონის ირგვლივ აკეობენ 30 სმ სიმაღლის მორ-
გვებს. ბავშვებისთვის შესაბამისად მცირე ზომის ორ-
მოები. ივლისსა და აგვისტოში დაახლოებით 12 სთ-
ზე, ხოლო ივნისი – სექტემბერში 13 სთ-ზე მთლიან-
ად ან ნაწილობრივ გაშიშვლებულ ავადმყოფს აწ-
ვენენ მედალიონ-ორმოში დედამიწის მაგნიტური ვე-
ლის ძალხაზების მიმართულებით-თავით ჩრდილო-
ეთისკენ, ფეხებით სამხრეთისკენ. თავქვეშ ამოუდ-
ებენ პოროლონის ბალიშს, ხოლო თავზე ამოუდ-
ებენ საჩრდილობელს, მზისგან დასაცავად. თავისუფა-
ლი უნდა დარჩეს გულ-მკერდი. მაგნიტური ქვი-
შის ნახევარაბაზანის მიღებისას კი გამოთბარი 4-5 სმ
სისქის ფენით ვფარავთ დაზიანებულ უბნებს. მაგ.
სახსრებს, კიდურებს და ა. შ. სან მთელ სხეულს გულ-
მკერდის გარდა.)

მაგნეტიკური ქვიშის აბაზანის პროცედურის მიღებაამდე პაციენტი 30 წუთი ისვენებს ნაპირზე, ჩრდილში, ამ დროის მანძილზე იგი ეგუება გარემოს თერმულ პირობებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ მანამდე არ ღებულობდა პაერის ან მზის აბაზანას. პროცედურის დამთავრების შემდეგ პაციენტი გადადის ქარისაგან დაცულ საჩრდილოებელში, სადაც მას მოაცილებენ მშრალ ან ნამიან ქვიშას, დასასვენებლად დააწვენენ და გადააფარებენ ზეწარს. ოფლდენის შემთხვევაში ავადმყოფი ისვენებს ოფლდენის სრულ შეწყვეტამდგურის შემდეგაც ქვიშის ნარჩენებს თბილი შხაპით ჩამოირეცხავს. თუ ოფლდენა არ აღენიშნება, პაციენტი ღებულობს თბილ შხაპს აბაზანის ან ნახევარაბაზანის მიღებიდან 20–30 წუთიანი დასვენების შემდეგ. ამასთანავე ეძლევა რეკომენდაცია გააგრძელოს დასვენება შენობაში 1–2 საათი. პროცედურები ინიშნება ყოველდღე კურსზე – მაგნეტიკური ქვიშის 12–15 ან 20 საერთო აბაზანა ან ნახევარაბაზანა. პროცედურის ხანგრძლივობა 30–60 წუთი, კურსის გამეორება შესაძლებელია ორ კვირიანი ინტერვალით. სამკურნალო კურსის გავლამდე სასურველია პაციენტმა გაიაროს კონსულტაცია ექიმთან და და სისტემატურად ჰქონდეს მასთან ურთიერთობა პროცედურების ხანგრძლივობისა და ზოგადი მდგომარეობის შეფასების მიზნით. საუცილებელია პაციენტს ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების შემთხვევაში თან ჰქონდეს ექიმის დასკვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან ჩაიტაროს კვლევა პროცედურების დაწყებამდე.

Sos- ქვიშაზე არ არის რეკომენდებული მობილური ტელეფონის, მსგავსი ტექნიკის მოთავსება.

მაგნეტიკური ქვიშის აბაზანები გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების, სასუნთქი სისტემის, ფილტვების ქრონიკული არაობსტრუქციული დაავადებების, ნევრასთენიის, გენერალიზებული ხასიათის ნევრიტების და ნევრალგიების დროს. ასევე კისრის, გულ-მკერდის, გავა-წელის და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პათოლოგიების დროს. ქრონიკული ნეფრიტის, ექსუდაციური დიათეზის და ზოგიერთი გინეკოლოგიური დაავადებების დროსაც.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფებს /არტერიული ჰიპერტენზიის II სტადია, გულის იშემიური დაავადებების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის II ფუნქციური კლასი, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, მიოკარდიოდიტროფიები, გულის სარქველების შეძენილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის სტენოზი. ამ შემთხვევებში ინიშნება 8-10 წუთიანი აბაზანები. ხოლო გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მქონე ავადმყოფებს, გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე, ფილტვების ქრონიკული არაობსტრუქციული დაავადებებით /ქრონიკული პნევმონია, ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტი/ I- II სტადიის სუნთქვის უკმარისობით, ალიმენტური სიმსუქნით, პერიფერიული ნერვული სისტემის პათოლოგიებით-პარეზების სახით/გენერალიზებული ნევრიტები და ნევრალგიები რეაბილიტაციის სტადიაში/ ენიშნებათ მაგნეტიკური ქვიშის დაახლოებით 20 წუთიანი აბაზანები. სხვა შემთხვევებში აბაზანების მიღების დრო შეიძლება იყოს გაზ-

რდილი წუთობრივი დროით. /მაქსიმუმ 1-1.5 სთ დღის მანძილზე/

უკურნებება: დაავადებები მწვავე პერიოდში ან გამწვაების პერიოდში, ავთვისებიანი სიმსივნეები, სისხლის დაავადებები, ტუბერკულოზის აქტიური ფორმა, სისხლდენა, ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები, ფსიქიური დაავადებები, ესენციური ჰიპერტენზიის III სტადია, გულის იშემიური დაავადებების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის III-IV ფუნქციური კლასი, გულის რთიმის შეტევითი ხასიათის დარღვევები-პაროქსიზმული ტაქიკარდია, მოციმციმე არითმია, სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადა, სუნთქვის უკმარისობის III სტადია, ფილტვ-გულის უკმარისობა და ა.შ. ასევე ბრონქული ასთმა და ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი.

მნიშვნელოვანია მკურნალობა ალიმენტური სიმსუქნის შემთხვევაში- წონის კლებისთვის, რადგან მშრალი, ცხელი ქვიშა სწრაფად და ერთდროულად ათბობს პაციენტს. ხდება გახშირებული ოფლდენა და სისხლისა და ლიმფის მოძრაობის აქტივაცია. საშუალოდ ერთ სეანსზე წონის კლება 600 გრ.-ია. პსამოთერაპია-მკურნალობა ცხელი ქვიშით ეფექტურია, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ქვიშის აბაზანების მოქმედების სირბილე საშუალებას იძლევა დაინიშნოს როგორც ასაკოვნებში, ასევე ბავშვებში.

მნიშვნელოვანია პსამოთერაპია ბავშვებში ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა: დცპ, სამშობიარო ტრავმები, რაქიტი, ექსუდაციური დიათეზი, ალერგიული დაავადებები. დადგენილია, რომ სპინალური რბილი დამბლებით დაავადებულ ბავშვთა კომპლექსური მკურნალობა ბუნებრივი მაგნიტური ველის გამოყენებით კურორტ ურეკის პირობებში იძლევა გამოხატულ კლინიკურ ეფექტს და მედიკამენტების მოხმარების აუცილებლობას ამცირებს. ამ შემთხვევაში მაგნიტოთერაპიის ეფექტურობის ასამაღლებლად, სასურველია ქვიშის აპლიკაციების ჩატარება უშუალოდ ზურგის ტვინის დაზიანებული სეგმენტების არეში და ადრეული ასაკის ბავშვებში /1-3 წელი/ პროცედურების ხანგრძლივობისა და სისშირის თანდათანობით მატება. ბავშვებისათვის საკურორტო ფაქტორის გამოყენება ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს ჩვენებების პირობებში. ძირითადად რეკომენდებულია პროცედურების ჩატარების შემდეგი თანმიმდევრობა:

1. მოვლა-ყოველდღიური დილის ტუალეტი.
2. საუზმე.
3. სეირნობა.

4. ზღვაში ბანაობის შემთხვევაში მაქსიმუმ II საათამდე, განსაკუთრებით ივლისი-აგვისტო

5. მსუბუქი სადილი. სასურველია მაგნეტიკური ქვიშის აბაზანის პროცედურის მიღებამდე კვება დასრულდეს 30-45 წუთით ადრე.

6. პაციენტი 30 წუთი ისვენებს ნაპირზე, ჩრდილში, ამ დროის მანძილზე იგი ეგუება გარემოს თერმულ პირობებს.

7. ექიმის რეკომენდაციით განსაზღვრული დროის ხანგრძლივობით დაავადების ჩვენების მიხედვით მაგნეტიკური ქვიშის აბაზანის ან ნახევარაბაზანის მიღება. / ივლისი-აგვისტო 12 სთ. ივნისის II ნახევარ-

ში- სექტემბრის I ნახევარი 13 სთ/ ბავშვის სურვილის შემთხვევაში შეიძლება სითხის -წყლის მიწოდება ზომიერად.

8. პროცედურის დასრულების შემდეგ დასვენება ჩრდილში, შხაპით სხეულის გასუფთავება ქვიშისგან და დასვენება შენობაში 2 სთ.

დღის მანძილზე ბავშვის-პაციენტის კვების, მოვლის საკითხებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა არ ხდება, თუმცა სასურველია კონსულტაციის გავლა პედიატრთან თერაპიის დაწყებამდე და ასევე პროცედურების მიმდინარეობის დროს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.royalmedgroup.com/resorts/grigoletti/>
2. <http://batumilife.ru/magnitnyie-peski-ureki#ureki1>
3. https://www.moya-planeta.ru/reports/view/gruzinskie_karnary_plyazh_magnitniureki_10006/
4. <http://sakartvelotour.com/gryazelechebnye-kurorty-i-kurorty-s>
5. ი. თარხან-მოურავი, ნ. სააკაშვილი, ე. გაგნიძე, მ. ტაბიძე, ნ. გულუა – საქართველს კურორტები „ურეკი“, 2008 წ.
6. Тархан-Моурави И. Д., Шавианидзе Г.О., Табидзе М. Ш. Влияние полуванн из магнетитового песка в условиях курорта Уреки на больных деформирующим остеоартрозом вторичным реактивным синовитом – Актуальные проблемы биологии и медицины – Сборник трудов международной научной конференции – Тбилиси, 2005, 314-316
7. 11. Улащик В. С., Лукомский Н. В., Общая физиотерапия-Минск, Ннтерпрессервис-Книжный дом 2003. 512 с.
8. Зуннунов З.Р. Общие принципы применения песочных ванн естественного солнечного нагрева. – Методические рекомендации.- Термез, 2000. – 12 с.

9. Соколова Н. Г., Соколова Т. В. Физиотерапия. Ростов – на – Дону, Феникс, 2004. – 314 с.

10. საქართველოს სამედიცინო მოამბე 1-2-3 იანვარ-ივნისი, 1997 წ.

11. აკად. პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის მანანა ვეკუას დისერტაცია „სპინალური რბილი დამღების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციური მკურნალობა ბუნებრივი მაგნიტური ველის ჩარევით, კურორტ ურეკის პირობებში. 1993წ

12. ტაბიძე მ. ჰიპერტონული დაავადებების მკურნალობის ასპექტები სუბტროპიკული კლიმატისა და მაგნეტიტური ქვიშის აბაზანების პირობებში – კურორტ ურეკის მაგალითზე. ავტორეფერატი, საკანდიდატო დისერტაცია. Tbilisi, 1990.

13. Блануца С. Г., Элизбарашвили Э. Ш., Карцивадзе Н. И. Курорт Уреки. – Тбилиси, Сабчота Сакартвело, 1983. – 41с.

14. Ушверидзе. Г. А., Мгелაძე. Н. В., Цуцუნავა. А. Я. –Эффективность лечения различных заболеваний на курортах Черноморского побережья Грузинской ССР –Тбилиси 1982.

15. Бокша В.Г., Богуцкий Б. В., Медицинская климатология и климатотерапия. – Киев, Здоровья, 1980. – 262с.

16. Сигуа Т. И., Литовка А. В., Кекелидзе М. А. Исследования обогатимости магнетитовых песков, Черноморского побережья –Переработка железных и марганцевых руд Закавказья. – Тбилиси, 1975. – С. 23-25.

17. დ. ჯავახიშვილი „კურორტოლოგია“, 1972 წ.

18. Сыроечковская М. Н. Лечение нагретым песком - Практическое руководство по проведению физиотерапевтических процедур. – М. Медицина, 1970. – С. 257 – 25

რეზიუმე

საქართველოს მომავალი სამკურნალო ტურიზმისა

ურეკი – საკურორტო ფაქტორების სწორად გამოყენების მნიშვნელოვანი ასპექტები

ბ. თოთაძე, მედიცინის დოქტორი, პედიატრი, ნუტრიციოლოგი.

მ. ტაბიძე, მედიცინის დოქტორი, ექიმი-თერაპევტი/საქართველოთბილისი/

კურორტების როლი მნიშვნელოვანია, როგორც გამაჯანსაღებელი საშუალება, ასევე სხვადასხვა დაავადებების პრევენციისა თუ მკურნალობისათვის. საქართველოში საკურორტო სეზონი ზამთარში და მით უფრო ზაფხულშია აქტუალური. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად დასასვენებელად გამგზავრება მოკლებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობას, სწორად გამოყენებას სხვადასხვა სამკურნალო პროცედურების. რაც ხშირად ინფორმაციის ნაკლებობას და ექიმთან შეუთანხმებლობას უკავშირდება. პრობლემის აქტუალურობა მეტია, როდესაც საკითხი ბავშვებს ეხება. შრომაში ყურადღებაა გამახვილებული კურორტ ურეკზე.

SUMMARY

MEDICAL TOURISM – FUTURE OF GEORGIA

UREKI – IMPORTANT FACTORS OF CORRECTLY USING RESORT FACTORS

N. TOTADZE, MD, Pediatrician, Nutrition specialist

Role of various resorts are of tremendous importance for disease prevention, treatment or leisure. Tourist season in Georgia is very active in the winter and especially in the summer. It must be noted that often going for a vacation is often is not in concordance with health status, thus correct treatment procedures are not used, which is often linked with miscommunication with a doctor. The problem is much more severe if it is connected to a child.

MODERN ADJUVANT TREATMENT OF METABOLIC DISORDERS

STEPHAN HEYMANN, JÖRG SCHULZ, RAINER KLOPP



BACKGROUND

Diabetes mellitus Type 2 is the most common metabolic disease worldwide and currently about 7 million people suffer from this disease in Germany and affects all age groups. After critical review of multiple guidelines and clinical trials in this field it is apparent that an individual treatment is crucial, although it often deviates from established recommendations. This is particularly true from the perspective of geriatrics affected with this disease with regard to exercise therapy and dietary recommendations as well as the assessment of the normal values during the drug treatment process. In many studies and publications evidence exists that a

long-standing diabetic metabolic disorder that leads to early and late complications can be minimized with optimal therapy.

AIM

For the above reasons we have developed and evaluated a new treatment method to improve the prognosis of Type 2 diabetes. The therapy combines a moderate training activity under hyperoxia (26 % O₂) with alimentionation of a glucose-converting mineral.

RESULTS

Our results clearly demonstrate a significant benefit for Type 2 diabetes patients when receiving either the mi-

neral formulation (Nanovit® Metabolic) alone or even more so when combined with omega-3 fatty acid (Omega-3-FA) and a light physical activity program under hyperoxia (Individual Systemic Bio-Correction). This was distinctly evident in multiple parameters such as improvement in the diabetic metabolic state, antioxidant activity, microcirculation, and, not to forget, the avoidance of nocturnal hypoglycemic crises.

მეტაბოლური ლაგვადების აღიუმანბური მკურნალობის თანამდროვე მეთოდები

შტეფან ჰეიმანი, ჯორჯ შულცი, რაინერ კლოპი

ბექგრაუნდი

მეორე ტიპის დიაბეტი არის ყველაზე ხშირი მეტაბოლური დაავადება და დღესდღეობით გერმანიაში დაახლოებით 7 მილიონი ადამიანი, ყველა ასაკის, არის დაავადებული. არსებული გაიდლაინების და კლინიკური კვლევების კრიტიკული მიმოხილვის შემდეგ, ნათელია, რომ ინდივიდუალური მკურნალობა ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირად იხრება არსებული რეკომენდაციებისგან. ეს განსაკუთრებით მართებულია გერიატრიულ შემთხვევებში მაშნ, როდესაც საჭიროა ვარჯიში და დიეტური რეკომენდაციების მიცემა. კარგი მართვის შემთხვევა-

